ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

იღლარი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№405 (464) 25 აპრილი-9 მაისი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

ომარ გოცაძე: ქართველი ტროცკისტები და მათი გააქტიურებული ლაშქრობა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

გვ.3

ჰამლეტ ჭიპაშვილი: ქართულ-რუსული ენების თაობაზე

გვ.2

დიდ სამამულო ომში დაღუპული მეომრების სია, რომელიც მოიძიეს საძიებო მოძრაობის წარმომადგენლებმა

გვ.3

იზა თამაზაშვილი: ვისაც ქართველობა გვეამაყება ხელისუფლების ამერიკულ ოცნებას ჭეშმარიტად ქართული ოცნება უნდა დავუპირისპიროთ

გვ.5

ანზორ დანელიას გამოხმაურება წერილზე: SOS! SOS! SOS! — სამშობლო საფრთხეშია!

გვ.9

ჭ. ჰამლეტიძე: ისევ რუსული პროპაგანდა?

გვ.6

ბელა ჯიღაური — ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

გვ.8

ომარ გოცაძე: ქართული განძი და, მისი დაბრუნების ახლად აღმოჩენილი აქამდე უცნობი ზოგიერთი დეტალები

გვ.11

გვ.4

ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

ქართველი ექიმის გმირობა მოსკოვში — ქალმა მოხუცი საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა სიკვდილს

გვ.7

ქართულ-რუსული ენების თაობაზე

სულ ახლახანს, ნატოს აუდიტორიის წინაშე გამოსვლის დროს საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უდიდესი ყურადღება დაუთმო საქართველოში რუსული ენის საკითხს. კერძოდ, მან თქვა, რომ: **„რუსული ენა არ უნდა იყოს დავიწყებული“; „ის აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს“; „საინფორმაციო იარაღია რუსული ენა“; „თუ ხელისუფლება რუსულ ენას გონივრულად არ გამოიყენებს, ნაციონალური უმცირესობები აღმოჩნდებიან ეფექტურად მომუშავე რუსული პროპაგანდის გავლენის ქვეშ“** და სხვა.

დამსწრე საზოგადოებას უდავოდ გაუჩნდებოდა განცდა – საქართველოს პოლიტიკაში სერიოზულ ძვრას აქვს ადგილი და ხელისუფლება, წინასაარჩევნო დანაპირების ასრულებას, რუსული ენისადმი რევერანსებით იწყებს. დაპირება კი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ასეთი იყო – რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება.

თუ რას ემსახურებოდა მარგველაშვილის განცხადება რუსულ ენასთან დაკავშირებით, ქვემოთ მოგახსენებთ, ამასთანავე შევეხები ერთობ მტკივნეულ თემას მშობლიური ენის დაცვა-განვითარებასთან დაკავშირებით, რაც ხელისუფლებამ იკისრა და არ ასრულებს.

თავიდანვე ვიტყვი – ხელისუფლება, რომელიც საკუთარი ენის კეთილდღეობისთვის არაფერს აკეთებს, რუსული ენის დასაცავად მოიკლავს თავს?

რაც მარგველაშვილმა თქვა, ისეთი ჭეშმარიტებაა, მტკიცება რომ არ სჭირდება. დიახ! რუსული ენა, ის საკომუნიკაციო საშუალებაა, რომლის გარეშე თვით ქვეყნის შიგნითაც ჭირდა და ჭირს კავშირურთიერთობების დამყარება. რომ არაფერი ვთქვათ აფხაზებსა და ოსებზე, რომლებთან ურთიერთობა მეტადრე რუსული ენის საშუალებით ხდებოდა, ხდება და მოხდება, თუკი კონტაქტები აღდგება.

სომხურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობასთანაც კავშირები რუსულის მეშვეობით ხდება. ეჭვი მეპარება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ქართულმა მოსახლეობამ იმ დონეზე შეისწავლონ აზერბაიჯანულ-სომხური, რომ მათთან საყოფაცხოვრებო დონეზე ურთიერთობა მოახერხონ. აღარაფერს ვამბობ აფხაზურსა და ოსურზე.

მავანი შემედავება – ჩვენ რატომ უნდა ვისწავლოთ მათი ენა, იმათ ისწავლონ ქართული, სახელმწიფო ენა, ისინი ხომ საქართველოში ცხოვრობენო?!

გეთანხმებით, მაგრამ იმათ რომ ისწავლონ, ქვეყანას გამართული პოლიტიკა უნდა ჰქონდეს – საქმის მკეთებელი განათლების სამინისტროთი და მინისტრით და არა ჯეჯელავათი, თუნდაც ლომაიათი, სანიკიძეთ, სხვა ბრიყვი და გაუნათლებელი ბედოვლათებით.

აზერბაიჯანულ და სომხურ მოსახლეობას მხოლოდ არჩევნების პერიოდში იხსენებენ, სხვა დროს მათთვის ვერ იცლიან. ისინიც, თავისუფლად მიშვებული მწვანე მდელოზე, გავლენის ობიექტად მიიჩნევიან მეზობელი ქვეყნების აზერბაიჯანისა და სომხეთის მხრიდან. მათი ჩართვა საერთო სახელმწიფოებრივ საქმეში არცთუ წარმატებით (უფრო წარუმატებლად) ხდება. ისინი მეზობელი ქვეყნების ცხოვრებით უფრო ცხოვრობენ, ვიდრე აქაურით, რაც არ არის გასაკვირი. ასე იცის ცენტრის უყურადღებობამ.

რუსული ენის გარეშე კომუნიკაციების დამყარება მეზობელ აზერბაიჯანთან და სომხეთთან შეუძლებელია. სამივე ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ იმ დონეზე არ ვიცით ინგლისური, რომ ერთმანეთს რუსულად არ ველაპარაკოთ. ანდა რა საჭიროა ინგლისური ან რომელიმე სხვა ენა, თუკი რუსული აზერბაიჯან-სომხეთში შენარჩუნებულია და აქტიურად გამოიყენება?

საქართველო ამ თვალსაზრისით სერიოზულად მოიკოჭლებს. რუსული ენა თუ საშუალო და მაღალი ასაკის ქართულ მოსახლეობაში შემორჩენილია, ახალგაზრდებში – არა. ახალგაზრდების უდიდესმა უმრავლესობამ არ იცის რუსული ენა, რაც უახლოეს მომავალში სერიოზულად იმოქმედებს საქართველოზე.

ქართულ-რუსული ურთიერთობები დღეს სავალალო დონეზეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში, ვითარება შეიცვლება. ქვეყანაში ახალი აზროვნება გაჩნდება, რომელიც გვიბიძგებს მსოფლიოს უდიდეს ქვეყანასთან ურთიერთობის დამყარება-განვითარებისკენ. მარგველაშვილის ნათქვამიც დასაწყისი ხომ არ იყო ასეთი ურთიერთობებისა? – იკითხავს მავანი.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – არა!

პრეზიდენტის ნათქვამი, თანაც ნატოს ექსპერტების წინაშე – ფულის შოვნის გამო იყო გაჟღერებული – ავანტიურისტულად, მზაკვრულად. დასავლური პროპაგანდისტული მანქანა რახანია გაიძახის რუსული პროპაგანდის გაძლიერების თაობაზე. თითქოს რუსეთმა თავისი აქტიურობით და პროპაგანდაში მილიონობით დოლარის ხარჯვით წყალი შეუყენა დასავლურ ფასეულობებს ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორებიცაა აშშ-ი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, სხვები.

რუსეთმა აგრესიული PR-ით დიდი გავლენა იქონია ამერიკელ ამომრჩეველზე საპრეზიდენტო არჩევნების დროს და ხელი შეუწყო ტრამპს გამარჯვებაში. განსაკუთრებული თავდასხმის საგანია ტელეკომპანია RT, რომელიც ინგლისურ ენაზე აწარმოებს მაუწყებლობას აშშ-ი, სხვა ქვეყნებში. ამ დროს სამაუწყებლო წყაროს მეშვეობით ხდება თურმე დასავლელთა ტვინის გამორეცხვა, მათი მსოფმხედველობის შეცვლა. არადა, ერთი RT რა მოსატანია მძლავრი ამერიკულ-ევროპული ელექტრონული მედიის ფონზე?

ბრძოლა, ცხადია, არათანაბარია, მაგრამ მიუხედავად ამისა დასავლეთმა მილიონობით დოლარი გამოჰყო ანტირუსული პროპაგანდის საწარმოებლად. ამ თანხის დიდმა ნაწილმა უკვე დაიდო ბინა პოლონეთში, ბალტიისპირა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, სააკაშვილის პრეზიდენტობისას საქართველოშიც. გახსოვთ ალბათ, ანტირუსული პროპაგანდისთვის შექმნილი ელექტრონული მედია, რომელიც თავის პროდუქციას თავს ახვევდა არა მარტო აფხაზებსა და ოსებს, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობას, სხვებს.

მარგველაშვილმა რუსული, ნატოელი ექსპერტების წინაშე იმიტომ გაიხსენა, რომ სწორედ ნატოს მეშვეობით ხდება ანტირუსული პროპაგანდის დაფინანსება ბალტიისპირა ქვეყნებში. რით არის საქართველო ნაკლები? განა საქართველო არ არის მოქცეული მძლავრი რუსული პროპაგანდის ქვეშ? განა საქართველოს მოსახლეობა არ ჩივის და მოითხოვს ხელისუფლებისგან – დაგვიხსენით რუსული პროპაგანდისგანო?

ამას კი შესაბამისი დაფინანსება სჭირდება, შესაბამისი პროპაგანდით. ანუ ფულია საჭირო და როცა ფული გინდა, რას არ იტყვი – რუსული ენის არდავიწყებასაც და კიდევ რას. ასე რომ, მარგველაშვილისეული განცხადება, რუსულის შესაბამის დონეზე დაყენებასთან დაკავშირებით, სულაც არ არის მოწოდებული საქართველოს მოსახლეობაში რუსული ენის გასავითარებლად. მას სხვა დატვირთვა აქვს და ამ „დატვირთვას“ ფულის შოვნა, უფრო სწორად ფულის მოთხოვნა ჰქვია – რუსული პროპაგანდის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის.

მაშინ, როდესაც მარგველაშვილი რუსულ ენას ვითომ იცავს, ნამდვილი დასაცველი – ქართული ენა, უკან რჩება, რის შესახებაც წერს ბატონი გიორგი გოგოლაშვილი 19 აპრილის **„საქართველოს რესპუბლიკა“**-ში. საქართველოს პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის და პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძის სახელზე გაგზავნილ წერილში ბატონი გიორგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 2015 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ – ჯერაც შეუსრულებელია. არ შექმნილა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯი სახელმწიფო ენის შენარჩუნება-განმტკიცებისთვის.

გლობალიზაციამ თავისი ნეგატიური გავლენა თუ ვის მოახვია თავს – პატარა ერებია, მაგრამ ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით განვითარებულმა პატარა ქვეყნებმა ყველაფერი იღონეს საკუთარი ენის, თვითმყოფადი კულტურის, ტრადიციების შესანარჩუნებლად. სამწუხაროდ საქართველოს ამ ქვეყნების ჩამონათვალს ვერ მივაკუთვნებთ. ქვეყანას, რომელსაც სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა მხოლოდ ქაღალდზე აქვს დაფიქსირებული, გაუჭირდება საკუთარი ენის დაცვა. რომელ დაცვაზეა ლაპარაკი, როდესაც **„ნაცთა“** ერთ-ერთი იდეოლოგი თევზაძე, ერთ დროს ილიას უნივერსიტეტის რექტორი, მოგვიწოდებდა ინგლისურის დედა-ენობისკენ.

სწორედ **„ნაცთა“** დროს მოხდა ენის სახელმწიფო პალატის, პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისის გაუქმება, დეგრადაცია განიცადა სკოლებში ქართული ენის სწავლებამ, გაუარესდა ქართული ენის მდგომარეობა საყოფაცხოვრებო სფეროში და ა.შ.

უამრავ ელექტრონულ მედიაში თავმოყრილი გოგო-ბიჭების წყალობით ინგლისური სიტყვების აბობოქრებული მდინარე თავზე ესხმება საქართველოს მოსახლეობას – ყოველდღიურად, მრავალი საათის განმავლობაში. რა სიტყვებს არ მოჰკრავთ ყურს – **„ქეისი“, „რელევანტური“**, სხვა მრავალი. მაღაზიებზე გამოკრულ აბრებს არ იტყვით? ქართული ასოებით ინგლისური დასახელება ან მარტო ინგლისურით **„დამშვენებული“** ე.წ. სუპერმარკეტები.

„გაევროპელებული“ ყმაწვილი გოგო-ბიჭები და ე.წ. პოლიტიკოსები აქაოდა ნახეთ რა მაგრები ვართ ინგლისურშიო, ინგლისურ სიტყვებს ისე ხმარობენ ქართულად ლაპარაკის დროს, ვითომც არაფერი. არადა, საქმე-საქმეზე რომ მიდგეს **„გაქცეულ ინგლისელს ვერ მოაბრუნებენ“** – ისეთია მათი ინგლისურის ცოდნის დონე. ქართულ ენასთან მიმართებაში პრობლემები არის და თუ დროულად არ იღონა ხელისუფლებამ – ხვალ გვიან იქნება.

საქართველოს, სამწუხაროდ ახასიათებს ზედაპირულობა. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ერთზე – დედა ენის დაცვაზე. საქართველო, მსოფლიოს ის უნიკალური ქვეყანაა, სადაც დედა ენის ძეგლი დგას. დედა ენის აღსანიშნავი დღეცაა დაფუძნებული, მაგრამ სინამდვილეში, თითო-ოროლა ადამიანის გამოკლებით, არც დედა ენის ძეგლი ახსოვს ვინმეს და არც დედა ენის დღე.

არადა, ყველაფერს ჰქონდა დასაწყისი, რომელსაც ფუნდამენტი 1978 წელს – საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღების დღეს ჩაეყარა. ძველი თაობის ხალხს კარგად ახსოვს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების აბობოქრებული ტალღა როგორ მიადგა საქართველოს მთავრობის სასახლეს, ამჯერად პარლამენტის შენობას, ქართული ენის დასაცავად. სასახლეში მიმდინარეობდა უმაღლესი საბჭოს (პარლამენტის) სხდომა, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუცია.

წინა კონსტიტუციაში დაფიქსირებული რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. არადა იმ კონსტიტუციაში, საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლების სტალინისადმი თხოვნით – სახელმწიფო ენად ქართული ჩაიწერა. მსგავსი ჩანაწერი არც ერთ, სხვა საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციაში არ იყო, რაც უდავოდ სტალინის დამსახურებაა, ცხადია იმათთან ერთად, ვინც ამის თაობაზე სთხოვეს მას.

მაშინ არსებული წესის მიხედვით შექმნილმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ, რომელსაც საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, დიდი პროპაგანდისტული საქმიანობა გასწია. თითქმის ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სასწავლებლებში, საერთო კრებებზე მიმდინარეობდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა და წინადადებების დაყენება. შესწორებები, წინადადებები იგზავნებოდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატში, რომელიც იხილავდა შენიშნებებსა და წინადადებებს და შესაბამისი დასკვნებით წარუდგენდა საკონსტიტუციო კომისიას.

ამ ხანგრძლივი პროცედურის დროს არვის გამოუთქვამს ქართულ ენასთან მიმართებაში ისეთი, როგორსაც მოგვიანებით ჰქონდა ადგილი. კომისიის წევრები მიიჩნევდნენ, რომ **„სახელმწიფო ენა – ქართული“** – არ უნდა იყოს ჩაწერილი კონსტიტუციაში, ვინაიდან ამ ჭეშმარიტებას მტკიცება არ სჭირდება.

კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის და საქართველოს კპ ცკ-ის აპარატის რამდენიმე მუშაკი მივლინებულ იქნენ მოსკოვში, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, კონსტიტუციის პროექტის შესათანხმებლად. სწორედ იქ, განხილვის დროს, რუსმა კოლეგებმა ყურადღება მიაქციეს ძველ და ახალ კონსტიტუციაში (პროექტში) სხვაობას.

პროექტში – საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა ქართული – ამოღებული იყო. მათი ვარაუდით, ქართული ენის ამოღებას შეიძლება მოჰყოლოდა საზოგადოების გაღიზიანება, რაზეც საქართველოს წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ასეთს ადგილი არ ექნებოდა. გარდა ამისა, ჩანაწერი თვით საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის შევარდნაძის მიერ იყო გაკეთებული და მათ არ ჰქონდათ (წარგზავნილებს) ამის შეცვლის უფლება. მაშინ რუსმა კოლეგებმა სთხოვეს მივლინებულებს საკითხის კომისიასთან შეთანხმება.

ასე და ამრიგად, მივლინებულებიდან ერთ-ერთმა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგის მოადგილემ ჩიქოვანმა დაურეკა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს, საკონსტიტუციო კომისიის მდივანს ლაშქარაშვილს და მოახსენა აღნიშნულის თაობაზე. ლაშქარაშვილმა თავის მხრივ აცნობა შევარდნაძეს, რომელმაც დაჟინებით თქვა – დაეტოვებინათ ტექსტი ისე, როგორიც იყო.

საქართველოს მოსახლეობა დღემდე დარწმუნებულია, რომ „ქართული ენის“ კონსტიტუციიდან ამოღების ინიციატორი რუსეთი იყო და არა საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც მოსკოვთან თავის მოწონება სწყუროდა.

კონსტიტუციის მიღების დღეს გამოსული ხალხი კატეგორიულად ითხოვდა „ენის“ დაბრუნებას. შევარდნაძე იძულებული შეიქმნა დაერეკა მოსკოვში და განმარტება მიეცა ხალხის მოთხოვნასთან დაკავშირებით. მოსკოვიც, ყოველგვარი გართულების გარეშე, ისე მოიქცა, როგორც მოსალოდნელი იყო. დეპუტატების წინაშე გამოსულმა შევარდნაძემ განაცხადა ძველი ჩანაწერის აღდგენის თაობაზე, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია ხალხში.

საბოლოო ჯამში ჩანაწერი ქართულ ენასთან დაკავშირებით შევარდნაძის დამსახურებად ჩაითვალა, ხოლო მოსკოვის ქმედება – განუხორციელებულ მზაკვრობად – დიდ დამარცხებად და ქართველი ხალხის გამარჯვებად. არადა, საწინააღმდეგო ფაქტთან გვქონდა საქმე.

აღნიშნული ისტორია ჩემს თვალწინ მოხდა – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილის. ამ არცთუ სახარბიელო ისტორიის თაობაზე მასალები გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოვაქვეყნე, თუმცა ჩემს წერილებს აჟიოტაჟი არ გამოუწვევია.

დავუშვათ, ისე მოხდა, როგორც იმჟამინდელი ხელისუფლება გვიხატავდა. დავუშვათ, მოსკოვის ბოროტი ზრახვები ვერ ასრულდა, ვინაიდან ქართველმა ხალხმა თავისი კატეგორიული მოთხოვნით დაიცვა საკუთარი ენა. დავუშვათ, მაშინ ადგილი ჰქონდა კეთილის, ბოროტზე გამარჯვებას, დღეს რა გვჭირს, რა გვემართება – საკუთარ ხელისუფლებასთან პაექრობაში მუდამ ბეჭებზე დადებული რომ ვართ?!

რა გამოდის მაშინდელ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ანუ მოსკოვთან გაცილებით იოლი იყო ბრძოლა, ვიდრე საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან?

რატომ ვთმობთ პოზიციებს ენისთვის ბრძოლაში? ან იქნებ მიგვაჩნია, რომ ენის შენარჩუნებისთვის მხოლოდ რუსეთთან უნდა ვიომოთ და არა ამერიკასთან?!

როგორც ჩანს, ამერიკული **„კრემლი“**, თავისი ბრჭყვიალა სათამაშოებით და საღეჭი რეზინებით, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს გაევროპელებულ ქართველობაზე. ასეთ დროს რა მოსატანია დედა ენა. **„ვაუ, ჩვენს თავს“**!

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ბატონ ვლადიმერ (ვოვა) გულუას დის,
ქალბატონ თინა გულუას
გარდაცვალების გამო...
უფალმა ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს განსვენებულის სულს...

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ქ-ნი ელისო ჩაფიძეა და, ახლა რომ მოუნდა ხალხთან ყოფნა და მეშახტეების გულში ჩახუტება, გულმოკლული სახით ცრემლებს რომ აღვარღვარებს, ხალხის ბედზე მოფიქრალი გულმხურვალე მამულიშვილის ნიღაბს ირგებს და რიხიანად აცხადებს: **"ჩემზე კარგად არავინ იცის მაღაროელების გასაჭირი, რადგან თვითონ მაღაროელის შვილი ვარო"**. კი მაგრამ ახლა გაახსენდა ხალხი და მაღაროელების გასაჭირი? ახლა რომ მათ შუაგულში ტრიალებს, მათ გაუსაძლის მდგომარეობას იზიარებს და მათთან ყოფნას უსვამს ხაზს, რატომ იყო, რომ თავისი ზეობის პერიოდში ხალხს ახლოს არ იკარებდა. პირადად მე, სხვადასხვა არხებით რამდენჯერმე ვთხოვე მიღება. ვიფიქრე პარლამენტის განათლების კომიტეტის წევრია და ამ აუღებელ სამინისტროში იქნებ სიმართლის მიღწევაში დამეხმაროს-მეთქი. შენც არ მომიკვდე, შემომითვალა თბილისში ვერ მივიღებ, მე ხომ ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ვარ, აქ ჩამოვიდეს და მივიღებო. მართლაც ჩავედი, მთელი ერთი კვირა მალოდინა და არ მიმიღო. კარგით რა, ნამუსიც კარგი საქონელია, ხალხი დაიღალა თქვენი ამდენი ტყუილებითა და თვალთმაქცობით.

ბ-ნო ბიძინა, ამას ლაპარაკობს კაცი, რომელიც წინა ხელისუფლების უსამართლობის მსხვერპლი და თქვენი მხურვალე მხარდამჭერია. კაცმა რომელმაც თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, რაც მასზე იყო დამოკიდებული, თავი არ დაუზოგავს და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ **"ქართული ოცნება"** ხელისუფლებაში მოსულიყო. ახლა, რომ ყველა ვაუკაცია, ყველა მედროვემ რომ ფერი იცვალა და მგლის სახეს ქურქში მალავენ, პირში რომ გეფერებიან და თქვენს მზეს ფიცულობენ, სად იყვნენ მაშინ, როცა სააკაშვილის რეჟიმი თავისი ზონდერბრიგადებით დაუნდობლად გებრძოდათ. როცა ბიზნესს გართმევდნენ, მოქალაქეობას არ გაძლევდნენ, ქონებას გიყადაღებდნენ, ბანკს გიკოტრებდნენ, პირადი დაცვა გაგიარაღეს და თქვენს სიცოცხლეს აშკარა საფრთხე შეუქმნეს, თქვენ და თქვენს ოჯახს ფიზიკური ლიკვიდაციით გემუქრებოდნენ. მე კიდევ, თქვენს მიერ პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, 2011 წლის ოქტომბრის ბოლოს, გაზეთ **"საქართველო და მსოფლიო"**-ს ფურცლებიდან ღია წერილით მოგმართეთ და მხარდაჭერა გამოგიცხადეთ, ჩემი პოზიცია გაბედულად და უშიშრად დავაფიქსირე და პრაქტიკულ ქმედებებზე გადავედი (ცუდი არ იქნებოდა ის წერილი თავის დროზე, რომ წაგეკითხათ). იმ პერიოდში ეს, არც თუ ისე იოლი საქმე იყო. კერძოდ: თქვენთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას ხელი მოვაწერე, როცა თქვენს ბანკს ძალიან უჭირდა, და თითქმის გაკოტრებული იყო, 2011 წლის ნოემბერში მე და ჩემი ინვალიდი შვილის შავი დღისათვის შენახული საპენსიო დანაზოგი, 1000 ლარი, ლიბერთი ბანკიდან გამოვიტანე და ქართუ ბანკში შევიტანე, რომელიც ორი წლის მანძილზე იქ იყო. ამ თანხიდან ქველმოქმედების სახით, თქვენი მოძრაობის ანგარიშზე 100 ლარის შეტანა მინდოდა, მაგრამ ბანკის თანამშრომელმა გოგონამ მითხრა, ვინც ასეთ ქველმოქმედებას აკეთებს, სააკაშვილის ჯალათები ყველას აჯარიმებენ და თქვენც შარში არ გაეხვეთო. ამიტომ იყო რომ ის 100 ლარი მაშინ ვერ შევიტანე. გამოტანის დროს კი მითხრეს, (ახლაც მახსოვს იმ გოგონას გვარი მუსერიძე იყო) ასეთი პროგრამა არ გვაქვს, სადაც აღინიშნება, რომ ეს 100 ლარი 2 წლის წინ, ბანკის კრიზისის დროს გინდოდა დახმარების სახით შემოგეტანაო. თუ გნებავთ ახლა დაეხმარეთო. რა თქმა უნდა თავი შევიკავე, რადგან ამას ცინიზმად შეაფასებდნენ და სულელადაც ჩამთვლიდნენ. 150 ლარიანი პენსიის პატრონმა 7 მილიარდი დოლარის მეპატრონე ბიძინა ივანიშვილს, თავისი მთელი თვის სარჩო 100 ლარი შეეწიაო. არჩევნების წინადღეებში ჩემს შვილს 18 წელი შეუსრულდა, თურმე პასპორტსაც ვადა გასვლია, რის შესახებ საარჩევნო კომისიამ, მხოლოდ არჩევნების წინა დღეებში მაცნობა. სასწრაფო წესით 3 დღეში მოვახერხე პასპორტის აღება, რომ ქართულ ოცნებას ის ერთი ხმაც არ დაეკარგა. აღარაფერს ვამბობ იმ აგიტაციასა და პროპაგანდაზე, რასაც განუწყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში ვეწეოდი (რა თქმა უნდა ყოველგვარი ჰონორარის გარეშე). მნიშვნელობა არ ჰქონდა ეს იქნებოდა თბილისი, ჩემი მშობლიური ჭიათურა და მისი სოფლები, თუ სხვა რაიონში, ან სოფელში სტუმრად ყოფნისას. მაგალითად, 2012წ აგვისტოს ბოლოს ასპინძაში ჩემს დეიდაშვილთან სტუმრობისას, სოფელ ოთაში, როცა **"ქართული ოცნების"** წარმომადგენლებთან შეხვედრას, სააკაშვილის ზონდერბრიგადებით დაშინებული ხალხი ვერ ბედავდა და ღობის უკან ეზოებში იმალებოდნენ, მე ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, ამ ხალხს კიდევაც შევხვდი და მე-9-ე არხის ჟურნალისტს ინტერვიუც მივეცი. ჩემს დეიდაშვილთანაც დავპატიჟე და მასპინძლობასაც ვაპირებდი, მაგრამ მოუცლელობის გამო მიპატიჟებაზე უარი მითხრეს. ჰკითხეთ მაშინდელ ასპინძის მაჟორიტარობის კანდიდატ, და ახლანდელ დეპუტატ ბ-ნ თემურ მაისურაძეს, რომელმაც თავის თანმხლებ პირებს პირდაპირ უთხრა: **"ამ სოფელში, ჩვენ გასაკეთებელ საქმეს ეს კაცი აკეთებსო"**. ბ-ნმა თემურმა, თავისი ხელით ორი ტელეფონის ნომერი ჩამიწერა და მთხოვა, თბილისში რომ ჩამოხვალთ აუცილებლად დამირეკეო. არჩევნების შემდეგ ორჯერ დავურეკე, მაგრამ ორივეჯერ **"საპატიო მიზეზით"** უარი მითხრა შეხვედრაზე. თუ დაინტერესდებით ეჭვი არ მეპარება, რომ ყველაფერს ამას ის უეჭველად გაიხსენებს და დაადასტურებს კიდეც. მაგრამ რა, ამით რას მივაღწიე?! ამდენი იმისთვის ვიწვალე, რომ თქვენმა დანიშნულმა მინისტრებმა, მიღებას ვინ ჩივის, განცხადებაც არ წაიკითხონ და მასზე პასუხიც არ გამცენ? ვითომ ინკლუზიური სწავლების გამო ჩემს ინვალიდ შვილს, შაშკინმა რესპუბლიკაში არსებული ერთადერთი ლოგოპეტური სკოლა დაუხურა, და ეს ბუნებისგან უსამართლოდ დაჩაგრული, ყოვლად დაუცველი და უსუსური 144 ბავშვი ჩვეულებრივ სკოლებში გადაანაწილა, რომელსაც არა მგონია რაიმე შედეგი მოჰყვეს. ამ სკოლის დირექტორად მუშაობდა შესანიშნავი პიროვნება, ნამდვილი პედაგოგი და აღმზრდელი ბ-ნი ნუგზარ პაპიაშვილი, (სხვათაშორის ბ-ნი ღარიბაშვილის ცოლის ალალი ბიძაა) რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ამ სკოლაში შშმ ბავშვებისათვის შექმნილ **"დღის ცენტრს"** შეუფერხებლად ეარსება, და მის ფუნქციონირებას ხელი არ შეშლოდა. ყოველგვარი საიჯარო ქირის გარეშე გამოუყო ოთახები, შეძლებისდაგვარად ინვენტარი და უნდა ითქვას, რომ ეს **"დღის ცენტრი"** ერთ-ერთი საუკეთესო იყო თბილისის მასშტაბით. ამ ცენტრის მომსახურებით 37 შშმ პირი სარგებლობდა, მათ შორის ჩემი შვილიც. მსურველი ბევრად მეტი იყო, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმატივების თანახმად, დაკავებული ფართი არ იძლეოდა ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდის საშუალებას. 2012 წელს სკოლა გაუქმდა, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრომ ამ ცენტრს 2014 წ-მდე საიჯარო ხელშეკრულება მაინც გაუფორმა. 2014 წელს შენობა გასხვისდა და ფართის ფლობის დამადასტურებელი ცნობის არ ქონის გამო, ჯანდაცვის სამინისტრომ ამ დღის ცენტრს ლიცენზია შეუჩერა. ეკონომიკის სამინისტრომ, და პირადად მინისტრის პირველმა მოადგილემ ბ-ნმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, გამოიჩინა კეთილი ნება და იმავე წლის ოქტომბერში ორგანიზაციას მიცა ალტერნატიული ფართი თევდორე მღვდლის ქუჩაზე №46-ში. სამწუხაროდ ამხელა მადლს, ვერ იქნა და ვერაფრით მოხერხდა, რომ ბ-ნმა ქუმსიშვილმა მარილი მოაყაროს. რაღაც დროებითი კომისია ყოფილა ეკონომიკის სამინისტროში, რომლის თავმჯდომარე თურმე თვითომ ბ-ნი ქუმსიშვილი ბრძანებულა. აი ამ კომისიის დასკვნაა საჭირო, რომ ფართის ფლობის უფლება ოფიციალურად დაგვიდასტურონ. მხოლოდ ამ საბუთის წარდგენის შემდეგ აღუდგენს ჯანდაცვის სამინისტრო დღის ცენტრს შეჩერებულ ლიცენზიას. და არიან ასე მიმოფანტული და ბედის ანაბრად დატოვებული ეს ბუნებით დაჩაგრული შშმ ბავშვები, ამ წელიწადნახევრის მანძილზე. **ბ-ნო დიმიტრი!** ამ პერიოდში მერია მოიარეთ, მინისტრი და ვიცე-პრემიერი გახდით, რა გახდა ამ კომისიის ჩატარება და ამ კეთილშობილ საქმეზე მარილის მოყრა, რომ ამ საცოდავმა ბავშვებმა ასე აღმა-დაღმა აღარ იარონ და თავის ნავსაყუდელს დაუბრუნდნენ. ამას ხომ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, არც დამატებითი თანხები, და არც სხვა რაიმე მატერიალური დახმარება სჭირდება, გარდა თქვენი კეთილი ნებისა. იმ 30 ბენეფიციარის უკან ხომ მათი მშობლები და ამდენივე ოჯახი დგას, მათი სახელით გთხოვთ, კიდევ ერთხელ გამოიჩინოთ კეთილი ნება, როგორმე მოიცალოთ და ჩაატაროთ ეს ავადსახსენებელი კომისიის სხდომა, ამით კი ამ ბავშვებსა და მათ მშობლებს ეს პრობლემა მოუგვაროთ. ჩემს შვილს დღემდე ვერ მოუნელებია და სულ მეკითხება, ივანიშვილს ხმა ხომ მივეცით, დღის ცენტრი რატომ არ აღგვიდგინაო.

ბ-ნო დიმიტრი, როგორ ავუხსნა და როგორ გავაგებინო ამ ბავშვს, და მასთან ერთად იმ 29 ბენეფიციარს, თუ რატომ ვერ მოახერხა ამ წელიწადნახევრის მანძილზე, მაშინდელმა მინისტრის მოადგილემ და ახლანდელმა მინისტრმა და ვიცეპრემიერმა ბ-ნმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, ამ ავადსახსენებელი კომისის ჩასატარებლად, რაღაც ათიოდე წუთის გამონახვა. იმედია, ახლა მაინც შეძლებთ და ამ საკითხს დროულად გადაჭრით.

ᲝᲛᲐᲠ ᲒᲝᲪᲐᲫᲔ

ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲚᲣᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘ

ჩვენ ვართ საძიებო მოძრაობის წარმომადგენლები. მამულის დამცველებს ვპოულობთ და ვახორციელებთ ნეშტის გადასვენებას, აღვადგენთ უგზოუკლოდ დაკარგული ჯარისკაცების სახელებს. უკვე დიდი ხანია რაც ამ საქმეს ვემსახურებით. მეექვსე წელია რაც ჩვენი რაზმი მუშაობს იუხნოვის რაიონში (კალუგის ოლქი).

ახლახანს არქივში მოძიებულ იქნა უწვეულო დოკუმენტი **„პირადი შემადგენლობის სია, 1942 წლის 23-26 მარტს უგზოუკლოდ დაკარგულების ს. კუვშინოვო-პიტომნიკის მიმდებარედ“**. მთელი არაჩვეულებრივობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ჯარისკაცები მიწვეულნი არიან კავკასიიდან: ქართველები, სომხები, დაღესტნელები, აზერბაიჯანელები. საბრძოლო მოქმედებების ჟურნალებიდან გამომდინარეობს, რომ რამოდენიმე დღეში ჩამოვიდა სამარშო შევსება.

სავარაუდოთ, ყველანი ჩართეს ბრძოლაში ჩასვლისთანავე და ყველანი დაიღუპნენ.

სოფ. კუვშინოვოს მიმდებარედ იყო სამხედრო აეროდრომი, ჩვენი რაზმიდან ერთ-ერთი განახორციელებს ძიებას ამ მიდამოში. შესაძლებელია, რომ ჩვენ გავიგოთ დაკარგული ასეულის ბედი.

ჩვენ მოგმართავთ დახმარებისთვის. აუცილებელია მოვძებნოთ ნათესავები და შევატყობინოთ მათი დაღუპვის სავარაუდო ადგილი. არქივებმა სულ ახლახანს იწყეს გახსნა და ამიტომ შესაძლებელია მათ არ იცოდნენ ომიდან არ დაბრუნებული ჯარისკაცების ბედი.

1.შამათავა არასი იმატის ძე;1908 წელი; ზუგდიდის რ-ნი
2.სურაბლიშვილი თედუ ალექსის ძე; 1915 წ; ყვარლის რ-ნი
3. ბამაშვილი მიხეილი ზახარის ძე;1915 წ; ყვარლის რ-ნი
4.ტალაშვილი დათია დავითის ძე; 1911 წ; ყვარლის რ-ნი
5.ბერაშვილი ზაბელდი ბოლდანის ძე;1908 წ; ჩოხატაურის რ-ნი
6.კუზალიშვილი მალია დავითის ძე; 1908 წ; ყვარლის რ-ნი
7.ნაზაროვი აჩხალი სულეიმანის ძე;1909 წ; მარნეულის რ-ნი
8.ალბუთაშვილი ივანე აბუტის ძე;1912 წ; თელავის რ-ნი
9.კარია გიორგი ემრაზის ძე;1907 წ; გალის რ-ნი
10.კოკაშვილი იოსეფი აბრამის ძე; 1915 წ; სიღნაღის რ-ნი
11.ჭკადუა შალვა პეჩუს ძე;1917 წ; ზუგდიდის რ-ნი
12.მუგალაშვილი ნიკოლა ზახარის ძე; ლენინგორის რ-ნი
13.მილორავა კულიანი ფილიპის ძე; 1911 წ; გეგეჭკორის რ-ნი
14.შოვიშვილი მეჯიტი ლინევის ძე; ქობულეთის რ-ნი
15.ბედენაშვილი ვასილი გიორგის ძე; 1904 წ;
16.პერაევი კიტო არიონის ძე;1922 წ; ჭიათურის რ-ნი
17.ჩიხლაძე ერისტო ილარიონის ძე;1922 წ; წყალტუბოს რ-ნი
18.დავლითაშვილი სიმონი პეტრეს ძე;1919 წ; ადიგენის რ-ნი
19.ცველაია ამბროსი ამბიგოს ძე;1911 წ;აბაშის რ-ნი
20.აბისაძე აბესალა; 1907 წ; ჭიათურის რ-ნი
21.შახიმიაძე მიხეილი; 1906 წ; ჭიათურის რ-ნი
22.კოკუა ბორჯო; 1909 წ; გალის რ-ნი
23.ბუჩუკური გრიგორი ზახარის ძე;1916 წ; დუშეთის რ-ნი
24.ხატია შალვა;1919 წ; ზუგდიდის რ-ნი
25.თოლიძე ვალერიანი სარდინის ძე;1923 წ;ჩოხატაურის
26.კუდორავა შალვა ტარასის ძე;1917 წ;მაიაკოსვსკის რ-ნი
27.ფურცვალიძე ვარლამი;1913 წ; ქუთაისის რ-ნი
28.ულგინაშვილი კონსტანტინე ნიკოლას ძე;1912 წ;
29.კუზალაძე ამირი სარდინის ძე;1915 ჭიათურის რ-ნი
30.ქათამაძე ხასანი; 1908 წ;ქობულეთის რ-ნი
31.ბენაშვილი შალვა თომას ძე: 1912 წ; თბილისი
32.შარავანოვი ქიბარი ტუპანის ძე;1906 წ;
33.სულეიმანოვი ოსმანი ისმაილის ძე; 1914 წ; ახალციხის რ-ნი
34.მოდებაძე ანანი ოხტიმოვიჩის ძე;1911 წ;
35.შაშანაშვილი ბორია მიხეილის ძე;1919წ; სიღნაღის რ-ნი
36.აბესაძე ნიკალა ლეონტის ძე; 1910 წ; ყვარლის რ-ნი
37.მახიტარიანი აგასი მუშელის ძე; 1919 წ;
38.მახაძე ავილი მიხეილის ძე; 1919წ;
39.იასონოვი ჩავირგია;1907 წ; გალის რ-ნი
40.ჭაავა ჭიჭიკო ადას ძე; 1909 წ; გალის რ-ნი
41.შარვაშიძე არბენი ილარიონის ძე;1915 წ; ქუთაისის რ-ნი
42.ქირია მიხეილი სტეფანის ძე; 1910 წ; გალის რ-ნი
43.ჯინია ივანე დიმიტრის ძე; 1910 წ; გეგეჭკორის რ-ნი
44.შათირიშვილი გიორგი ვლადიმერის ძე; 1909 წ; ჩოხატაურის რ-ნი
45.ატატია არგილი; 1909 წ; გეგჭკორის რ-ნი
46.კაზაროვი ტატუმი მუშელის ძე; 1909 წ; ბორჩალოს რ-ნი
47.მუცაპე ტრიფონი პეტრეს ძე; 1910 წ;
48.მეტრეველი სოკრატე ფილიპეს ძე; 1911 წ; გალის რ-ნი
49.ჟვანია იულიანე ოლეს ძე; 1903 წ; ზუგდიდის რ-ნი
50.კატუკიშვილი გიორგი ივანეს ძე; 1904 წ; ყვარლის რ-ნი
51.გაბილაშვილი აკაკი; 1919 წ; ქუთაისი რ-ნი
52.კვილინაძე შალვა; 1909 წ; ქუთაისის რ-ნი
53.შონია პროკოფი არსენის ძე; 1914 წ; გალის რ-ნი
54.ჩხეიძე ვარლამი ივანეს ძე; 1909 წ; გალის რ-ნი
55.შამუევი როდიონი ერიკის ძე; 1911 წ; გალის რ-ნი
56.შონია შალიკო ბადრის ძე;1903 წ; გალის რ-ნი
57.ტაბაღუა ანდრეი პავლეს ძე; 1908 წ; გალის რ-ნი
58.ჯაფარიძე სულეიმანი სელიმის ძე; 1905 წ; ქობულეთის რ-ნი
59.აბლოთია ანდრეი პეტრეს ძე; 1908 წ; გალის რ-ნი
60.ქუთელია რომანოზი; 1912 წ; გალის რ-ნი
61.აგაჩია აკაკი; 1908 წ; გალის რ-ნი
62.მარკოზია გერმანე ტარასის ძე; 1916 წ; გალის რ-ნი
63.გუთიაშვილი გიორგი მიხეილის ძე; 1906 წ; ყვარლის რ-ნი
64.ჩენიკაშვილი ზაქარი იასეს ძე; 1912 წ; ყვარლის რ-ნი

ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

პლენუმზე, სადაც განიხილებოდა არჩევნების საკითხი, წინააღმდეგ არავინ გამოდიოდა, მაგრამ ყველაზე "მტაცებელი" მდივნები პლენუმის შემდეგ დარაზმულები მიდიოდნენ მიღებაზე სტალინთან. დღეში დაახლოებით ორი-სამი კაცი. ამ ვიზიტების შემდეგ სტალინმა კაპიტულაცია გამოაცხადა.

"რეპრესიების შეჩერება 1938 წლის თებერვლის მორიგ პლენუმზე მოითხოვეს. გამოდიოდა მალენკოვი – მაშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილების გამგე და განსაკუთრებით გააკრიტიკა ისინი, ვინც ყველაზე მეტ მონდომებას ავლენდნენ. შეკითხვით მიმართა პოსტიშევს (ადრე უკრაინაში მსახურობდა – იმ მომენტში კი კუიბიშევის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო): თქვენ უკვე ციხეებში გაისტუმრეთ ოლქის უამრავი საბჭოთა ორგანოების, კომკავშირის, პარტიული მუშაკები. სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს? პოსტიშევმა უპასუხა: "ვიჭერდი, ვიჭერ და კვლავაც დავიჭერ! ეს ჩემი მოვალეობაა!" მალენკოვმა აზერბაიჯანის ცეკას პირველ მდივანს ბაგიროვს მიმართა: როგორ შეგიძლიათ ხელი მოაწეროთ დახრეტის იმ ფურცელს, სადაც კონკრეტული გვარები არაა მითითებული და მხოლოდ ციფრები წერია? ბაგიროვმა ვერაფერი უპასუხა.

სტალინი თვლიდა, რომ სასწრაფოდ უნდა მოეშორებინა ეჟოვი, რომლის ხელითაც ტარდებოდა აღვირახსნილი რეპრესიები. მაშინ ასეთი ტერმინი იშვა: "ეჟოვის ხელთათმანები". ჩამოიყვანეს ბერია და დანიშნეს ეჟოვის პირველ მოადგილედ, მაგრამ იგი ვერაფერს გახდა ეჟოვთან. 1938 წლის ნოემბრის მიწურულს ეჟოვი სტალინთან გამოიძახეს. კაბინეტში იმყოფებოდნენ ვოროშილოვი და მოლოტოვი. სწორედ მათ აიძულეს ეჟოვი, რომ წასულიყო დაკავებული თანამდებობიდან.

მე შევძელი მომეძიებინა ეჟოვის თავიდან მოშორების ვარიანტები. ისინი სხვადასხვა ფურცლებზეა აღნიშნული, ერთი ფურცელი ჩვეულებრივი თეთრი ფერისაა, – მეორე – ცალხაზიანია, მესამე – უჯრებიანი... არ დაეძებნენ, როგორ ფურცელზე წერდნენ, მთავარი იყო, დაეფიქსირებინათ. თავიდან ეჟოვი თანახმა იყო ყველა თანამდებობა დაეტოვებინა, გარდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა. არ გაუვიდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნეს ბერია" (ისტორიკოსი ი. ჟუკოვი).

საკმარისია გავიხსენოთ რუხიმოვიჩის სამსახურიდან განთავისუფლების ისტორია და მივხვდებით, რომ ეჟოვის თავიდან მოცილება არ გახლდათ იოლი საქმე. მაგრამ ჟუკოვი მაინც არ პასუხობს მთავარ შეკითხვას: რატომ შეჩერდა არჩევანი მაინც და მაინც ბერიაზე?

ამ შეკითხვაზე პასუხს გასცემს თავად ლავრენტი ბერია, თავისი დღიურში გაკეთებულ ჩანაწერებში, 1938 წლის ზაფხულში.

"მე უკვე დიდი ხანია ვიცი, თუ რას წარმოადგენს ძალაუფლება. თითქმის ბავშვი ვიყავი, როცა უკვე ძალაუფლება მქონდა. რა იყო ჩემთვის ძალაუფლება? შენ ნდობა გამოგიცხადეს და იმუშავე. თუ მუშაობა არ შეგიძლია – ისწავლე. თუ არ გსურს, თავს ძალა დაატანე. შენ ხომ ნდობა გამოგიცხადეს. მერე, როცა ძალაუფლება გაქვს, ეს ხომ საინტერესოა? შენ მოიფიქრებ გასაკეთებელს, შენვე გააკეთებ. ხედავ, რომ შენს გვერდით უნარიანი კაცია. დაეხმარე მას ფეხზე წამოდგომაში და მერე ის დაგეხმარება შენ, შენს სამუშაოს გაგიადვილებს.

რაც უფრო მეტი ძალაუფლება გაქვს, მით უფრო საინტერესოა. ხოლო თუ საკუთარი თავის უფროსი ხარ, იმუშავე და იმუშავე. სამხარეო კომიტეტი რომ ჩავიბარე, სიხარულით ლამის დავფრინავდი. მანამდე ხელები მექავებოდა – იქ წესრიგი არაა, იქ იდიოტები სხედან, იქ საქმე უნდა გაკეთდეს, მაგრამ არ აკეთებენ. ახლა კი ყველაფერი შენზეა დამოკიდებული! უბრძანე და გააკეთებენ. არ გააკეთებენ და დასჯი. თუ მაინც არაფერი გამოვიდა, სამსახურიდან გააგდებ. შენ ყველაფერი შეგიძლია. საქართველოში რომ ვმუშაობდი, სული ხარობდა. ხედავ ჭაობს? დააშრე! გინდა რომ ჯანმრთელი და ჭკვიანი თაობა აღიზარდოს? ააშენე სტადიონები, ააშენე ინსტიტუტები. ისწავლეთ, ივარჯიშეთ, გაიხარეთ!"

მაგრამ როგორ ხდება ხოლმე? მავანნი ფიქრობენ, რომ თუ ძალაუფლება მიიღეს, მისი ჭამა შეიძლება. და წინა პლანზე გამოდის ანგარება, ნივთებისადმი ტრფობა, მანიკურების კასკადი და, რაც მთავარია, ქალებში დროის ტარება. შემდეგ გამოიჭერენ და იწყება ცრემლების ღვარღვარი. თავადაც ვერ ამჩნევენ, ისე ხდებიან მტრები".

სტალინმა შეძლო ბერიაში დაენახა ის ადამიანი, რომელიც სიცოცხლისმიერად საჭირო იყო ახალი კონსტიტუციისათვის. მაგრამ ჯერ საჭირო იყო ქვეყნის გაწმენდა ნანგრევებისაგან.

1938 წლის 31 აგვისტოს ლავრენტი ბერიამ, როგორც საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანმა ჩაატარა თავისი უკანასკნელი პლენუმი.

სექტემბერში პოლიტბიურომ დაამტკიცა ლ.პ. ბერიას დანიშვნა სსრკ შინსახკომის პირველ მოადგილედ. ნათელი იყო, რომ ბერიას მალე დააწინაურებდნენ სახალხო კომისრად.

იაგოდამაც და ეჟოვმაც, თავიანთი რვაწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში, აკმაყოფილებდნენ რა ზემდგომი პარტიული ორგანოების მოთხოვნებს, შინსახკომი გადააქციეს იმ მონსტრად, რომლის სახელის გაგონებაც კი დიდ შიშს და ზიზღს გვრიდა ადამიანებს. ჯერ სკკპ (ბ) XVII ყრილობის შემდეგ"პარტიული რიგების წმენდამ", მერე "ელექტორატის" გაწმენდამ 1936 წელს მიღებული ახალი კონსტიტუციის შემდეგ, რომელიც ჩატარდა ეგიდით, თითქოს ეს ელექტორატი საფრთხისმომცველი გახლდათ "ძველი ლენინური გვარდიისათვის" (ჩვენ კიდევ არაერთგზის დავუბრუნდებით ამ საკითხს), დასტოვა სისხლიანი კვალი, რაც აისახა ქვეყნის მთავარი სახალხო კომისარიატის აბრაზე, გახადა ეს უწყება გაზულუქებული "ელიტის" ინტერესების დამცველად და უკანა პლანზე გადაისროლა ამ უწყების მთავარი დანიშნულება – ქვეყნის უსაფრთხოებისათვის ზრუნვა. ახლა კი აუცილებელი გახლდათ რომ ამ უწყებას დაბრუნებოდა ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის მიერ ფუნდამენტირებული ავტორიტეტი და პროფესიული მოწოდება.

ამ უწყების ავტორიტეტი შეირყა ჯერ კიდევ მის სათავეში ეჟოვის მოსვლამდე. და ეს ფაქტები ჟღერდებოდა ევროპელი პოლიტიკოსების გამოსვლებში. ეს ახლა ახსენებენ მათ სახელებს სხვა ტონალობაში, რომელსაც გეოპოლიტიკური გარდაქმნებით ხსნიან, მაშინ კი...

1937 წლის 3 სექტემბერს, ნიურნბერგში გამართულ გერმანელ ნაციონალ-სოციალისტთა ყრილობაზე, ნაციზმის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, რეიხსლაიტერმა, შემდგომში იმპერიის აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიათა მინისტრმა ალფრედ როზენბერგმა არც თუ გარკვეული სიამოვნების გარეშე განაცხადა სსრკ სახკომსაბჭოს სისტემაში მომძლავრებული კორუფციისა და ქურდობის თაობაზე. იმ დროისათვის უწყების სათავეში მყოფმა ჰენრიხ იაგოდამ შექმნა პატიმრებისა და გამოძიების ქვეშ მყოფთაგან ოქროსა და ძვირფასეულობის გამოძალვის მთელი სისტემა. სასტიკი პენიტენციური სისტემის უმნიშვნელო "შერბილების" წყალობით მიღებულ სახსრებს იაგოდა თავისი ამფსონების ხელშეწყობით განათავსებდა უცხოეთის ბანკებში. სწორედ იქ აღმოაჩინეს გერმანელებმა "იაგოდას კვალი", რომელსაც წარმატებით იყენებდნენ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის.

ვისთვის შეეძლო სტალინს ენდო ეს "სიზიფეს შრომა", რათა გაწმენდილიყო შინსახკომის სისტემა იქ დაგროვილი ნაგვისაგან? ხრუშჩოვისა და ჩკალოვის იაგოდას შემცვლელებად მონიშვნაზე საუბრისათვის დროის დაკარგვა არ ღირს: პირველი ფიგურა კომიკური და უტოპიური გახლდათ, მეორე კი ძალზე რომანტიული იყო. ორივენი მხოლოდ თანამედროვე სცენარისტებისათვის თუ გამოდგებიან "ანტისიყვარულზე" ან "სიყვარულზე" კინონაწარმოების ფსევდოისტორიულ ტიპაჟებად. მაგრამ სტალინს ისინი არაფრად გამოადგებოდნენ, მით უმეტეს ომისწინა უმძიმეს წლებში.

არსებობს ერთი უტყუარი დოკუმენტი. 1934 წლის 20 მარტს სკკპ (ბ) ცეკას პოლიტბიურომ ჩამოაყალიბა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ინსტრუქციები შინსახკომისა და მასთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს თაობაზე. კომისიის შემადგენლობაში კაგანოვიჩთან (თავმჯდომარე), კუიბიშევთან, იაგოდასთან, კოსიორთან, ჩუბართან, ლეპლევსკისთან, აკულოვთან, ვიშინსკისთან, პროკოფიევთან, ბულატოვთან, აგრანოვთან, ბალიცკისთან, პედენსთან, ბელსკისთან და კრილენკოსთან ერთად შედიოდა **ლავრენტი ბერიაც**.

ამიტომ, 1938 წელს შინაგან სსრკ საქმეთა სახალხო კომისრის კაბინეტში ბერია შემთხვევით არ აღმოჩენილა.

პავლე სუდოპლატოვი, რომელიც მაშინ შინსახკომის ცენტრალური აპარატის საგარეო განყოფილებაში მუშაობდა, იხსენებდა:

"1938 წელს ატმოსფერო საშინლად დაძაბული იყო – იგრძნობოდა რაღაც უბედურების მოახლოება. შინსახკომის საგარეო დაზვერვის უფროსის მოადგილე შპიგელგლაზი ყოველდღე სულ უფრო და უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა. მან უარი თქვა ჩვენს ყოველკვირეულ ტრადიციაზე – გაეტარებინა დრო მეგობრებთან ერთად. სექტემბერში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა შინსახკომის მაშინდელი შეფის ეჟოვის მდივანმა, რომელიც ნავით სეირნობდა მდინარე მოსკოვში. ეს ყველასათვის გახლდათ სრული მოულოდნელობა. მალე გაჩნდა ახალი განკარგულება, რომელმაც ყველანი აგვაფორიაქა: ბერიას ხელმოწერის გარეშე დაპატიმრების ყველა ორდერი ძალადაკარგულად ითვლება. ლუბიანკაზე ხალხმა საუბრები შეწყვიტა, ყველანი ჩუმად დაიარებოდნენ. ლუბიანკაზე ცენტრალური კომიტეტის სპეციალური კომისია ატარებდა შემოწმებას.

დაწვრილებით ვიხსენებ შემდეგ განვითარებულ მოვლენებს. დადგა ნოემბერი და მალე ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული უნდა გვეზეიმა. და, აი, დილის ოთხ საათზე ტელეფონის გაბმულმა ზარმა გამაღვიძა – რეკავდა სსრკ შინსახკომის საგარეო განყოფილების სამდივნოს უფროსი. ოფიციალური ტონით მესაუბრებოდა, თუმცა, მის ხმაში აშკარად იგრძნობოდა მღელვარება.

– პავლე ანატოლის ძე, – მომმართა მან, – თქვენ სასწრაფოდ გიბარებთ სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე მერკულოვი. მანქანა უკვე გელოდებათ. მოდით რაც შეიძლება მალე. ახლახან დააპატიმრეს შპიგელგლაზი და პასოვი (შენსახკომის საგარეო განყოფილების უფროსი).

ჩემი ცოლი აფორიაქდა. გადავწყვიტე, რომ ჩემი ჯერი დადგა.

ლუბიანკაზე თავად კოზლოვი შემხვდა და მერკულოვის კაბინეტამდე მიმაცილა. იგი მომესალმა თავისი აკურატული, თავაზიანი მანერით და შემომთავაზა, რომ ლავრენტი პავლეს ძესთან შევსულიყავით. ნერვები უკიდურესობამდე მქონდა დაძაბული. წარმოვიდგინე, თუ როგორ დამკითხავდნენ შპიგელგლაზთან ჩემი კავშირების თაობაზე. მაგრამ, როგორი გასაოცარიც არ უნდა ყოფილიყო, ბერიას არავითარი დაკითხვა არ უწარმოებია. ოფიციალური ტონით მაუწყა, რომ პასოვი და შპიგელგლაზი დაპატიმრებული არიან პარტიის შეცდომაში შეყვანის გამო და მე მევალება, რომ ჩავიბარო შინსახკომის საგარეო განყოფილების უფროსის თანამდებობა – ე.ი. უცხოეთის მთელი დაზვერვა. ყოველ სასწრაფო საკითხზე ინფორმაცია პირადად ბერიას უნდა მოვახსენო. ამაზე ვუპასუხე, რომ პასოვის კაბინეტი დალუქულია და მე შიგ შესვლას ვერ მოვახერხებ.

– ახლავე მოხსენით ბეჭედი, მომავალში კი დაიხსომეთ: წვრილმანი საკითხებით ყურებს ნუ გამომიჭედავთ. თქვენ სკოლის მოსწავლე არ ხართ!

ათი წუთის შემდეგ მე უკვე პასოვის სეიფიდან გამოღებულ საბუთებს ვახარისხებდი".

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩასვლამდე იცოდა ბერიამ, თუ რას შეეჯახებოდა:

"ნიკოლოზი (ეჟოვი) რთული ადამიანი იყო. ყველაფერი აურდაურია რეპრესიების საკითხებში და საგარეო დაზვერვაშიც. გვიღალატეს ნიკოლსკიმ, კრივიცკიმ, ლიუშკოვმა. ეს იყო მართლაც დიდი ჩავარდნა. კობა წერდა, რომ არ იცოდა ვისთვის გამოეცხადებინა ნდობა. დაზვერვას დიდი ხანი ხელმძღვანელობდნენ არტუზოვი, სლუცკი, ურიცკი და სხვები (...) უნარიანები იყვნენ, მაგრამ – ავანტიურისტებიც. ვერასდროს განჭვრეტდი, თუ საით გადაუხვევდნენ".

ეს სწერია 1938 წლის 29 ივლისის დღიურში.

შინსახკომში ბერიას მოსვლამდე რეზიდენტურებს (საფრანგეთში, ჰოლანდიაში, შორეულ აღმოსავლეთში) სერიოზული ზიანი მიაყენეს.

უცხოეთში გაიქცა საგარეო დაზვერვის სამი მაღალჩინოსანი და კარგად ინფორმირებული თანამშრომელი.

წავიდნენ იდეური მოსაზრებით: უღალატეს სამშობლოს, ეჭვი შეიტანეს რა სტალინის ერთგულებაში "ლენინის ანდერძისადმი".

ალექსანდრე მიხეილის ძე ორლოვი (შინსახკომის კადრების განყოფილებაში ირიცხებოდა როგორც ლევ ლაზარეს ძე ნიკოლსკი, აშშ-ში – იგორ კონსტანტინეს ძე ბერგი).

ნამდვილი სახელია – ლევ (ლეიბა) ფელბინგი. მუშაობდა არხანგელსკის საგანგებო კომისიაში; მსახურობდა საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის უმაღლესი ტრიბუნალის გამომძიებლად, იყო მთავარი პოლიტსამმართველოს უცხოეთის განყოფილებაში (არალეგალური რეზიდენტი საფრანგეთში, ავსტრიასა და იტალიაში). შინსახკომის რეზიდენტი და რესპუბლიკური მთავრობის მრჩეველი ესპანეთში, უშიშროების მაიორი – ჩვენებური საზომით – გენერალი. კურირებდა ცნობილი "კემბრიჯის ჯგუფის" საქმიანობას".

სტალინის პირადი დავალებით ესპანეთიდან საბჭოთა კავშირში შესანახად, დანაკარგის გარეშე, გადმოიტანა ოქროს მარაგი, რომლის ღირებულება გახლდათ ნახევარი მილიარდი დოლარი. მერე კი, როგორც ჩანს, არ მოეწონა სტალინის მიერ მსოფლიო რევოლუციის იდეის უარყოფა.

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,
(გაგრძელება იქნება)

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲕᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲝᲗ

ამასწინათ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პიროვნება დამიკავშირდა, რომელიც აფხაზებს შორის ავტორიტეტით სარგებლობს. მთხოვა, მისი ვინაობა პრესაში არ გამესაჯაროებინა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე ისაუბრა: აფხაზებს ნოსტალგია აქვთ ქართველებზე, მთხოვეს, როცა ჩამოხვალ, ქართული სიმღერები ჩამოგვიტანეო. ახლა აფხაზებს არავინ არაფერს ეკითხება და ყველაფერს რუსები და სომხები განკარგავენ. სომხები აშენებენ სკოლებს, რესტორნებს, ეკლესიებს და როცა აფხაზმა გენერალმა შეკითხვით მიმართა ერთ-ერთ მათგანს – ამას რატომ აკეთებთო, ასეთი პასუხი მიიღო: ჩვენ აქ სისხლი დავღვარეთ და ეს მიწა ჩვენია, შენ ვინ ხარ, წადი აქედანო.

ცნობილი რუსი ჟურნალისტი – ვლადიმერ პოზნერი ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტთან საუბრისას ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობას არასასურველ კონტექსტში განიხილავს. ეს ყველაფერი კი შედეგია ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულებისა რუსეთთან, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმის ტოლფასია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ყოველივე მიზანმიმართულად ხდება. საქართველოს **„მეგობარ"** მეზობელ ქვეყნებს ყველას ჩვენი ტერიტორიული ვალი აქვს. ზოგ საკითხში ქართველებიც ვცოდავთ, როცა უპასუხოდ ვტოვებთ სომეხი ავტორის – რაფის ნაბოდვარს, რომელიც ერეკლე II-ს ლაჩარს უწოდებს: ლაჩარი მეომრები ჰყავდა და იმიტომ დამარცხდნენ კრწანისის ომში. შედეგად ყარაბაღის მელიქი აღა მაჰმად-ხანს მიემხრო და საქართველოს წინააღმდეგ შემოუძღვა საომრადო. როცა ქართული რეალობის საწინააღმდეგოდ სომეხი ერის ისტორიის გაყალბებული ფაქტების ტირაჟირება თავად ქართველი ავტორის ხელით ხდება (საკითხავია – რის ფასად?) აღარ უნდა გაგვიკვირდეს 1918 წლის სომეხთა შემოსევა და აფხაზეთზე სომეხთა პრეტენზიაც. არასასურველი მდგომარეობაა საინგილოშიც, სადაც სახეზეა ქართველების შევიწროვება და მათი უფლებების დარღვევაც – 80 ათასი მართლმადიდებლიდან მხოლოდ 15 ათასი დარჩა.

ხელისუფლებას ქართველი ხალხისთვის არ სცალია, სამაგიეროდ, პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა ამბიციური პროექტების განხორციელება დააანონსა. ქართული ოცნება ხომ აგვისრულეს და საქართველოს მოსახლეობას სრული ბედნიერებისთვის სამთავრობო ქალაქის მშენებლობა და ქუთაისის ტურისტულ ქალაქად გადაქცევა გვაკლდა და ამასაც განახორციელებენ.

ხელისუფლების მიერ სრულიად იგნორირებულია ქართველი ხალხის რეალური პრობლემები. სამაგიეროდ, პირად კეთილდღეობას არ ივიწყებს და 600.000 ლარით ისაჩუქრებს თავს, ხოლო ბოლო სამი თვის განმავლობაში 129 მილიონი ლარი დაიხარჯა მთავრობის წევრების ფუფუნებისათვის. გიგი უგულავას განცხადებით 2012 წლიდან დღემდე 550 მილიონით არის გაზრდილი ბიუროკრატიული ხარჯები. ხელისუფლებამ რუსთაველის თეზა თავდაყირა დააყენა: სახელის მოხვეჭას **„ყოვლისა მოსახვეჭელი"** სჯობსო, ასევე, ილიას თეზაც – **„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად"** – თავად ექცა ხალხს მოუშუშებელ წყლულად. ხელისუფლებამ კანონმდებლობაში უნდა შეიტანოს ცვლილება, რომ მხოლოდ მინიმუმის ზრდის პროპორციულად გაეზარდოთ ხელფასები ყოველგვარი დანამატების გარეშე, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს ყიდულობენ და ყიდიან, ჩვენი პრობლემები კი მრავლდება.

ქართულ პოლიტიკაში პროგრესია, მაგრამ პრემიერ კვირიკაშვილის მიერ დაანონსებულ პროგრესთან საერთო არაფერი აქვს – პარლამენტარი სატელეფონო ზარებს პასუხობს. ბ-ნ ზაზა პაპუაშვილთან შეხვედრისას ჩემს შეკითხვაზე, – იოსებ სტალინი ცოცხალი რომ იყოს, განმეორდებოდა თუ არა 1987 წელი ნაცკრიმინალების 9 წლიანი მმართველობისა და მათ მიერ ბათუმში ჩადენილი ვანდალური აქტის გამო, – ბ-მა ზაზამ მიპასუხა, რომ, სავარაუდოდ ხალხის მტრების წინააღმდეგ განხორციელდებოდა კანონით გათვალისწინებული ზომები. სამწუხაროდ, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. სტალინის ძეგლის დაბრუნების თაობაზე, აღნიშნა, რომ ძეგლები ჩვენი ისტორიაა და ხელი არ უნდა ვახლოთ, მაგრამ ახლა ქვეყანას იმდენი პრობლემა აქვს, რომ ძეგლების სეირნობის დროს არ არისო. დიახ, ქვეყანა ბევრი პრობლემის წინაშე დგას და არც ხეები უნდა ვასეირნოთ, არც ხელისუფლების წარმომადგენლების კომფორტისა და რესტორნებისათვის 129 მილიონი ლარი არ უნდა დაიხარჯოს.

დღეს რომ ი. სტალინი ცოცხალი იყოს ნაცკრიმინალ ხალხის მტრებს ტროცკისტების გზას გაუყენებდა.

დღეს რომ სტალინი ცოცხალი იყოს ევროკავშირის რეკომენდაციებსა თუ სტრასბურგის გადაწყვეტილებას სანაგვეზე მიუჩენდა ადგილს. ეს გადაწყვეტილება არის პრეცენდენტი იმისა, რომ მკვლელობები, წამებები თუ გაუპატიურებები ევროპამ სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცია, რაც ქართველი ხალხისთვის მონობის ტოლფასია. ამ გადაწყვეტილებით დასავლეთი თავისი გავლენის შენარჩუნებას ცდილობს საქართველოზე და ეს უნდა იყოს მოთმინების ბოლო ზღვარი, რათა საზოგადოებამ რეალური შეფასება მისცეს ევროპულ გზას. მაინც რა ღირებულებების მატარებელია დღეს ევროპა? – მხოლოდ ტექნიკური და სოციალური პროგრესისა, რომელიც არ სურს ჩვენს ხელისუფლებას საქართველოს მოსახლეობას შეუქმნას. ზნეობრივი ღირებულებების მატარებელი პოლიტიკა არც წარსულში ჰქონია და დღეს ვხედავთ რაც ხდება ევროპაში – თავისივე დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგს იმკის. ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში 25 მილიონი ბავშვი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. დასავლეთის ე.წ. ღირებულებებმა შვედეთის აბორიგენ მოსახლეობას სამშობლო დააკარგვინა და ისინი შიშით შეჰყურებენ როგორ მბრძანებლობენ მათ ქვეყანაში მუსულმანი დევნილები. როცა მუსულმანი მოსწავლე მასწავლებელს ყელიდან ჯვარს ჩამოგლეჯს და დაემუქრება, – რა ღირებულების მატარებელია ასეთი ქვეყანა? ზედმეტი თავისუფლება, რომელსაც თავს გვახვევს დასავლეთი დამღუპველია ქვეყნისა და ხალხისათვის. საბოლოოდ გაიმარჯვებს ის ერი, რომელიც თავისი ღირებულებებისა და სახის შენარჩუნებისთვის იბრძვის. არ შეიძლება მსოფლიოში უზნეობა და ფსევდოფასეულობა იმარჯვებდს, რაც ბუნების კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. სწორედ განსხვავებული იდეოლოგიის გამო აქვს ვლ. პუტინს მაღალი რეიტინგი მსოფლიოში და რუსი ჟურნალისტი – ვლ. პოზნერიც აღნიშნავს, რომ ლიბერალური ოპოზიციური ფრთა ვლ. პუტინისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან პრეზიდენტს მოსახლეობის 85%-იანი მხარდაჭერა აქვს.

ქალბატონი ნანა ჯიქია სასწავლო ვიზით წავიდა მალტაში, რათა შემდგომში მთარგმნელობითი მუშაობისთვის ენის ცოდნა განემტკიცებინა. მისი თქმით, გადაადგილება რამდენჯერმე მოუწია, შემდეგ რუსეთის ჯაშუშობა დააბრალეს, ქვეყანა დაატოვებინეს და საბოლოოდ რაც ეცვა იმის ამარა დატოვეს. **„ამ მოგზაურობამ მთლიანად შეცვალა ჩემი მსოფლმხედველობა და ჩემი მოქალაქეობრივი ვალია საქართველოს ახალგაზრდობას თვალი ავუხილო – რა ღირებულებების მატარებელია სინამდვილეში დასავლეთი"** – მითხრა ჩემთან საუბრისას ქალბატონმა ნანამ.

– **„რუსეთი არის ჩვენი ინტერესების მტერი, ივანიშვილის ქვეყანა, რომელმაც არ უნდა დაგვარტყას"** – აცხადებს სატელევიზიო ეთერში ლიბერასტი ლ. ბერძენიშვილი, რომელმაც ჩვენს ეროვნულ გმირს – მეფე ერეკლეს ლამის ქვეყნის ღალატი დააბრალა. ეს პოლიტიკური ფუნა კვლავაც ტივტივებს მყრალ ლიბერასტულ ჭაობში და საქართველოს გადარჩენის გზას ებრძვის. ბ. ივანიშვილი რუსეთის ინტერესების გამტარებელი რომ ყოფილიყო რესპუბლიკელ გველის წიწილებს ხელისუფლებაში არ მოიყვანდა. რაც შეეხება მეფე ერეკლეს ანდერძს, ორი ფაქტორის გაცნობიერებაც საკმარისია იმისათვის, რომ დადებითად შევაფასოთ: რუსეთთან თანაცხოვრების შედეგია ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენა და დემოგრაფიული ზრდა 600 ათასიდან – 5,5 მილიონამდე.

ხელისუფლების იდეამ – ნატო და ევროკავშირი – ჩაანაცვლა პატრიოტული თეზა – **„ენა, მამული, სარწმუნოება"** და სოციალური ფონი საკუთარი კეთილდღეობის ფასად ისე დაამძიმა, საზოგადოება ისე დაამშია, რომ ხალხი სულიერ ღირებულებებზე ვედარ ფიქრობს. ამ გარემოებებმა ქართველი ხალხის მენტალიტეტიც საგრძნობლად შეცვალა. მაგალითად, 1956 წელს სტალინის ხსოვნის დასაცავად მთელი საქართველო გამოვიდა, ხოლო 2010 წელს, როცა სტალინის ძეგლი ნაცებმა ღამით ქურდულად დაამხეს, ხალხის მასობრივი პროტესტი არ მოჰყოლია. როცა ილიამ ბრძანა: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო, დასავლეთის მონობა და ქართულ ღირებულებებზე – **„ენა, მამული, სარწმუნოება"** – უარის თქნა არ უგულისხმია.

როცა დიდმა ტიციანმა ბრძანა: **„დავბადებულვარ რომ ვიყო მონა, და საქართველოს მედგას უღელი"** – პოეტი სამშობლოს მონობას ესწრაფვოდა და არა ლიბერასტ-პედერასტების. მართალია, პატრიოტი ქართველები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, მაგრამ არასდროს უფიქრიათ უცხო მენტალიტეტის მქონე ქვეყნის კოლონიად ექციათ საქართველო. რუსეთი თუ იმპერია იყო, ამერიკა **„კეთილშობილ"** სქესმოდელირებულთა პანსიონატია? სამშობლოსათვის თავგანწირულმა დევნილმა მამულიშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის უკანასკნელმა შეფიცულმა – ალ. სულხანიშვილმა 66 წელი უცხოობაში გაატარა. როცა ცხონებული ბ-ნ გურამ შარაძე მის მოსანახულებლად სან-ფრანცისკოში ჩავიდა, 90 წელს გადაცილებულმა მამულიშვილმა ცრემლიანი თვალებით უთხრა: **„მინდა ჩემი ძვლები სამშობლოს მიწაში ჩავყარო"**. ეს სურვილი, მას აუსრულდა: საქართველოს ზეცაც იხილა, ქაქუცას დროშაც დაუბრუნა სამშობლოს და კახეთში, აწყურის თეთრი გიორგის საგვარეულო ეკლესიაში ჰპოვა განსასვენებელი.

– **„რაც უფრო მეტად დაიძაბება ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, საქართველოსა და მთელ კავკასიას უფრო მეტი ფასი დაედება"** – გვმოძღვრავს ე.წ. ექსპერტი – ზაალ კასრელიშვილი.

რუსეთთან დაპირისპირებით უარს ვამბობთ ყველა იმ სიკეთეზე, რაც სოციალისტურმა სისტემამ მოგვიტანა, შედეგად, მივიღეთ დანგრეული ეკონომიკა და დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ ვცხოვრობთ ვირტუალურ სამყაროში, არ არის დაცული ქვეყნის უსაფრთხოება. რაც მთავარია, ვუპირისპირდებით ქართველობას, ძირითად ეროვნულ ღირებულებებს, რომელსაც **„ენა, მამული, სარწმუნოება"** წარმოადგენს.

ამერიკის პრეზიდენტის – დ. ტრამპის წინასაარჩევნო დაპირებამ რუსეთთან მიმართებაში ჩაილურის წყალი დალია. პრეზიდენტს ასევე გაუჭირდება ზნეობრივი კრიტერიუმების დაცვა ქვეყანაში, სადაც უზნეობა აითწლეულების მანძილზე საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სისხლში აქვს გამჯდარი და რისთვისაც მილიონები იხარჯებოდა. არც დ. ტრამპი გახლავთ მამაზეციერი და არც უზნეო საზოგადოების წარმომადგენლები არიან მარიამ მაგდალინელები ცოდვები რომ მოინანიონ და წმინდანებად იქცნენ. ამას აითწლეულებიც არ ეყოფა. მოკლედ, ქართული ანდაზისა არ იყოს – **„არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი"**.

არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, დროულად უნდა ვთქვათ უარი დასავლეთის პარტნიორობაზე და რუსეთთან გავაფორმოთ ხელშეკრულება, რითაც დაცული იქნება ქვეყნის უსაფრთხოება და ჩვენი ეროვნული ღირებულებები. მედასავლეთეებს მოვუწოდებ: ვისაც ქართველობა გეამაყებათ, გაიძლიერეთ იმუნიტეტი ფუჭ ოცნებებზე (დასავლეთთან პარტნიორობა) უარის თქმით, ხელისუფლების ამერიკულ ოცნებას დავუპირისპიროთ ჭეშმარიტად ქართული ოცნება, მეფე ლუარსაბის მსგავსად გავერთიანდეთ ფიცის ქვეშ – **„ფიცის კაცები – სამშობლოსათვის"** და ერთად დავიბრუნოთ ჩვენი საქართველო.

ᲘᲖᲐ ᲗᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
593 90 55 07; 2 35 91 15

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲮᲝᲜᲓᲘᲐ

თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს, ასევე თითოეულ იმ ადამიანს, რომელმაც გულთან მიიტანა ცნობილი ინტელექტუალის და უაღრესად კოლორიტული ადამიანის გარდაცვალება

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲛᲐᲛᲐ

აქ არის ჩემი ცისფერი სახლი,
აქ ცხოვრობს ჩემი კეთილი მამა,
ეზოში დარბის ნაცარა ძაღლი
და უყეფს ღამეს და მთვარის მამალს.
ო, მამაჩემო, გაშალე შუბლი,
შე ხარის გულო, აიღე ჭიქა,
მე გიმკურნალებ ფაზისის შუქით,
მე აქაური წვიმები მიყვარს.
მე სამეგრელოს მინდვრების ფერი
თვალებში ჩამრჩა, ვით დიდი განძი,
და ბავშვობიდან სახის იერით
მე აქაური მეცნობა კაცი.
ო, მამაჩემო, აანთე ცეცხლი,
გახსენი სულის შვიდივე ბჭენი,
ავწონოთ ჩემი ოქრო და ვერცხლი,
ზედ მივაწეროთ სახელი შენი.
მე სამეგრელოს მიმიღებს მიწა,
თუ მეღირსება სიკვდილი მშვიდი,
მე სიზმარს ვხედავ: მოხუცი ძიძა
გამოსალოცად ილორში მიდის.
მე არ მეკუთვნის მიქავას ხმალი,
მაგრამ მე პასუხს ყველაზე ვაგებ,
მე გუშინ ვნახე მეგრელი ქალი,
ცისკრის ვარდივით გახსნოდა ბაგე.
მე ვესალმები სალხინოს ნისლებს,
მე ჩემთვის უცნობ სივრცეებს ველტვი
და ხაინდრავას ცხენივით ისევ
გასარბენი მაქვს ათასი ვერსი.
მე აქაური მიწამლებს ჰავა,
მე აქაური მერგება დაღი,
აქ ცხოვრობს სამი პოეტის მამა,
აქ არის ჩემი სამოთხის ბაღი.

ᲚᲐᲖᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ჩემო ფუძის უფალო, –
ჩემო მყუდრო სავანევ,
მოწამლული თევზივით
ზვირთი მანანანავებს.
ჩემო ვარდის პერანგო, –
მთვარევ ლაზისტანისა,
ლაზის თეთრი ქალივით
შიგ უბეში ჩაგისვამ.
ჩემო მწვანე სიმღერავ, –
ყლორტო ძველი მუხისა,
ნუ შეგაკრთობს ზუზუნი
ოსმალური მუმლისა.
ჩემო ცისკრის ვარსკვლავო, –
ცრემლო ჩემო თვალისა,
მინდა, ზარი ჩამოკრა...
ზარი ლაზისტანისა?!

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ: ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲗᲐᲜ

იმპერიები,
მეფეები გიცვლიან ტაბლას,
შხამით და თაფლით სავსე ისევ
გიდგას ჯამფილა,
ლოცვა-კურთხევით ეგებები კვლავ
უზენაესს
და სანთელივით ხარ მწუხარე და
ღვთაებრივი.
ჭრილობა რაა,
როცა ნებზე გიზის ქორივით
შენი წარსული და ისტორია.
გადაუვლია ბიზანტიურ ციებ-ცხელებას
დაშნით, მახვილით,
ზარით, ღალატით
და სისხლში გდია მეფის კვერთხი,
მეფის გვირგვინი.
ობლის ცრემლი ხარ გამჭვირვალე
და ჩუმად მოთქვამ ოქროს ბედზე და
დაკარგულზე.
მედეას შმაგი სიყვარულის მსხვერპლო დიადო,
გახვეული ხარ ლეგენდების ცისფერ ბურუსში.
აჩეხილი ხარ საკუთარი დავითფერულით
და მხცით მოსილი ლამაზი თავი
გიდევს ნანგრევთა თავსასთუმალზე.

ᲩᲔᲛᲝ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ

ჩემო ოქროს ზაფხულო,
ყვავილებით, ვარდებით
უბემოჩარდახულო.
ცისარტყელას ფოჩივით
ბალახებში ჩამდნარო,
ღამეული ხილვების
დიდო საქონდაქაროვ!
ძველისძველი ოდიშის
ვარდისფერო ბატონო,
მე აქ დავიმარხები,
მე აქ უნდა დამტოვოთ!

ᲒᲔᲜᲝ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ისევ რუსული პროპაგანდა?

„საზიზღარო, ბოროტო, აგრესორო, ქიმიური იარაღით ჩვილი ბავშვებისა და ქალების მხოცველო (სირიაში), პატარა ერების მჩაგვრელო, ქართველი ხალხისთვის გენოციდის მომწყობო, ქართული ტერიტორიების მიმტაცებელო, გახრწნილო, ლოთო და ბოზო ერო, მთელი მსოფლიოსთვის საფრთხობელად ქცეულო...“.

აი, ასე უნდა მიმართოს ყველა ქართველმა, განსაკუთრებით პოლიტიკოსმა ნებისმიერ საერთაშორისო ფორუმზე დამსწრე რუსეთის წარმომადგენლებს. ამ სიტყვებით უნდა ამხილოს საქართველომ რუსული მზაკვრული პოლიტიკა. მხოლოდ ტერმინოლოგიის სიმკაცრით – თანაც დიპლომატიაში მიუღებელი ლექსიკით, გახდება შესაძლებელი მსოფლიოს საზოგადოების საქართველოს პრობლემებისადმი ყურადღების მიპყრობა, რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უეჭველი საწინდარი გახდება.

ზემომოყვანილი სიტყვების წამკითხველი ნებისმიერი ადამიანი უმალ მოიკითხავს სტატიის ავტორს და დარწმუნებული ვარ გაიფიქრებს – ჭიპაშვილი გადაქანდაო. ისე, კაცმა რომ თქვას, როგორც მე, ისე სხვებს, მხედველობაში საღად მოაზროვნენი მყვანან, უმცირესობაში რომ არიან მოქცეულნი, გადაქანების სიმპტომები რომ გვქონდეს, რა გასაკვირია. დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ყოფა ხომ **„გადაქანების“** სტიმულატორია?!

„გადაქანებას“ არა მარტო ჩამოთვლილი სამი კომპონენტი იწვევს, არამედ ბრიყვული სტატიები, სატელევიზიო განცხადებები, ვითომ პატრიოტული მოწოდებები და საკუთარი დანაშაულებისთვის ხელის დაფარების მცდელობა, სინამდვილის დამახინჯება, სიცრუის სიმართლედ წარმოჩინება, სიმართლის – სიცრუედ.

სწორედ ამგვარი სიცრუის მორევში ცხოვრობს საქართველო ბოლო 25 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, ზოგიერთთა გამოკლებით, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ვითარება შეიცვალოს. თითქოს რადაც **„უხილავმა“** ძალამ შეკრა ხელისუფლება, ოპოზიცია, ექსპერტობა, საზოგადოების ელიტა ერთ მუშტად, მტერთან ვითომ საბრძოლველად.

მტერიც ნაპოვნია – რუსეთის სახით. **„უხილავი“** ძალაც ცნობილია – აშშ-ს სახით და ბრძოლის დეტალებიც ჩამოყალიბებული. **„უხილავი“** ძალის ქვეყანაში, ისიც ცნობილია, თუ ვინ უნდა აიღოს ხელში ნამდვილი იარაღი მტერთან საბრძოლველად – ისე, როგორც ამას 2008 წელს ჰქონდა ადგილი. მაგრამ ვიდრე იარაღს დაგვაჭერინებენ ხელში, ნიადაგის შემზადებაა საჭირო – რუსეთის სალანძღავი სტატიებითა და ანტირუსული პროპაგანდის გაშლით. შემდეგ იმის თქმა, რომ ანტირუსული პროპაგანდა, რუსული პროპაგანდის საწინააღმდეგო რამ არის, რომელმაც არა მარტო აშშ-ს, ევროპის ქვეყნების, სხვების „უმანკო და პატიოსნებით აღსავსე“ ტვინებზე იქონიეს გავლენა, არამედ ქართულ ტვინებზეც. და რომ ამგვარ პროპაგანდას წერტილი დაესვას, საჭიროა კანონის მიღება.

არასამთავრობო ორგანიზაცია **“საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“** პრორუსული, ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის წინააღმდეგ პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი წარადგინა, პრორუსული პროპაგანდის ასაკრძალად. ვიდრე პარლამენტი მას განიხილავს და მიიღებს, უმჯობესია ახლა ვთქვათ სათქმელი, თორემ მერე საციხოდ გაგვიხდება საქმე. ვინ იცის, რას ჩათვლის ხელისუფლება პრორუსულ პროპაგანდად?

დავუბრუნდეთ ჩვენს მთავარ თემას – რუსეთისთვის მკაცრი პასუხის გაცემას, დაახლოებით ისეთის, როგორიც დასაწყისში მოვიყვანე. ალბათ ასეთ პასუხს მოითხოვს ხელისუფლებისგან ოპოზიცია, ე.წ. ექსპერტობა. წარმოგიდგენთ ერთერთ მათგანს. ცისკარიშვილს, რომელიც სოხუმში, რუსეთის საელჩოს გახსნას ეხება და ამ ცერემონიალზე რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ლავროვის გამოსვლას.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომელმაც, როგორც ჩანს უკმარისობის გრძნობა გამოიწვია ოპოზიციასა და ცისკარიშვილში. აი, რას აცხადებს ის: **„ეს ფაქტი შეიძლებოდა ყოფილიყო გაჟღერებული უფრო მკაფიოდ, კატეგორიული გამოთქმებითა და ორგანიზებული პროტესტითაც. საკმარისი არაა რამდენიმე წინადადებიანი მიუღებლობის წარმოჩენა არცთუ ინფორმაციული განცხადებებით“**.

„ექსპერტის“ აზრით, დაახლოებით ისეთი ლექსიკა უნდა ყოფილიყო გამოყენებული, როგორც თავში წარმოგიდგინეთ. ცისკარიშვილი რუსეთის გამოხდომის მიზეზსაც აღნიშნავს: **„კრემლს, მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როდესაც ბატონმა ტრამპმა მიიღო და ესაუბრა საქართველოს ელჩს. რუსეთის ელჩს ასეთი პრივილეგია დღესაც არ აქვს“**.

ხედავთ, როგორ გაგვისწრია რუსეთისთვის? მის ელჩს არ იღებენ, ჩვენსას კი წითელ ფიანდაზს უგებენ.

როგორც ჩანს, ცისკარიშვილისთვის დიდ გამოცანად რჩება ან უფრო სწორად საამაყო საქმედ ტრამპის მიერ საქართველოს ელჩის მიღება, რუსეთის კი – არა. ბარემ ძალიან უნდა ტრამპს რუსეთის ელჩის მიღებაც და პუტინთან შეხვედრაც, მაგრამ ამერიკული პოლიტელიტა, რომელიც ტრამპს რუსეთის აგენტად და პუტინის **„კაცად“** მიიჩნევს, ტრამპს ვერ აბედვინებს ასეთი ნაბიჯის გადადგმას. ტრამპის პრეზიდენტობის პირველი ასი დღე ეს ესაა დაილია და ლამის მას იმპიჩმენტი მოუწყონ, რუსეთთან ფარული კავშირების ქონისთვის და ასეთ დროს რუსეთის ელჩის მიღება?!

ცისკარიშვილმა უნდა იცოდეს ყოველივე ეს. ალბათ იცის კიდევაც, მაგრამ ხალხს ატყუებს – **„მაგარი ქართველობით“**. სამწუხაროა, როდესაც ექსპერტს წამიერი **„ანტირუსული გამონათება“** ამოძრავებს, თუმცა მისგან, საზოგადოება სწორედ ასეთი **„ფოლიანტებით“** იკვებება, რაც მხოლოდ ერის დეგრადაციას უწყობს ხელს და სიცრუის ტირაჟირებას.

დიახ! რუსეთმა ახალი საელჩოს შენობა გახსნა სოხუმში. ამ ღონისძიებას ლავროვი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა რუსულ-აფხაზური ურთიერთობების განმტკიცებაზე, რასაც მართლაც აქვს ადგილი. სულაც არ არის გასაკვირი, რომ აფხაზეთს მჭიდრო ურთიერთობა აქვს რუსეთთან, ისე, როგორც საქართველოს აშშ-თან. ყველა თავშესაფარ ქოლგას ეძებს. აფხაზებმა ასეთად რუსეთი ჩათვალეს, ქართველებმა – აშშ-ი. აფხაზებს დიდი ტვინის ჭყლეტა არ დასჭირებიათ **„სამშვიდობო ქოლგის“** ძიებაში, არც ათასობით კილომეტრის დაფარვა, ისე, როგორც ჩვენ. დარწმუნებული ვარ დროთა ვითარებაში ის საერთო ენას გამონახავს აშშ-ნ, ევროკავშირთან. ჩვენ?

თუ ცისკარიშვილების გზას დავადგებით, რუსეთთან საერთო ენას ვერ გამოვნახავთ და კისერსაც მოვიტეხთ – მეორედ. ცისკარიშვილის მცდარი მოსაზრებით, საქართველოს მჭახე განცხადება ვერ შეცვლის ჩვენი ქვეყნის მიმართ დასავლეთში ჩამოყალიბებულ შეხედულებას, განსაკუთრებით 2008 წლის ომთან დაკავშირებით, ვინაიდან მან (დასავლეთმა) უკვე შეიქმნა ნეგატიური განწყობა – ევროკავშირის საგამოძიებო კომისიის დასკვნით.

ომი საქართველომ დაიწყო! ამ ომში საქართველო დამარცხდა! გამარჯვებულმა მხარემ, შემდგომში მსგავსი ავანტიურის თავიდან აცილების მიზნით, დაიპყრო სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. იქ სამხედრო ბაზებიც გახსნა და საელჩოებიც, თუმცა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დიპლომატიურად ცნობამდე ოფიციალურ თბილისს, რუსეთის მხრიდან, მიეცა შანსი სოხუმ-ცხინვალთან ურთიერთობების დასალაგებლად, რაც თბილისმა არ მიიღო.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ საქართველოს პოლიტიკოსთა ვიწრო აზროვნებას არაფერი ეშველა. ისინი დღესაც იმას მოითხოვენ, რასაც გუშინ. ისინი არც რუსეთთან, არც აფხაზეთთან და არც სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის დაწყებას არ აპირებენ და უწინდებურად განაგრძობენ რუსეთის ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში, კონფერენციაზე რუსეთის ლანძღვას, აფხაზებისა და ოსების სეპარატისტებად, დამნაშავეებად მოხსენიებას.

რადიო **„მაესტროს“** ეთერში გამოსვლის დროს **„ექსპერტმა“** კასრელიშვილმა რუსეთ-საქართველოს გაუსაძლისი ურთიერთობა რუსეთს მიაწერა და ისიც თქვა, რომ რუსეთს არასდროს შემოუთავაზებია საქართველოსთვის შერიგებისთვის საჭირო რაიმე სახის წინადადება; რუსეთის ხელისუფლებას სურვილიც არ გამოუთქვამს საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგის დაწყების თაობაზე.

„ექსპერტის“ განცხადებები სწორედ ისაა, რაც გზააცდენილ საზოგადოებას უფსკრულისკენ მიაქანებს. როგორც ჩანს, კასრელიშვილი არაფრად მიიჩნევს რუსეთის პრეზიდენტის პუტინის განცხადებებს საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგის დაწყების თაობაზე, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ არაფრად ჩააგდო. სწორედ ასეთი დიალოგის დროს არის შესაძლებელი იმ შემოთავაზებებზე ლაპარაკი რასაც კასრელიშვილი გულისხმობს და არა წინასწარ, დიალოგის დაწყებამდე.

საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ერთხელაც საერთაშორისო საზოგადოება **„დასჯის“** რუსეთს და დაუბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს. სწორედ ამ ფუტურისტული მოსაზრებიდან გამომდინარე ცისკარიშვილ-კასრელიშვილის შემხედვარე საქართველო **„შტამპავს და შტამპავს“** ანტირუსულ განცხადებებს, რითაც საკუთარ თავსა და ხალხს ატყუებს. საქმის გამკეთებელი ხელისუფლება, ბუტიაობის ნაცვლად, კრემლის კარს აატალახებდა, ნაცვლად ამისა ის შიდა მოხმარების „მკაცრი“ განცხადებებით იიმედებს თავს.

რუსეთს, რომ ისეთი წარმოდგენა შეექმნას – თითქოს საქართველოს მასთან არავითარი პრეტენზია არ აქვს, გასაკვირი არ იქნება. 2008 წლის სექტემბრიდან დაწყებული, დღემდე მას არავინ დალაპარაკებია. არც პრეზიდენტ პუტინის წინადადებას შეხმიანებია. ასეთ დროს ხომ შეიძლება კრემლმა იფიქროს, რომ საქართველოს, რუსეთთან გასარკვევი არაფერი აქვს?!

ნაცვლად გონივრული პოლიტიკისა საქართველოს ხელისუფლება ისე, როგორც არასდროს, ევროატლანტიკურ კურსს ებღაუჭება, თან დაბეჯითებით უმტკიცებს ევროპა-ამერიკას რუსული აგრესიის თაობაზე, რუსული პროპაგანდის მსხვერპლობაზე. დასავლეთის კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, აბსურდამდე მისული ქმედებით, ცდილობს საქართველო რუსეთისგან დისტანცირებას და დასავლეთთან სამარადისო ჩახუტებას. კონსტიტუციაში ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის ჩაწერა სხვა არაფერია, თუ არა თავის გასაპნვა დასავლურ უკანალში შესაძრომად. ამ ქმედებით შეძლებს ქართული პოლიტიკა დაკარგულის დაბრუნებას?

საქართველო უკრაინასთან, აშშ-თან ერთად გაეროს იმ ქვეყნების (სულ ოთხი) რიგში აღმოჩნდა, ვინც მხარი არ დაუჭირა რუსულ პროექტს – კოსმოსში იარაღის არგანლაგებასთან დაკავშირებით. არც ერთ საერთაშორისო ფორუმს საქართველო რუსეთის კრიტიკის გარეშე არ ტოვებს, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახება რუსეთში.

არადა, საქართველოს, მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეუძლია დღეს არსებული პრობლემების დაძლევა. სრული შესაძლებელია რუსეთთან მტრობამ დღევანდელს, ახალი პრობლემებიც დაუმატოს და ისე დაამძიმოს ქვეყნის ყოფა, რომ გამოსავალიც ვერ მოინახოს. არის ე.წ. ევროატლანტიკური სივრცე ქართველთა უთაობით შექმნილი პრობლემების მომგვარებელი? და თუ არის, ამდენ ხანს რას ელოდება?

ეს კითხვა არაერთხელ უნდა იქნას გაჟღერებული თვით ხელისუფალთა მხრიდან ქვეყანაში მომრავლებული **„ურწმუნო თომების“** დასარწმუნებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთობ სავალალო დღეში აღმოვჩნდებით, ისეთში, რეანიმაციაც რომ ვერ გადაგვარჩენს.

ჯ. ჰამლეტიძე,
პოლიტოლოგი

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს

მაია, მანონ, გურამ, როლანდ და ბადრი მაქაცარიებს

სიძის აბელ ლუკავას

გარდაცვალების გამო...

უფალმა ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს განსვენებულს...

“თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმება” – რა დაფარული სიბრძნეა ქართულ ანდაზებში

ანდაზას მეტყველებაში ხშირად სიტუაციურად იყენებენ, გარკვეულწილად, ყოველთვის რაღაცას გვასწავლის. რეალურად კი სხარტი გამონათქვამია, რომლის არაერთ მაგალითს იცნობს ქართული ფოლკლორი. რა კონტექსტით შეთხზა და დღემდე შემოგვინახა ცნობილი ანდაზები ზეპირსიტყვიერებამ? ამ თემაზე სასაუბროდ მივმართეთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგესა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორს, ქეთევან სიხარულიძეს.

მისი თქმით, ანდაზა ფოლკლორში როგორც ჟანრი ჩამოყალიბდა და მცირე ფორმის ნამუშევრებს მიეკუთვნება. მოცულობით მცირეა, ისევე როგორც გამოცანა, სიტყვის მასალა (სხარტი გამონათქვამი)... ანდაზას სიბრძნის პოეზიასაც უწოდებენ, რადგანაც ერთ ფრაზაშია მოქცეული თაობების დიდი გამოცდილება. ანდაზას ხშირად მეტყველებაში იყენებდნენ, ამიტომ ყოველდღიურობის თანმდევი იყო და მუდამ გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციასთან გახლდათ დაკავშირებული. ის შეიძლება კონკრეტულ აზრს გამოხატავდა, მაგრამ ასევე აუცილებლად მისადაგებული იყო სიტუაციასთან, წინაადმდეგ შემთხვევაში, ამოვარდნილი იქნებოდა მოცემულობიდან და თავის როლს ვერ შეასრულებდა.

ანდაზა შეიძლება ყოფილიყო დაცინვაც, ან რაღაცის შეჯამება... მოკლედ, თავის ფუნქცია რომ შეესრულებინა, უნდა მორგებოდა სიტუაციას, რომელშიც ესა თუ ის კონკრეტული ანდაზა ითქმებოდა. ხშირად გარითმულია, თუმცა შეიძლება პოეტური ნიმუში არ იყოს, მაგრამ შინაგანად რიტმი აქვს და პოეზიის ნაწილად ამიტომ ითვლება, რის გამოც ეწოდება სიბრძნის პოეზია.

— ანდაზას, როგორც ზღაპარს, განვითარება შეწყვეტილი აქვს, დღეს აღარ იქმნება?

— დიახ, ასეა, — თანამედროვეობაში უპირატესად უკვე შექმნილი გამოიყენება. განვითარება აღარ აქვს. ახლა ჩვენი ამოცანაა, შევინარჩუნოთ ის, რაც უკვე შექმნილა. გავუფრთხილდეთ არსებულ სიმდიდრეს. ანდაზას ის თვისება აქვს, რომ ეპოქისა და თაობების მიუხედავად, ადამიანის ცხოვრებას მიესადაგება.

— ახლა კონკრეტული ანდაზები გავიხილოთ: “ტყუილს მოკლე ფეხები აქვს”. როგორ გგონიათ, ეს რისთვის შეითხზა? ისევე უნდა გავიგოთ, როგორც გვესმის?

— ცხადია, გადატანითი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, სახარებაც ამბობს, რომ **“არ არსებობს არაფერი დაფარული, რომელიც არ გაიხსნება”**, — ტყუილიც აუცილებლად გამჟღავნდება. ამ ანდაზაში ისეთი აზრი დევს, რომ ტყუილს ადამიანი დიდხანს ვერ შეინახავს. ჯერ ერთი, ქრისტიანულად ერთ-ერთი მძიმე ცოდვაა... რაც შეეხება **“მოკლე ფეხებს”**, — გრძელფეხება ადამიანი ცხადია, დიდ ნაბიჯებს დაგამს და სწარაფად დადის. შესაბამისად, მოკლე ფეხება სწრაფად ვერ ივლის და ტყუილიც ამიტომ არის **“მოკლე ფეხებად”** წარმოდგენილი, არ შეუძლია სწრაფად სიარული, სიმართლე მას აუცილებლად დაეწევა და დაამარცხებს!..

— “რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო”. ეს დავითა რომ ვერასდროს გავიგეთ ვინ არის?

— არა მარტო ქართულ ანდაზებში, ზოგადად, სხვა ხალხთა კულტურაში, რომელიმე კონკრეტული სახელი არის ნახსენები, მაგრამ ის არავის უკავშირდება. უმეტესად რითმისთვის არის გამოყენებული და ზოგადად, ადამიანს ნიშნავს. დიახ, **“დავითა”** რითმის გამოა აღებული, რომ **“თავითას”** გაერითმოს, რადგანაც ზოგადად, ადამიანისთვის ზიანის მიმყენებელი მაინც მისი საკუთარი განწყობა და საქციელია, ვინაიდან მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, შესაბამისად, გაუფრთხილებლობით და დაუდევრობით, ხშირად უსიამოვნებას აწყდება.

— “უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო,” ამის მსაგავსია ასევე — “ბედაურები გადაშენდნენ და ვირებს აყროყინებდნენო”. რას იტყვით ამაზე?

— თავისი შინაარსითა და ფუნქციით, ეს ორი ანდაზა აბსოლუტურად მსგავსია. აქ განზოგადებულია სიტუაცია, როდესაც წამყვანი ძალა და ფუნქციები არეულია.

ვინც სიტუაცია უნდა მართოს, ის ძალა არ არსებობს. აქ ჩვენს თანამედროვეობაში პროფესიონალიზმზეც შეიძლება აქცენტი გადავიტანოთ. ამიტომ, როცა საქმის სპეციალისტები არ არიან, პასუხისმგებლობას სხვები იტვირთებენ ხოლმე ისე, რომ არ აქვთ შესაბამისი მონაცემები. აქ ეს სიტუაციაა ნაგულისმევი.

— “ბავშვის პირით სიმართლე /ჭეშმარიტება ღაღადებსო”. მართლა ასეა?

— ბავშვი ყველაზე უცოდველი არსებაა. ბავშვობაც ერთადერთი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც უმანკოებასა და სისუფთავესთან არის დაკავშირებული. ბავშვს იმ ტყუილის თქმა არ შეუძლია, რომელსაც **“მოკლე ფეხები”** აქვს. როგორც წესი, თავისი გაგებით, იმ სიმართლეს ამბობს, როგორც ესმის და როგორც ხედავს. ამიტომაც არის ბავშვზე აქცენტი გაკეთებული, როგორც უმანკო და სუფთა არსებაზე.

— “ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო”...

— ქრისტიანულად ცოდვა 7 თაობაზე გადადის და აქ აქცენტი სწორედ წინაპრების მიერ დაშვებულ შეცდომაზეა. გნებავთ, შვილიშვილის აღზრდაში დაშვებულ შეცდომაზეც, ანუ ის, რაც წინა თაობის მიერ არის ჩადენილი, თავის შედეგს მომავალში გამოიღებს. შესაბამისად, ამაზე პასუხისმგებლობის აღება უკვე მომავალ თაობას, შვილიშვილებს უწევთ.

— “გამშველებს მეტი მოხვდებაო”... ვითომ გამშველებელს რატომ ხვდება მეტი?

— რამდენადაც ის ორ მაჩხუბარს შორის დგას, შუაშია, შესაძლოა, აფექტურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისგან, მოწინააღმდეგეებისგან, რომლებიც ხელს აქეთ-იქით იქნევენ, მუშტი სწორედ მას მოხვდეს, როგორც ბარიერს, რომელიც მათ შორის არის აღმართული. ამიტომ, ვინც გაშველებას იწყებს, ალბთ ამისთვის მზად უნდა იყოს. თუ ეს იცის და თავს არიდებს, მაშინ კარგი გამშველებელი ვერ ყოფილა. აქ ფაქტობრივად, თავგანწირვაზეც არის აქცენტი გადატანილი და თან, გარკვეული გაფრთხილებაც არის, მაგრამ გამშველებლების გარეშე შეიძლება ადამიანებმა ერთმანეთი დახოცონ.

— “ახალი ცოცხი კარგად გვისო”...

— ეს ანდაზა ოჯახში ახალშემოსულ პატარძალზეა ნათქვამი. მაინც იმ სიტუაციიდან, საყოფიერო ხასიათიდან მომდინარეობს. პატარძალი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ოჯახისთვის თავი მოეწონებინა, შინ თავგამეტებით მუშაობდა. როდესაც უკვე ჩვეულებრივი ხდება ყველაფერი და შრომა რუტინაში გადადის, ენთუზიაზმი კვდება. თან, ახალ ცოცხს ხშირი ბოლოები აქვს, რომელიც დაგვაში თანდათან ილევა. ასევეა ადამიანიც, — შრომაში დროთა განმავლობაში იღლება. ამიტომ მისი მონდომება კლებულობს და ისეთი აღარ არის, როგორიც თავიდან იყო.

— “არ გათეორდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვაშითა”...

— აქ თვისობრივ მხარეზეა საუბარი. ადამინას აქვს საკუთარი თვისებები, რომელიც როგორც უნდა ეცადოს, მას ვერ მოიშლის. ამასვე გვეუბნება, აკაკი წერეთელიც **“გამზრდელში” “მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?!”** დიახ, ამ ანდაზაში ეს აზრია გატარებული. როგორც უნდა ვეცადოთ აღზრდას, გამოკეთებას, თვისებების გაუმჯობესებას, თუ მას არ აქვს მონდომება, არაფერი გამოვა. ამის სიმბოლოა ყორანიც, რომელიც თავის ბუნებით შავია და როგორც უნდა ვეცადოთ, მასში სითეთრეს ვერ შევიტანთ, ანუ შინაგან სამყაროში მკვეთრ ცვლილებებს შევძლებთ ვერც აღზრდით, ვერც სხვა მეთოდით, ვიმეორებ, თუ თვითონ არ აქვს ადამიანს ამის სურვილი. ანდაზა ძირეული თვისებების შეცვლეობაზეა.

— მგონი, ამასვე ეხმიანება “არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო”...

— ეს იმაზეა, როცა ადამიანი ისეთი რაღაცის გაკეთებას მოინდომებს, რისი შესაძლებლობაც არ აქვს, ან საერთოდ არ ესმის იმ საქმეში არაფერი. მისი მცდელობით არაფერი გამოვა. ეს ის შემთხვევაა, როცა ფიქრობენ, რომ ყველაფერი შეუძლიათ და აქ განსაუთრებული ოსტატობა არ სჭირდებათ...

— “თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმებაო”. ადრე ვახუშტი კოტეტიშვილმა მითხრა, რომ აქ საუბარი ქადის გულზეა და არა ადამიანის გულზე. თქვენ რას ფიქრობთ?

— თუ ქადის გული ვარგა, ე.ი. კარგი გაკეთებულია, გემრიელია, ორი ხელით იჭმება, დიახ, ადამიანი უფრო მონდომებით მირთმევს. თავდაპირველად შეიძლება ასეთი აზრის მქონე ანდაზა იყო, მაგრამ მერე გაფართოვდა მისი მნიშვნელობა და ზოგადად, საქმის კეთების სურვილსა და მონდომებაზე გაკეთდა აქცენტი. გადატანითი დატვირთვა შეიძინა. როდესაც რაღაცის გაკეთება გულით გინდა, ორივე ხელს აშველებ, რომ უფრო კარგი გამოვიდეს, ასევე სწრაფად და ხარისხიანად გამოვიდეს. ანუ აქ ყურადღება მონდომებაზეა გადატანილი.

— ანდაზა სიტუაციურად რომ გვახსენდება, ანუ “სანამ ურემი არ გადაბრუნდება,” რომ არ გვახსოვს, არ ჯობია, მანამდე გავითვალისწინოთ ანდაზის შეგონება. რატომ არ ვაქცევთ ამ ყველაფერს ყურადღებას?

— საერთოდ, პრობლემებია ჩვენს მეტყველებაში, ცოდნაში. ახალგაზრდებში ლექსიკა დალეული და გაღარიბებულია იმ **“ახალი ცოცხისგან”** განსხვავებით. მეტყველებაში ბევრი უცხო სიტყვა, ბარბარიზმია თავმოყრილი, არადა, მათი ანალოგი ქართულში მარლაც არსებობს. უმდიდრესი ენა გვაქვს, მაგრამ ეს ყველაფერი ათვისებული არ აქვს ახალ თაობას და არც ეს ანდაზები იცის. როგორც უკვე აღვნიშნე, ანდაზა სწორედ წარსულში გამოიყენებოდა. ისინი ხომ ხალხის წიაღიდან არის წამოსული და მათ ცხოვრებისეულ სიბრძნეს, გამოცდილებას ეყრდნობა. ყველაფერი კარგად იცოდნენ და სიტუაციას მიუსადაგებდნენ ხოლმე. დღეს ეს ცოდნაც არ არის. როგორც ვთქვი, მეტყველების სტილი გაღარიბდა, შეიცვალა, თორემ ანდაზების გამოყენებით აზრიც მრავალფეროვანია და სამეტყველო ქმედებაც უფრო ხატოვანი...

ლალი ფაცია,
AMBEBI.GE

ქართველი ექიმის გმირობა მოსკოვში — ქალმა მოხუცი საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა სიკვდილს

მოსკოვში ტრაგიკულად დაიღუპა ქართველი ექიმი-გინეკოლოგი ნანა ადამაძე. 68 წლის ქალმა სიკვდილს გადაარჩინა სმენადაქვეითებული მოხუცი, რომელსაც მატარებელი ეჯახებოდა. ნანა ადამაძე ლიანდაგისკენ გაიქცა, მოხუცი რელსებიდან გადააგდო, მაგრამ თავად დაიღუპა.

ტრაგედია პოდმოსკოვიეში მარტის თვეში მოხდა. თუმცა, ფაქტის შესახებ სხვადასხვა რუსულენოვან საიტზე რამდენიმე დღის შემდეგ დაიწერა. თვითმხილველები ყვებიან, რომ ტრაგედია **“პერლოვკას”** სადგურზე მოხდა. როგორც ისინი ამბობენ, მოხუცს ხალხის ყვირილი არ ესმოდა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, — სიყრუვის გამო. ნანა ადამაძე მისკენ გაიქცა და ლიანდაგიდან გადააგდო ქალი, თვითონ კი ადგილზე დაიღუპა.

“ნანა ძალიან მაღალკვალიფიციური ექიმი იყო, მას ათასობით მადლიერი პაციენტი ყავდა. აფასებდნენ არა მხოლოდ გამოცდილების და ცოდნის გამო, არამედ მზრუნველობისა და დელიკატურობისთვის. სხვისი პრობლემებისადმი მუდამ თანაგრძნობით სავსე იყო. ექიმად ორმოც წელზე მეტი იმუშავა. ნანა სოხუმში დაიბადა”, — ყვება მისი კოლეგა სამედიცინო ცენტრიდან.

ადამაძე სამედიცინო ცენტრ Исида-ს თანამშრომელი იყო. როგორც ცნობილია, ნანა ადამაძე სოხუმელია და ცნობილი ექიმების ოჯახში დაიბადა. მისი სოხუმელი მეგობარი თინა კვირკველია ყვება, რომ როცა ნანამ იაროსლავის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1975 წელს მუშაობა სოხუმის სამშობიარო სახლში დაიწყო, ის იმდენად ყურადღებიანი და მზრუნველი იყო დედების მიმართ, ბევრი მშობელი გოგონებს მის სახელს არქმევდა. ნანა ადამაძის ოჯახი სოხუმიდან ომის დროს წავიდა და ფსკოვში დასახლდა, დაახლოებით 15 წლის წინ კი, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. გარდაცვლილ ექიმს ორი შვილი დარჩა.

გზანათელი ჰქონოდეს იმ ქვეყნად საკუთარ კეთილსულიერებას შეწირულ ადამიანს!

ამინ!

მეგობრებო!

ჩვენი სამშობლო რეალურად დამოუკიდებელი რომ არაა და სინამდვილეში კოლონიური ქვეყანაა — ამის უარყოფა ალბათ მხოლოდ მიამიტთ თუ შეუძლიათ, ან უნამუსო გადაგვარებულებს! მაგრამ, რეალობაა ისიც, რომ საქართველო ჯერჯერობით მაინც ითვლება დე-იურე დამოუკიდებელ ქვეყნად და ამის უარყოფაც შეუძლებელია! ეს დე-იურე დამოუკიდებლობა კი, 1991 წლის 31 მარტს დამოუკიდებლობის შესახებ ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე იმავე წლის 9 აპრილს მიღებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შედეგია! მიუხედავად ამისა, იმ ავადმოსაგონარი პუტჩის შემდეგ მამათელი „დიდი პოლიტიკოსის” ხელისუფლებიდან მოყოლებული დღემდე, კორდონებს იქეთა გლობალისტური ძალების მითითებათა უსიტყვოდ შემსრულებელი ადგილობრივი მარიონეტები „დამოუკიდებლობის დღეს” აღნიშნავენ არა 9 აპრილს, არამედ 26 მაისს! ეს რასაკვირველია არის უტიფრობაც და სამარცხვინოც! გამომდინარე აქედან, ჭეშმარიტად ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციაზე მყოფ ძალებს მივმართავ და დაბეჯითებით მოვუწოდებ, რომ დეფაქტო ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვონ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა! არავის არ უნდა ეგონოს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თითქოს შემთხვევით გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა 9 აპრილს და არა წელიწადის რომელიმე სხვა დღეს! ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს და არ დაგვავიწყდეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებისას ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები: **„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა — გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“** ცხადია, რომ ამგვარი ფორმულირებით და სწორედ ამ დღეს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დიდმა ზვიადმა მართლაც ხაზი გაუსვა 9 აპრილს მოწამეობრივად აღსრულებულთა როლსა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბრძოლის საკრალურობას!..

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲐᲜᲜᲝ!

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეოთხედი საუკუნეა გასული! ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი შავ-ბნელი ძალების გამოისობით ამ ხნის განმავლობაში აურაცხელი უბედურება დაგვატყდა თავს! ერისა და ქვეყნის წინაშე ყოფნა-არყოფნის დილემა აშკარაა! რაც დრო გადის ომი ეროვნული სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად უფრო და უფრო რთულდება! ახლა უკვე, გადარჩენის შანსს ჯერ კიდევ ასე თუ ისე შემორჩენილი ეროვნული ენერგიის სრული მობილიზება და უპრეცენდენტო კონსოლიდირება თუ დაგვიტოვებს! ამ შანსს უსათუოდ უნდა ჩავეჭიდოთ და უფლის წყალობის იმედითაც უთანასწორო, მაგრამ სამართლიან ომში ბრძოლა გავაგრძელოთ! ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ვოვა ვეკუას, 9 აპრილს დაღუპულთა და უამრავ სხვა ჩინიან თუ უჩინო მამულიშვილთა სულებიც სწორედ ამას მოითხოვენ ჩვენგან!..

და ბოლოს:

გილოცავთ 1991 წლის 9 აპრილს — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების დღეს!

1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა სულები კი, გაანათლოს უფალმა!..

ზურაბ კვარაცხელია,
ზუგდიდი

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ოჯახიდან დაწყებული, სულ პატარა დაწესებულების, სკოლის, საწარმოს, ფაბრიკის, ქარხნის, მეურნეობის, სავაჭრო ობიექტის, ბანკის... კიდევ ბევრი სხვა რამის წინამძღოლობა მეტად საპასუხისმგებლო და ძნელად შესასრულებელი მისიაა.

რაც შეეხება სახელმწიფოს, მთავრობის თავკაცობას, იგი კიდევ უფრო უმძიმესი ტვირთის ტარების ტოლფასია, განუზომელ პასუხისმგებლობასთან ერთად. ვფიქრობ, ეს ყველაფერი სიღრმისეულად და ყველა წვრილმანის ძირისძირობამდე გათვლილ-გათვალისწინებული აქვთ, ასეთი ტვირთის საკუთარი მხრებით ზიდვაზე თანხმობაგამოცხადებულ ადამიანებს. ალბათ, ისიც არ გამოგრჩებათ ხოლმე, რომ ამ პასუხისმგებლობის სულ უმცირესად მოდუნების შემთხვევაში, განრისხებული მოსახლეობა ყველაფერ გაკეთებულს ხაზს გადაუსვამს და წყალში გადაუყრის; იმედგაცრუებულები მათ დასჯას მოითხოვენ.

დარწმუნებული ვარ, თქვენ ეს ყველაფერი მისახლ-მისხალ აწონეთ და გაზომეთ, მრავალჯერ შეუკავშირეთ საკუთარ უნარ-შესაძლებლობებს და მერედა თქვით თანხმობა და ქართველების ჯვარცმული სამშობლოს სადღეისოდ მეტად რთულ ვითარებაში მყოფი "ქართული ოცნების" ხელისუფლების მეორე ოთხწლიანი მმართველობის პერიოდის პრემიერ-მინისტრი გახდით. ეტყობა, ქვეყნის წინამძღოლობის მანამდე თქვენი რამდენიმეთვიანი საქმიანობა მოიწონა და დადებითად შეაფასა წინა მთავრობამ და ხალხმა. ალბათ, ამან განაპირობა ის, რომ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ახალი პარლამენტის დეპუტატების უმრავლესობამ, მთავრობის წინამძღოლობა კვლავ თქვენ გარგუნათ.

გილოცავთ!

მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ ახალი წლის დადგომისთანავე, ადამიანები, ჩავლილში ნათქვამ-გაკეთებულს ვანგარიშობთ და ვაჯამებთ, სათანადო დასკვნებს ვაკეთებთ და ვაფასებთ ნამოქმედარის მიხედვით და, აღმოვაჩენთ ხოლმე, რომ ბევრი კარგი საქმე გაგვიკეთებია და სიკეთე გაგვიღია; თუმცა, წუნიანიც საკმაოდ შეგვირევია. მაშინღა ვხვდებით, რომ სხვა მნიშვნელოვანი საკითხი და პრობლემა არ განგვიხილავს და აუცილებლად გასაკეთებელ-მოსაგვარებელისთვის ხელი არ გვიხლია. აკი დავზარალებულვართ და უკანაც დაგვიხევია. ჰოდა, ალბათ თავისუფლად შეიძლებოდა და ზედმეტად გაღებულ-გაფანტული ხარჯებით პომპეზურად არ აღგვენიშნა სხვადასხვა დღესასწაულები. უკეთესი იქნებოდა, დაზოგილი ჭკუა, ენერგია და ფინანსები, უპირველესი და უმწვავესი, საწუხარ-პრობლემური საკითხებისა და საქმეთა მოსაგვარებლად მოგვეხმარებინა.

თუმცა, ისიც გასაგებია და გასათვალისწინებელი, რომ წლის განმავლობაში, ერთბაშად ყველაფრის გაკეთება-მოგვარება, ყველასთვის ხელის შევლება და გადარჩენა, უბრალოდ, შეუძლებელია.

ამის მიუხედავად, საკუთარი სათქმელი მაინც მინდა გავახმიანო, რადგან რომელ საქმეებსა და პრობლემებზეც ვიტყვი, დარწმუნებული ვარ, ჩავლილ წელიწადში, საგრძნობლად წინ უნდა წაწეულიყო და სულაც წარმატებულად დასრულებულიყო.

2012 წლის დაპირებებიდან დავიწყებ:

თქვენი წინამორბედი პრემიერისაგან შეპირებულის შესახებ სადღეისო მრავალგზის დაგვიანებული მტკიცებების მიუხედავად ვიტყვი, რომ დღემდე ბევრი შეუსრულებელია და ისეთი პირი უჩანს, რომ სამუდამო დავიწყებას მიეცემიან. არა და, საწუხარ-სატკივარი და უსწრაფესად მოსაგვარებელი ბევრი დაგვიგროვდა და, სავალალოდ თუ დასაღონებლად, დღემდე ხელუხლებლად შემოგვრჩნენ.

თავდაპირველად, ერთ უპირველეს სატკივარზე გეტყვით. მეოთხედი საუკუნეა, ჩვენი ურთიერთგაუტანლობით, სამშობლოს ისტორიული კუთხე, რომელსაც ნაციონალებისა და მათი ბელადის მსახური საინფორმაციო საშუალებები, გამორჩეულად კი **"რუსთავი 2"**, დღემდე უძველეს სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთად რომ მოიხსენიებენ, დამპყრობელმა წაგგვლიჯა და საკუთარ ნებას დაუქვემდებარა, იქაურობის ბატონ-პატრონი გახდა. მერე, გადამთიელმა ქართველთმოძულე სააკაშვილმა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვა და საკუთარი ინიციატივით, ცხრა წლის წინ გაჩაღებულ და ორ დღეში სამარცხვინოდ წაგებული ომის შემდეგ, იქაურობა და ახალგორის რაიონის ტერიტორია სეპარატისტებს და მათ მხარდამჭერებს უფეშქაშა. აი, ასე გულისმომკვლელად დაფლეთილი სამშობლო შეგვრჩა ხელთ, ღვთისაგან უღვთოდ განწირულებს.

ქართველებისათვის ყველაფერ ამის თავზე დამტეხი ნაციონალური მოძრაობის ატამანსა და მისი ავაზაკების ჯოგის წევრებს კი პასუხს არავინ არ თხოვს. 2004 წლის ზაფხულის ავანტიურასა და 2008 წლის აგვისტოს ომის მომწყობ "მხედართმთავარს" და მის "სამხედრო სტრატეგებს" ყველაფერი შერჩათ და არხეინად გააგრძელეს ჩვენი სამშობლოსა და გაღატაკებული ქართველების ძარცვა-ყვლეფა.

ეგ იყო მხოლოდ, რომ ყველაზე მთავარმა დამნაშავემ სააკაშვილმა, ომის საკითხების **"შემსწავლელ-გამოსაკვლევად"** შექმნილი სამთავრობო კომისიის ხელმძღვანელად უერთგულესი ხელის ბიჭი დანიშნა. რასაკვირველია, მორჩილმა მსახურმა ისეთი დასკვნა გააშანშალა, როგორიც შეფს აწყობდა და სხვა არაფერი გაითვალისწინა, საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონ ტალიავინის ანგარიშში ნათქვამიდან. ჰააგის სასამართლოს პროკურორი, ქალბატონი ბენსუდაც ხომ ჩამოვიდა საჭირო მასალების მოსაპოვებლად და გამოძიების დასაწყებად... და, ამით დამთავრდა ყველაფერი.

ასეა, ამდენი ხანია ამ დღეში ვართ და დღემდე ნაბიჯიც ვერ გადავდგით დაკარგულის დასაბრუნებელი საქმის დასაწყებად. საამისოდ, საქართველოს შავ ჭირად მოდებული ნაციონალური მოძრაობა ომს მოყოლილი ცხრა წლის განმავლობაში რომ არაფერს აკეთებდა, არ გვიკვირს. პირიქით, ყველაფერი იღონეს მდგომარეობის უფრო გასაუარესებლად – საქართველოს მოღალატე გამყიდველებმა, უკიდურესად დაძაბეს და გაამწვავეს ურთიერთობა ჩრდილოელ დამპყრობლებთან. მღილისოდენა აღარავითარი საიმედო რამ მოსალაპარაკებელი საშუალება – შესაძლებლობა არ დატოვეს, იქნება და ვითარების რამენაირად შესაცვლელად.

ჩვენდა დასანანად, თქვენმა მთავრობამ არაფერი იღონა უკიდურესად და ერთი უპირველესად მოსაგვარებელი მოლაპარაკების დასაწყებად. რას ელოდებით? ხომ კარგად გავიგეთ და დავინახეთ, რომ მართო უძალო და გახუნებული დაპირებებით ვერაფერს გავხდებით. კიდევ რამდენჯერ გავიმეოროთ ის, რომ ჩვენს საქმეს სხვა არავინ არ მოგვიგვარებს! ამიტომ, რამენაირად გამოძებნეთ სამშობლოს გასაერთიანებელ-გასამთლიანებლად საჭირო, რუსეთის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად მისასვლელი გზა.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებისა და ხელისუფლებაში **"ქართული ოცნების"** მოსვლის შემდეგ, იმედი მოგვეცა ვითარების მცირედით შეცვლის, დაწყებისა და შემდგომი წინსვლისა. თუმცაღა, ამაოდ. ოკეანისგაღმელმა **"მოკავშირეებმა"** თითი დაგვიქნიეს და **"ჭკუაზე მოსასვლელად"**, მანამდე უცნობ კოჰაბიტაციას დამორჩილება გვირჩიეს. ჩვენთვის ეს უცხო ხილი, ნამეტანი ეშმაკური სატყუარა თუ ხაფანგი გამოდგა ახალი ხელისუფლებისათვის და თავსმოხვეული **"სიახლით"**, ქვეყნის დამანგრეველ-დამნელებელ ნაციონალებთან, ერთგვარად მაამებლურ-შემრიგებლურ ურთიერთობაში აღმოვჩნდით. დიდად დასანანია და დამაღონებელი, რომ ამ მხრივ, დღემდე ყველაფერი ძველებურად გრძელდება.

დარწმუნებული ვართ, ნათქვამში არ დაგვეთანხმებით, ბატონო პრემიერო და **"გასამართლებელ-არგუმენტიანი"** პასუხის გასაცემად ვემზადებით. თუმცა, ფაქტი სახეზეა – თქვენგან ვერანაირად **"დატორმუზებული"** ნაცები დღესაც ნებაზე არიან მიშვებული და ჩავლილი წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ, მათივე თქმით, ხუთასი ათასი მომხრის მხარდაჭერილები (სინამდვილეში, ბევრად ნაკლებნი არიან), იქ ოცდაშვილი არამზადა მოღალატე გამყიდველი ნაციონალი ჩასვით **"კანონმდებლის"** სავარძელში, ჩვეული შეუპოვრობით რომ გააგრძელონ ყველასათვის ფეხის დადება, ყველანაირი განსახილველი კანონის უარყოფა და უკუგდება. ასე იქნება მაშინაც, თუკი უმრავლესობის დეპუტაცია რამენაირად გაბედავს და შეეცდება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობა ხმის ამოღებას. ნაცები უმალ აიფოფრებიან და ლანძღვა-გინების კორიანტელით, შავ დღეში ჩაყრილ მოწინააღმდეგეებს გაჩენის დღეს აწყევლინებენ. საკუთარ პოზიციასა და სათქმელს, მათ, გაცვეთილი წინადადებით **"გააჩერებენ"** – რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება, მხარს უჭერენ და აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას!

ეს არის და ეს!

მართლაც იმედის მომცემია ამ სიტყვების მოსმენა უიმედობამორეული ქართველებისთვის და თქვენთვისაც, დანაშაულებრივად გაჩერებულ-დადუმებული ხელისუფლებისათვისაც. უფრო სწორედ, წარსულში გვაიმედებდა ამისი მოსმენა. მაგრამ, განა როდემდე უნდა ვისმინოთ უცხოეთის ქვეყნების, უპირველესად კი შეერთებული შტატების ხელისუფალთა გაუთავებელი თანხმობა-დასტური, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისა და ხელშეუხებლობის მთლიანობის შესახებ? ხომ დავრწმუნდით, რომ ეს ყველაფერი არაფრის მომტანია და მხოლოდ წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი. ამ დროს მადაზე მოსული ოკუპანტი არა ცხრება და მავთულხლართებით ისრუტავს ქართველების სისხლით გაჯერებულ სამაჩაბლოს უძველეს მიწას. სვეგამწარებულ ქართლელებს არც სახნავ-სათესი, აღარც ხილის ბაღები და აღარც საძოვრები რჩებათ; ახლობლების საფლავებზეც ვეღარ გადიან, გულის მოსაკლავად გავერანებულების მისახედ-მოსავლელად.

ხელისუფალნი გაურკვევლად გაჩუმებულხართ და არაფერსა იქმთ უპირველესი და უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმისა და პრობლემის მცირეოდენით მაინც წინ წასაწევად, რაიმე საიმედოსასიკეთოს შესამატებლად. გასაგებია, რომ ხელის ერთი მოსმით შეუძლებელია სასურველი შედეგის მოპოვება და ყველაფრის დასრულება. მით უფრო, რომ ამისი მთავარი მოწინააღმდეგე – ნაციონალური მოძრაობა, უკიდურესად გამწვავებულ მდგომარეობას გამალებული ძაბავს და ართულებს რუსეთთან ურთიერთობას და გაღატაკებული ქართველებისგან წაგლეჯილი ფულით მოსყიდულ-მომზრობილი ევრო-ამერიკული გავლენიანი მფარველების ხელშეწყობით, სულ უფრო შორს გადააქვთ სასწრაფოდ მოსაგვარებელი საქმე. არადა, დროგამოშვებით, სწორედ ისინი **"გირჩევენ"** ხოლმე ამ უდიდესი ტკივილ-საწუხარისა და უბედურების თავსდამტეხ ჩრდილოელ მეზობელთან საერთო ენის გამონახვას და მოლაპარაკებას. გამოდის, მანასესი არ იყოს, ხან ისე და ხან ასეს პრინციპით გვიცხადებენ თანადგომას და ერთგულებას.

და თქვენც, ძალაუნებურად, ჩაყოლას ამჯობინებთ და ნაბიჯს წინ არ ადგამთ დამპყრობელთან რაღაცნაირად მიახლოებისა და მოლაპარაკების დაწყების რაიმე ხერხისა თუ საშუალების მოსასინჯად. მაინც როდემდე აპირებთ ამაზე თავის არიდებას და სამომავლოდ გადადებას? დრო ხომ ულმობლად მიჰქრის, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ადამიანებს შეუმჩნევლად უეუჩებს იქაურობის დატოვების დარდსა და ნაღველს. დიახ, ასეა, ოცდახუთწლიანი სატკივარი, ადრინდელივით ისე ძალუმად აღარ გვაღონებს, რაღაცნაირად, თითქოსდა გაგვიარა. ეს კი ყოვლად დაუშვებელია და მომხდართან შეგუებას, დათმობას ნიშნავს. ამიტომ, დროულად ამოქმედდით, ბატონო პრემიერო! თქვენი სახელისუფლებო ძალებითა და შესაძლებლობებით აიყოლიეთ ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილები. ნუ დაივიწყებთ მოძალადე დათვისათვის ბაბას დაძახების აუცილებლობას. ჩვენ თვითონ ვუშველოთ საკუთარ თავს და ჯვარცმულ სამშობლოს. ერთ მთლიანობაში გავაკეთოთ და დავასრულოთ საქმე უპირველესი! ღმერთიც გვიშველის და ხელს მოგვიმართავს.

ჯერი თქვენზეა, ბატონო პრემიერო!

თუმცა კი, ღმერთთან გვარიანად შერცხვენილები ვართ, ერთ დღეში ქრისტიანობის დაცვას სიცოცხლეშეწირული ასი ათასი მოწამე ქართველის დღეს უძალოდ შთენილი მათი ვაი-ჩამომავლები. იმ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე მოგახსენებთ, სულ რამდენიმე დეპუტატის წინააღმდეგობით, გრიალ-თანხმობით რომ მიიღო მერვე მოწვევის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ. მაშინ, უკიდურესად დავაშავეთ ქართველებმა და ხმა არ გავიღეთ იმდროინდელი **"კანონმდებლებისაგან"** ჩადენილზე. დიახ, მათგან ტაშისცემით მიღებული ამ კანონით, ერთი ნაბიჯის გადადგმაღაა საჭირო არნახული და უდიდესი ცოდვის აღიარებად და დასამტკიცებელ-დასაკანონებლად. ერთნაირსქესიანთა ქორწინების მსურველები, თავისუფლად და ცხადად აისრულებენ, ოფიციალურად გაიფორმებენ ერთობლივ ცოდვიან თანაარსებობას.

მოიფიქრებდნენ კი როდისმე ამგვარ ცოდვას მართლმადიდებელი ქართველები? აი, სულ ცოტა ხნის წინათ კი გაიფიქრეს და ხვალ-ზეგ ამის ჩასადენად საჭირო თანხმობის წინაპირობა დასახელებულ პარლამენტში ოფიციალურად გააფორმეს. თქვენ სად იყავით მაშინ **"ოცნების"** თავკაცებო, ვისი შეგეშინდათ? ალბათ ოკეანისგაღმელებმა თუ დაგიქნიეს თითი...

ეტყობა, ასეთი რამ ხშირად მეორდება და თქვენც, მთავრობის მეთაური სიტყვას არ ძრავთ, არანაირ ზომებს არ იღებთ მეტად საშიში ვითარების შესაჩერებლად. დღეს, ქვეყნის ხელისუფლება გაუმართლებლად ხართ განზე გამდგარი და უცხოს თვალით უყურებთ **"ძმებად მოფიცარი"** სამხრეთელი მეზობლის თავაშვებულობას, ქართული ეკლესიების დაჩემების ავისმომასწავებელი კამპანიის აღზევებას. იგივეს სჩადიხართ მეორე მეზობლის თავხედობის შემყურე და ხმას არ სცემთ უძველესი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დიდი ნაწილისა და მიმდებარე მოზრდილი ტერიტორიის მიმტაცებელს.

მეორე სამხრეთელი მეზობლის მტაცებლური მადაც მწარედ გვაქვს ოდითგან ნაგემი. მადადაუმცხრალს, დღესაც ჩვენს მიწებზე რომ უჭირავს თვალი და ახლახანს, მათმა პრეზიდენტმა, რიზეს უნივერსიტეტში, სტუდენტებსა და საზოგადოებას, თითქოსდა **"გადაკვრით"**, აჭარის მათ **"საკუთრებაზე"** შეახსენა...

მერედა, აქედან როგორი პასუხი გაეცით, თავზარდამცემად გათამამებულს? რასაკვირველია არანაირი! **"მეზობლური ურთიერთობისათვის ჩრდილის მიყენება"** არ ისურვეთ!

გელა ჯიღაური,
(გაგრძელება იქნება)

SOS! SOS! SOS! — სამშობლო საფრთხეშია!

„...თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.“
ტაატო

გამოხმაურება, ამა წლის 21 მარტი-4 აპრილის, გაზეთ **„ილორი“**-ს მოწინავე წერილთან დაკავშირებით, სადაც დიდი გულისტკივილით არის მითითებული, დღეს საქართველოში შექმნილ უკიდურესად გაუსაძლის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე!

ადამიანს, რომელსაც სამშობლოს (სამშობლო, როგორც ცხოვრების არსი და არა საკუთარი კეთილდღეობისათვის გამოსაყენებელი საგანი!) ტკივილი არ სტკივა, იმას ადამიანი არ ჰქვია!!!

აღნიშნულიდან გამომდინარე, მე ბრალს ვდებ ბიძინა ივანიშვილს შემდეგში:

2011 წლის 7 ოქტომბერს, თქვენ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადეთ პოლიტიკაში ჩართვასთან დაკავშირებით, სადაც თქვით: **„პოლიტიკაში მოვდივარ იმიტომ, რომ სამშობლოს (!?) ვკარგავო“**. თან დასძინეთ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა გაიძულათ თქვენმა შვილმა, უტამ, რომელმაც კატეგორიულად გითხრათ, რომ **„შენ თუ არ გადადგამ ამ ნაბიჯს, მაშინ მე წავალ პოლიტიკაში“**-ო! აი, ის ფარული თუ ხილული მიზეზები, რამაც თქვენ მოგიყვანათ ქართულ პოლიტიკაში! აქვე მინდა გკითხოთ: გადარჩა თქვენი სამშობლო დაკარგვას? მე და ბევრმა ჩემისთანამ, 1992 წლის 6 იანვარს, რომ დავკარგეთ, დღესაც ვერ გვიპოვნია!

2012 წლის 27 მაისი. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი. ხალხმრავალი მიტინგი, სადაც სიტყვით გამოსვლისას და შემდეგ გამოსვლებშიც არ დაიშურეთ ხალხისთვის დაპირებების უკიდეგანოდ ფრქვევა! არ დაგიტოვებიათ იმ დროისათვის საქართველოში არსებული ყველა მტკივნეული, სოციალური თუ პოლიტიკური საკითხი, რომ არ შეხებოდით! ხალხი აღფრთოვანებით ხვდებოდა ყველა თქვენს წინადადებას, ვინაიდან არ იცოდა, თუ რა იმედგაცრუება ელოდა მას! იყო ავანსად გაცემული-სამართლიანობის აღდგენა (!?), ყველა დამნაშავე სუბიექტის უპირობოდ დასჯა (!?), წართმეული ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაუყოვნებლივ დაბრუნება (!?), დიდი დავით აღმაშენებლის, სტალინის ძეგლების თავის პირვანდელ ადგილზე დაბრუნება (!?) ქუთაისში, აფეთქებული გამარჯვების მემორიალის, რასაც შეეწირა უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლე, აღდგენა (!?), ნაცების მიერ განადგურებული განათლების სისტემის გარდაქმნა (!?); კაცი გამკითხავი არ არის რას ასწავლიან (ან ასწავლიან კი რამეს?) სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში! ვისაც არ ეზარება და **„პატრონი“** ჰყავს ყველამ სახელმძღვანელოების გამოშვება დაიწყო!? ყველა **„პადიეზდში“**, რომ არის გახსნილი უნივერსიტეტები (!), ასე და ამ მეთოდით-ცოდნით გინდათ ქვეყნის აშენება? თუ თქვენში არის სამშობლოს სიყვარული და დარწმუნებული ვარ, რომ არის, რატომ დღემდე არ მოისურვეთ, დიდი ქართველი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სიმონ ჯანაშიას მიერ, სტალინის დავალებით გამოცემული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, რომლის საგაზეთო ვარიანტიც შემოგვთავაზა გაზეთმა **„ასავალ-დასავალი“**, დაბეჭდვა??? სკოლებში უნდა იყვნენ კვალიფიციური და თავის საქმის მოყვარული პედაგოგები, და არა ჟანდარმები! მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის უნდა სუფევდეს ურთიერთპატივისცემა და სიყვარული! დამისახელეთ რომელიმე ნორმალური, განათლების დარგში მოღვაწე ან ყოფილი (ნაცების დროინდელი!?) ან ეხლანდელი მინისტრი, რომელსაც ჰქონდა ან აქვს პედაგოგიური გამოცდილება!? აქ არ დავიწყებ საუბარს მათი განათლების ცენზის შესახებ! რატომ არ აღადგინეთ იაკობ გოგებაშვილის სწავლება სკოლებში? რატომ არ მოუხსენით სკოლებს დასახელება, „საჯარო“?

სანამ დასახულ თემაზე საუბარს გავაგრძელებ, მინდა ერთ საკითხს შევეხო, რომელიც ძალიან აქტიურად მუსირებს საზოგადოებაში აზრი, რომელსაც მოგახსენებთ: როდესაც ნაცები მოვიდნენ (მანამდე სულაძაღლებული შევარდნაძეც, რატომ არ დაიქცა ის დღე!) პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ნაცებს ხელფასებს სოროსი უხდიდაო. სინამდვილეში გაირკვა, რომ თურმე ნახსენებ ხელფასებს უხდიდით თქვენ! როგორც შემდგომში გაირკვა, თქვენ ნაცების შიდა სამზარეულოს იცნობდით ჩინებულად, რაც პირადად გაქვთ გაცხადებული (ტელევიზიით მაქვს მოსმენილი!) და ამიტომაც, აშშ-სთვის უკვე მიუღებელი სააკაშვილის შემცვლელად, მისმა პატრონებმა მიგიწვიეს თქვენ, ვინაიდან თქვენზე სანდოს ვერ ნახავდნენ ვერავის! ოღონდ ერთი ნიუანსის გათვალისწინებით, ნაცები მართვის სათავეებთან უნდა დარჩენილიყვნენ უმრავლესობით! მაგრამ მათ მიერ დაწყობილი კარტები აურია ციხის კადრებმა (!), რასაც არავინ ელოდა! აღნიშნულმა დასაბამი მისცა **„ქართული ოცნების“** უპირობო გამარჯვებას! ხალხში იმდენად იყო დაგროვილი ნაცებისადმი ბოღმა, რომ ყველა (თითქმის) თქვენი მხარდამჭერი გახდა (ვინ დაუფასა?). ხალხს აქაც უყელეთ, მათი ნების საწინააღმდეგოდ, ნაცებს იმდენი პროცენტი დაუწერეთ (ბოსებმა გიბრძანეს და რას იზამდით, უარს ვერ ეტყოდით!), რომლის იმედიც მათ არ ჰქონდათ! არჩევნების დამთავრების შემდეგ მათი, ნაცების ხმა არ ისმოდა, იყვნენ ცუდის მოლოდინის რეჟიმში! მაგრამ გამოხდა ხანი და დაინახეს, რომ მათი შემწუხებელი არავინ იყო, ამოიდგეს ენა და რა ამოიდგეს, სულ გაიჯეჯილეს (თქვენს ჯეჯელავასავით) და გადმოვიდნენ შეტევაზე! აღარ ეპუებოდნენ არავის და არაფერს. სულ მკვდარ-ცოცხლის გინებაზე გადმოვიდნენ! ეს და კიდევ ბევრი თქვენი უპრინციპობა გამოიწვია თქვენმა თბილმა და ტკბილმა კოჰაბიტაციამ დამნაშავე პარტიასთან, რომელმაც საქართველოში, ცხრა წლის მანძილზე, შევარდნაძესავით დააყენა სისხლის ტბები, რისთვისაც მათი საზღვარგარეთელი პატრონები, აშშ-ს მეთაურობით მათ და მათ მხარდამჭერ **ასო**-ებს მხარს უჭერდნენ და ახალისებდნენ სხვადასხვა გრანტებით! და კიდევ ერთი. თქვენს მიერ გადაგმული ნაბიჯი შეიძლება შეფასდეს, როგორც აბეზარი მთხოვნელი-შემწუხებლების, ნაცების თავიდან მოშორება! დავუბრუნდები წინა არჩევნების და შემდგომ მოვლენებს! კოალიციის შედგენა დაიწყეთ საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ყოვლად მიუღებელი 1-2%-იანი ე.წ. პარტიებით, როგორებიც იყვნენ **„რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“** და მოპოლიტიკო ელემენტები, რომლებიც ნახირივით შერეკეთ (!) პარლამენტში და ხელისუფლებაში, სათანადოდ მაღალი თანამდებობების ჩამორიგებით! აქვე არ შემიძლია არ ვთქვა, ე.წ. **„პლასტელინზე“** – მარგველაშვილზე, რომელიც ისე დაასახელეთ პრეზიდენტობის კანდიდატად, რომ პიროვნებას არ იცნობდით (!), ქებით კი აქებდით?! ისიც კი **„ბრძანეთ“**, თუ მარგველაშვილს აირჩევთ პრეზიდენტად, მაშინ თქვენ გეყოლებათ (?) ინტელიგენტი პრეზიდენტი! ინტელიგენტის რა მოგახსენოთ, მაგრამ ახალი ნაციონალი-პრეზიდენტი მარგველაშვილი რომ შეგვრჩა ხელში, ფაქტია!

ბიძინა ბატონო, არ იქნება ურიგო თუ, საქართველოში სამუდამოდ აიკრძალება მუქთახორების ინსტიტუტი, ვინაიდან ყველას, ვისაც არ ეზარება, პრეზიდენტობა უნდა და ყველა ბატონ ზვიადს ედრება, რის ღირსებიც ნამდვილად არ არიან! არც კი გიფიქრიათ დანაპირების შესრულება! რატომ? არ დაგანებეს თუ სურვილი აღარ გქონდათ? თუ არ დაგანებეს, მაშინ გამოსულიყავით ხალხთან და გეთქვათ გულღიად და ხალხი მიხედავდა თავის საქმეს, იმ საქმეს, რომელიც ასე გულუხვად იკისრეთ! და თუ სურვილი წაგერთვათ, მაშინ ეგეც გეთქვათ! ისე როგორ მოგეწონებოდათ, ვინმე ვიგინდარა, რომ შემოსულიყო თქვენთან ოჯახში და დაეწყო უფროსობა, აიტანდით ყოველივე ამას? ალბათ არა! აი ასე ვართ ჩვენ, საქართველოს საღად მოაზროვნე საზოგადოება, ვერ ვიტანთ ჩენს სახელმწიფოში, ყველა გზააბნეულის უფროსობას, რომლებსაც ჩვენგან დაუკითხავად მიეცით ხელში **„კარტ-ბლანში“**! ყოველივე ამას დროზე უნდა დაესვას დიდი წერტილი, სანამ ხალხის მოთმინების ფიალა ავსებულა! მერე უკვე გვიანი იქნება **„თითზე კბენანი“**! საქართველო ოთხი წელი გელოდათ, აი დღეს, აი ხვალ, აი ეხლა დაიწყება დანაპირებების (!) შესრულება, მაგრამ **„გვირაბის ბოლოში ნაპერწკალიც“** კი არ გამოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ იმედები დიდი გვქონდა! სანამ სათავეში მოხვიდოდით, საარჩევნოდ (2012 წლის!) მზადებისას, ერთ-ერთმა დარგობრივმა კომისიამ აკად. პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით შემოგთავაზათ ქვეყნის მატერიალური მდგომარეობის მოკლე დროში გაუმჯობესება-აღორძინების (სასმელი წყლის ინდუსტრია!) გეგმა, რომელიც ძალიან მოიწონეთ, ხოლო შემდეგში ახლოსაც არ გაიკარეთ!?) სად არის თქვენი სახელმწიფოებრივი მიდგომა ქვეყნის კეთილდღეობისადმი?! ხალხური გამოთქმისა არ იყოს – **„მაძღარს, მშიერიც მაძღარი ეგონაო“**, მგონი ისეა თქვენი საქმე! დაიწყებენ ლაპარაკს თქვენს ქველმოქმედებაზე, რაშიც მეც ვეთანხმები. მაგრამ ყველას ხომ ვერ გასწვდებით და მართალიც იქნებით! აქ არის საუბარი საყოველთაოზე! ქვეყანაში არის ტოტალური უმუშევრობა, რაც იწვევს უსაქმურობის ნიადაგზე გავრცელებულ ლოთობას, ნარკომანიას, პროსტიტუციას და ყველანაირ სიგლახეს! რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? დავჯდეთ და ვუყუროთ ბიძინა ივანიშვილს ხელებში, როდის მოიღებს მოწყალებას და როდის გადმოგვიგდებს **„ბარტყს“**? ანდა რატომ უნდა ვიყოთ ტოტალურ სიღარიბეში ჩაფლული, ბუნებრივი რესურსებით ასეთი მდიდარი ქვეყანა? ყველა საქმეს სჭირდება პატრიოტული, სიყვარულით სავსე და პროფესიული მიდგომა, რაც თქვენს მიერ შერჩეულ პარლამენტს, და საერთოდ ხელისუფლებას არ გააჩნია! საინტერესოა რას ეძახით თქვენ ანალიზს? ანალიზს კი აკეთებთ, მაგამ ვინმე მრჩეველი რამე დარგში გყავთ? ვინ გყავდათ და ვინ გყავთ ან პარლამენტში ან მთავრობაში? ჩუგოშვილებითა და მისნაირი სოროსის გაზრდილებით გინდათ ააშენოთ ეს დაქცეული ქვეყანა? ვინც მოიყვანეთ პარლამენტში და მთავრობაში, თითქმის 95% არაფრის მაქნისია! მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რაც შეიძლება მეტი ქონება დააგროვონ! თქვენ, ერთხელ შეხვედრაზე რიხით განაცხადეთ, რომ გაგაჩნიათ ანალიზის (?) გაკეთების უნარი! საინტერესოა რას ეძახით თქვენ ანალიზს? ერთხელ ისიც თქვით (პრემიერობის დროს), როდესაც თანამდებობიდან წავალ, ისეთ მთავრობას დავტოვებ, რომ ევროპას გავაკვირვებო (რაღაც ამდაგვარი)?! არის ევროპა თქვენი ხელისუფლებით გაკვირვებული? არა! მიბაძეთ უნგრეთის პრემიერ-მინისტრს ბატონ ვიქტორ ორბანს, ანდა ახლად არჩეულ მოლდოვას პრეზიდენტს ბატონ დოდონს! ისწავლეთ, როგორ უნდა ქვეყნის სიყვარული და მართვა! ისინი მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისათვის! სხვა ქვეყნის ელჩი-ემისრები არ არიან მათი უფროსები, როგორც ჩვენთან აშშ-ს და სხვა ელჩებს რომ ხართ ფეხქვეშ გაგებული! მოგეწონათ აშშ-ს ელჩმა თავისი ბინძური დინგი რომ ჩაჰყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში?

ავდანეთში, რომ ხოცავთ სხვის შვილებს, გაუშვით თქვენი შვილები და მერე ნახავთ როგორია შვილის დაკარგვით გამოწვეული აუტანელი ტკივილი!!! ორჯერ მაქვს ეს უბედურება განცდილი! რომელმა დამთხვეულმა წამოროშა, რომ ავღანეთში ჩვენი შვილების გაგზავნით, საქართველოს უსაფრთხოებას ვიცავთო?

პრემიერად გახდომის მერე დაიწყეთ რუსეთთან ურთიერთობების ვითომ აღდგენა (?)! მაგრამ ყველაფერი აღმოჩნდა მოჩვენებითი, ხალხისთვის თვალის ახვევა! რა მახსენდება იცით, თქვენც გეცოდინებათ, ბავშვობაში სოფელში მინახავს ძროხას, რომ დააბამდნენ საბალახოდ, აბამდნენ ისე, რომ შორს არ წასულიყო. ისეა თქვენს შემთხვევაში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ცოტათი იფაფხურეთ, ოღონდ ბევრი არ მოგივიდეთ! ხომ არ დაგავიწყდათ რომ 2021 წელს ვადა გასდის ყარსის ავადსახსენებელ ხელშეკრულებას, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საქართველოს თავზე? ისიც ხომ იცით, რომ რუსეთის გარეშე ამ საქმეს, რომ არაფერი ეშველება? გინდათ საქართველომ აჭარა დაკარგოს? თქვენი ხელისუფლების უნიათობით ნახევარი აჭარა ხომ ისედაც დაკარგული გვაქვს! როდესაც მემედ აბაშიძის შვილიშვილი, ასლან აბაშიძე ხელმძღვანელობდა ამ კუთხეს, იქ **„მხედრიონიც“** კი ვერ შევიდა!!! მის დროს არასოდეს ყოფილა მეჩეთებზე საუბარიც კი, არა თუ მოთხოვნა. მის დროს ერთ დროს, მართლმადიდებლობის საქართველოში შემომტანი, გათურქებული ქართველობა, ისევ იბრუნებდა თავის მამაპაპისეულ სარწმუნეობას, მართლმადიდებლობას! დღეს კი რა ხდება, პროცესები ისევ უკუღმა მიდის!

ზევით ნაცების დანატოვარზე გითხარით. მათგან აღსანიშნავია სახელმწიფო ატრიბუტიკა. თავმოყვარე ქვეყნის მესვეური ამას არ მოითმენდა! მაგრამ სად არის ეს თავმოყვარე ხელისუფალი? თავიანთი პარტიული დროშა, რომ სახელმწიფოდ გადააქციეს, სახელმწიფო დროშა, რომელზედაც დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: **“სამფეროვანია ჩვენი ეროვნული დროშა: შავი, თეთრი და წითელი: შავბნელი იყო ჩვენი წარსული. საუკუნეთა წყვდიადში სინათლის ჩირაღდნით გვივლია. ალისფერი სისხლია ყოველგვარი თავისუფლებისათვის აუცილებელი გარანტია და ზვარაკი. სითეთრე სისპეტაკის ემბლემაა... მაშ ნუმც დაჩრდილავს ღრუბელი ჩვენი მამულის ცის კიდეზე ამობრწყინებულ თავისუფლების მზეს. სპეტაკი იდეალები აღვიზარდოთ ცეცხლებრ ანთებულ გულებში, ეს საუკეთესო მიზანია საქართველოს ინტელექტუალური სინდისის დასამშვიდებლად. ნუმც დავკარგავთ მომავლის იმედს თვით უაღრესი განსაცდელის ჟამს, სიმართლე და სამართლიანობა ვიგულვოთ მარად ჟამს ჩვენ ერთ-გულ მოკავშირედ.“** ჟურნალი **„პრომეთე“** №1, 1918 წ. შეცვალეთ დროშა და დააბრუნეთ ისტორიული სამფეროვანი, რომლითაც მოხდა დამოუკიდებლობის გამოცხადება! ღერბზე აღადგინეთ წმინდა გიორგის გამოსახულება!

სათქმელი კიდევ ბევრი დარჩა! ქვეყანა ჩაძირულია ელიტარულ კორუფციაში! თურმე ოცნებას თავის რიგებში ჰყოლია 41 (!) მილიონერი! ხალხს კი პურის და წამლის ფული არ აქვს! ეხლა კიდევ ახალი თემა შემოაგდეს ხალხის ასფეთქებლად? თურმე მიგრანტები უნდა მიიღოს საქართველომ? საკუთარს უკვე მოუარეთ და ეხლა უცხოები დაგრჩათ საპატრონო? ვაი ჩვენ, უბედურო საქართველოვ, თქვენს ხელში! ხომ გახსოვთ, ნაცებმა **„ქართუ“** ბანკს ფინანსები რომ დაუყადაღეს, როგორ დადგა საქართველოს მოსახლეობის მიერ, თქვენს ბანკებში ფულის (**„კეთილი გულით მოძღვნილი, მცირედიც შეიწირების“**) შემომტანთა რიგები?

ბატონო ბიძინა, მე თქვენდამი არც შური და არც ბოღმა არ მალაპარაკებს! ცხოვრებამ საკმაოზე მეტად გამლახა, მაგრამ ბედს არ ვეპუები. 1956 წლის 9 მარტის მერე მიტინგი და შეკრება არ გამმიტოვებია, ვცდილობდი და ვცდილობ ყველგან ვიყო რიგითი ჯარისკაცი! ჩემი თქვენდამი (სანამ სახელს გაიტეხდით) დამოკიდებულება გამოვთქვი, მაშინ როდესაც პოლიტიკას ახლოსაც არ იყავით გაკარებული, გაზეთ **„ილორი“**-ს 2011 წლის, 5-12 ივლისის ნომერში, თქვენს ქველმოქმედებაზე! იმ დროს, როდესაც ვინმეზე კარგის თქმა არ იყო ხიფათს მოკლებული, თქვენც კარგად მოგეხსენებათ! ასე, რომ ჯობია საქმეს დროულად მიჰხედოთ!

ნაცებთან ერთად თქვენს მიერ შერისხულ რუსეთზე რას ბრძანებს ჩვენი დიდი პოეტი ტატო, თავის ლექსში **„საფლავი მეფის ირაკლისა“**, რომელიც მიუძღვნა ჩვენს დიდ მეფეს, ერეკლე მეორეს, მის მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო!

“...მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს,
გმირო განთქმულო, უკანასკნელი ივერიის სიმტკივის სულო!
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამაგსა
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!”.

დროა ყური მიუგდოთ ჭეშმარიტ-ქართველ მამულიშვილებს და ფეხს აუჩქარეთ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის საქმეში! მერე გვიანი არ იყოს!

პატივისცემით, ანზორი დანელია

კესოდ ქცეული ჯემალის გამაუპატიურებელიც და მკვლელიც ლგბტ-თა წიაღში ეძებონ და ჩვენ თავი დაგვანებონ

წინამდებარე წერილი ჩემი რეაქციაა ინგა გრიგოლიას 4 აპრილის "რეაქციაზე", რომელიც ქართული ჟურნალისტიკის "პრიმადონამ" "ველური ქართველების" მიერ ჩაგრულ ლგბტ-უმცირესობას მიუძღვნა.

საკითხში უკეთ რომ გავერკვიოთ, უახლოესი წარსული გავიხსენოთ, რომლის მოწმეც და მონაწილეც თვითონ გახლდით.

რუსთაველის პროსპექტზე აღლუმის ჩატარება პედერასტებმა პირველად 2012 წლის 17 მაისს სცადეს.

თბილისში არსებობს ნობელის ლაურეატი გერმანელი მწერლის, ჰენრიხ ბიოლის, სახელობის ფონდი. არ ვიცი, რა კავშირი ჰქონდა ბიოლს პედერასტიასთან, მაგრამ თბილისში არსებული მისი სახელობის ოფისი ლგბტ-თა თავშეყრის ადგილი რომ არის, ჩემი თვალით მინახავს.

ჰოდა, 16 მაისს იმ ოფისში შეკრებილა ქართველი პედერასტების "ისტებლიშმენტი" და ისე, რომ არ დაუანონსებიათ (2010-11 წლების მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ალბათ, იფიქრეს, რომ დაანონსებულ გეიაღლუმს არ დაუშვებდა ქართველი საზოგადოება), მეორე დღეს დათქვეს შეკრება ფილარმონიასთან, 51-ე საჯარო სკოლის წინ.

შეიკრიბნენ დღის 12 საათზე, ანუ გაგანია სასწავლო პროცესის დროს. მოსწავლე ბავშვების თვალწინ ურცხვად "დაუზასა" ერთმანეთს სპეციალურად მოწვეულმა ორმა ამერიკელმა პედერასტმა (რომლებსაც, გარკვეულწილად, აღლუმის დაცვის ფუნქციაც უნდა შეესრულებინათ – აშშ–ის მონა სააკაშვილის რეჟიმი ამერიკის მოქალაქეებს უბატონოდ ხმას გასცემდა?) და ლგბტ-თა დროშებისა და პლაკატების ფრიალით რუსთაველის მიმართულებით დაიძრა გეიაღლუმი. სერიოზული ინციდენტების გარეშე გაიარეს მანძილი ფილარმონიიდან ე.წ. "დომ კინომდე", ანუ ზემელამდე და აი იქ "დაერხათ"

დარი იყო და "დომ კინოს" კუთხეში ბიჭები ვმასლაათობდით პირველად ვერ მივხვდი, პროცესიის წარმომადგენლები ვინ იყვნენ, მაგრამ ახლოს რომ მოვიდნენ და მათ პლაკატებზე ლოზუნგები წავიკითხე: "ბედნიერება მრავალფეროვნებაშია, შენც გაბედნიერდი", "შენც გახდი გეი" და ა.შ., არიქა, ბიჭებო, პედერასტები ყოფილან-მეთქი და მე, სოსო მანჯავიძე (დღეს საკრებულოს დეპუტატი) და კოტე ინაშვილი (დღეს ტელეარხ "ობიექტივის" წამყვანი, პარლამენტის ვიცესპიკერის – ირმა ინაშვილის ძმა) პირველები გადავეღობეთ გეიაღლუმს, შემდეგ ქუჩაში გამვლელებიც წამოგვეშველნენ და პროცესია, რომლის მარშრუტის ბოლო წერტილი პარლამენტის შენობის წინარე მოედანი იყო, ზემელზე დავამუხრუჭეთ.

შემდეგ რაც მოხდა, ნაწილობრივ იხილა ტელემაყურებელმა – მასობრივი შეხლა-შემოხლის ფონზე ის პლაკატი დავლეწე, რომელიც "გაბედნიერებისკენ" მომიწოდებდა, სოსო მანჯავიძემ კი "მამა-შვილური" ალიყური აჭამა "პლაკატმზიდს" – ერთი სიტყვით, პირველი გეიაღლუმის ჩატარების მცდელობა კრახით დასრულდა საქართველოს ლგბტ-ებისა და მათი ამერიკელი კოლეგებისთვის.

რუსთაველის გამზირის, ქაშვეთის წმინდა ტაძრისა და 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის წაბილწვის მეორე მცდელობა ხელისუფლებაში "ქართული ოცნების" მოსვლის 7 თვის შემდეგ, 2013 წლის 17 მაისს, ჭქონდათ პედერასტებს, რაც ნაცების მიერ დაგეგმილ პროვოკაციას ჰგავდა, რადგან ხელისუფლება დილემის წინაშე აღმოჩნდა:

არ მისცემდა საშუალებას, რომ ე.წ. გამოხატვის თავისუფლებით ესარგებლათ პედერასტებს და რუსთაველზე აღლუმით ჩაევლოთ, ჩვენი "მეგობარი" დასავლეთისა და პირადად აშშ-ის ელჩის რისხვას დაიმსახურებდა.

პირიქით ეცდებოდა და ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ, რა ძალებით შეძლებდა ხელისუფლება იმ დღეს თბილისის ქუჩებში (და არა მხოლოდ რუსთაველზე, ყველა უბანში ფხიზლად იყვნენ ე.წ. ქუჩის ბიჭები) გამოსული ასიათასობით ადამიანის რისხვის განეიტრალებას, ხოლო ჯარს თუ გამოიყვანდა, ე.წ. "ვარდების რევოლუციის" გვერდით საქართველოს ისტორიაში "ტაბურეტკების" რევოლუციაც დაიკავებდა ადგილს.

საბოლოოდ ხელისუფლებამ ჩაქოლვას გადაარჩინა ერთი მუჭა პედერასტები, რომლებსაც ეყოთ თავხედობა, რომ, მიუხედავად ქუჩებში გამოსული ზღვა ხალხისა, სცადეს იმ პროვოკაციის მოწყობა, რომელსაც ე.წ. გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება ჰქვია. მეორე დღეს, 2013 წლის 18 მაისს, ერთი მხრივ, აშშ-ის ელჩის ხელმძღვანელობით დასავლეთის ქვეყნების დიპლომატიური კორპუსი, ხოლო, მეორე მხრივ, "ღია საზოგადოება საქართველოს" (სოროსის ფონდი) ქართული **ასოები** კაპიტან გიგაურის მეთაურობით პარლამენტის წინ ლგბტ-თა გამოსაქომაგებლად გამოვიდნენ, ანუ ის ადამიანები, რომლებსაც არც 7 ნოემბრის დარბევაზე, არც 26 მაისის სასაკლაოზე, არც ქუჩებში ათობით დახვრეტილ ახალგაზრდაზე, არც ციხეებში პატიმართა მასობრივ წამებაზე და, საზოგადოდ, დემოკრატიის შუქურად წოდებული 9-წლიანი ფაშისტურ-სადისტური რეჟიმის საწინააღმდეგოდ კრინტიც არ დაუძრავთ!

ამის საპასუხოდ ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა ერთ-ერთი ქადაგებისას სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახური სიწმინდის, ტრადიციული ღირებულებების დაცვის დღედ. ამას მოჰყვა ლევან ვასაძის მიერ ორგანიზებული ოჯახის დაცვის მსოფლიო კონგრესი, რომელიც 2014 წლის 17 მაისს ჩატარდა ფილარმონიაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და, აბა, პედერასტები რაღას გაბედავდნენ – მას შემდეგ სხედან ბუჩქებში უკეთესი დღეების მოლოდინში, რომლებიც არ იქნა და არ დაუდგათ და, უფლის წყალობით, არასდროს დაუდგებათ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში.

აქეთ უკიდურესი სოციალური გაჭირვებაა, იქით – საგარეო პოლიტიკის, კრახი თუ არა, სრული სტაგნაცია, სახელისუფლო კრიზისი. მოკლედ, იმდენი სამწუხარო რამ ხდება ჩვენს ქვეყანაში, რომ დავით გურამიშვილი მახსენდება – "ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი" და რა დროს ინგა გრიგოლიას "რეაქცია" იყო პედერასტებზე?!

აგერ მორიგი 17 მაისი მოდის და ხომ არ იყო ინგა გრიგოლიას ის "რეაქცია" ზონდაჟი იმისა, შეიცვალა თუ არა საქართველოს მოსახლეობის განწყობა, საზოგადოდ, პედერასტებისა და, კონკრეტულად, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონების მიმართ?!

ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ "ქართული ოცნების" ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის შეტანა, რომ ოჯახი არის მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ერთობა.

მიუხედავად იმისა, რომ "ქართულ ოცნებას" საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს და ერთი ხელის მოსმით შეუძლია ამ დაპირების შესრულება, ხელისუფლება კრინტს არ ძრავს. ისე, რომელი დაპირება შეასრულა "ქართულმა ოცნებამ" (ბიძინა ივანიშვილმა), რომ ეს შეასრულოს?!

სამაგიეროდ, რაც არ დაგვპირებია, იმის შესრულებას აპირებს – ნაცების (წაიკითხე – დასავლეთის) ზეწოლით აქტიურად მიმდინარეობს სჯა-ბაასი კონსტიტუციაში საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანის უცვლელობის ჩაწერის თაობაზე, რაც სრული აბსურდია: ის ევროატლანტიკა თუ ხრამში იჩეხება, რადგან კონსტიტუციაში ჩავწერთ, ჩვენც უნდა გადავყვეთ?

საზოგადოებას იმასაც შევახსენებ, რომ, თუ აქამდე დასავლეთი, საზოგადოდ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სდებდა ბრალს ჰომოფობიასა და სიძულვილის ენით საუბარში, ახლა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიშში პირადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესია "მხილებული" მსგავს "ცოდვებში", რაც ქართველი ერის ეს აშკარა შეურაცხყოფა. ისევე, როგორც ბევრი სხვა, რომ იტყვიან, ესეც გაატარა ჩვენმა ფარჩაკმა ხელისუფლებამ.

რა უნდათ, რას ითხოვენ ჩვენგან, რომელ ტოლერანტობაზე გვიკითხავენ ლექციებს წარმომადგენლებს იმ ქვეყნისა, რომელიც ერთადერთია, სადაც ებრაელთა დარბევები არასდროს ყოფილა? რას და საქართველოში თურმე პედერასტების გაუპატიურება და მკვლელობა გახშირებულა.

იქნებ ასეც არის, მაგრამ ჩვენი, ქართველი საზოგადოების ნორმალური ნაწილის რა ბრალია? რომელ ჰეტეროსექსუალს, ანუ ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მამაკაცს აღაგზნებს ქალად ქცეული კაცი თუ პირიქით? ამის გაფიქრებაც კი გულისრევას იწვევს ყველა ნორმალურ ადამიანში.

ჰოდა, კესოდ ქცეული ჯემალის გამაუპატიურებელიც და მკვლელიც ისევ ლგბტ-თა წიაღში ეძებონ და ჩვენ თავი დაგვანებონ.

ებრაელები ვახსენე – საქართველოში არა თუ იუდეველთა, არამედ არც ერთ ტრადიციულ კონფესიასთან არ ყოფილა რელიგიური მოტივით კონფლიქტი.

მაგრამ, როდესაც იეღოველები სახლში შემოგეჭრებიან და სატანისტურ მოძღვრებას გიქადაგებენ, ერთი-ორი რომ გაუსილაქო, რელიგიური შეუწყნარებლობა იქნება? ან საქართველოში მრავალი მეჩეთია და, რამდენიც გინდა, აუარე და ჩაუარე მას ქრისტიანმა კაცმა, ხმას არავინ გაგცემს, მაგრამ, თუ აჭყვიტინებული გოჭით ხელში შემოუვლი მეჩეთს და ამის გამო ვინმე დაგბეგვავს, ამას რელიგიური საფუძველი ექნება თუ უბრალო ბოროტი ხულიგნობისა?

ან კიდევ – როდესაც რესტორანში მეგობრებთან ერთად ქეიფობთ და გვერდით მაგიდასთან ორი მამაკაცი "ზასაობას" დაიწყებს, ამისთვის კი მაგრად დაუეჯავთ, ამას სექსუალური უმცირესობის ჩაგვრა ჰქვია?

მინდა, ქალბატონ ინგა გრიგოლიას მივმართო, რომელიც მსგავს თემებზე თოქშოუებში ყოველთვის მხარეა და არა ობიექტური წამყვანი:

საქართველოში არ არსებობს არც სექსუალური, არც რელიგიური და, საერთოდ, არანაირი ფობია. რაც შეეხება სიძულვილის ენით საუბარს, რაშიც ბრალი, ვიმეორებ, ჩვენს საყვარელ პატრიარქსაც კი დასდეს, მინდა, ვკითხო ქალბატონ ინგასაც და სახალხო დამცველს **"ასოებითურთ"**:

**** ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიხედვით, ყველა და ყველაფერი უნდა მიყვარდეს და სიბინძურის სიძულვილის უფლება არ მაქვს?***

მაშინ მიმიფურთხებია ასეთი "ადამიანის უფლებებისთვის"!

**** მე მიყვარს სამშობლო, დედაეკლესია და მძულს ლგბტ-სექტა, რადგან ის იმისი მტერია, რაც მიყვარს!***

**** მძულს ერთნაირსქესიანთა ქორწინება იმიტომ, რომ არ მინდა, ამ ბინძური წყვილების მიერ შვილად აყვანილი ბავშვები სკოლაში ჩემი შვილიშვილების გვერდით ისხდნენ, რადგან დანომრილი "დედები" თუ "მამები" ნაშვილებ ბავშვებსაც პედერასტებად ან ლესბოსელებად ზრდიან.***

ერთი სიტყვით, ნორმალური ქართველი საზოგადოების ტოლერანტობა იმით შემოიფარგლება პედერასტების მიმართ, რომ, სადაც ისინი იქნებიან – იქ ჩვენ არ მივალთ და, სადაც ჩვენ ვიქნებით – იქ ისინი ვერ მოვლენ.

ვისაც ქართული ტოლერანტობა ხელს არ გაძლევთ, აჰა, "ვიზალიბერალიზაცია" და ევროპულ ტოლერანტობაში მიბრძანდით, მაგრამ, მგონი, მალე იქაც არ მოგასვენებენ – ამას წინათ ჰოლანდიაში, ერთნაირსქესიანთა ქორწინებების მექაში, გეიწყვილი მხოლოდ იმისთვის დაუეჭეს ჰოლანდიელმა ახალგაზრდებმა, რომ ქუჩაში ხელიხელჩაკიდებულები მისეირნობდნენ.

ნათქვამია, ძაღლი ვინც მოკლა, გზიდანაც იმან გადაათრიოსო.

ჰოდა, ქრისტიანულ მორალზე აღმოცენებული ბებერი ევროპა, დღეს ყოველგვარი მორალის უარმყოფელი და ხსენებული სიბინძურეების ავტორი დასავლეთი, ნელ-ნელა იღვიძებს და მოკლულ ძაღლსაც, ალბათ, ის გადაათრევს.

თუ არა, ჩვენ, მართლმადიდებელი საქართველო, ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად საკუთარ საზღვრებს მაინც დავიცავთ ლგბტ-ტერორიზმისგან, რომელიც უფრო სახიფათოა, ვიდრე, საზოგადოდ, ტერორიზმი, რადგან ერთი მხოლოდ გკლავს, ხოლო მეორე გადაგვარებას გიქადის.

დავით მხეიძე

კოტე თოდუას ხსოვნას

ფრიად საწუხარი ამბავი ჩამოვიდა ზუგდიდიდან – გარდაიცვალა ჩვენი უახლოესი მეგობარი და თანამდგომი, ზუგდიდის რნის სოფ. ჯუმის საშუალო სკოლის დირექტორი კოტე თოდუა.

კოტე თოდუა დაიბადა 1958 წლის 14 მარტს, ზუგდიდში. 1964-1974 წლებში იგი სწავლობდა ნარაზენის საშუალო სკოლაში, 1978-1982 წლებში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე; 1999-2001 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ასპირანტურაში ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალობით; 2009 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: **„გიორგი წერეთელი და რეალიზმის პრობლემები ქართულ ლიტერატურაში“.**

1983-2015 წლებში კოტე თოდუა მუშაობდა ნარაზენის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ისტორიის მასწავლებლად, 2006-2009 წლებში იყო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ზუგდიდის ფილიალის ასისტენტ-პროფესორი, 2009 წლიდან კი ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ასოციაციის პროფესორი.

2015 წლიდან კოტე თოდუა იყო სოფელ ჯუმის საჯარო სკოლის დირექტორი და ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ისტორიის სერთიფიცირებული პედაგოგი. კოტე თოდუა იყო ფილოლოგიის დოქტორი, 30-ზე მეტი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთაგანაც აღსანიშნავია: **„რეალიზმის ელემენტები ძველ ქართულ მწერლობაში“(2000წ), „პორტრეტის საკითხი ძველ ქართულ(V-XVIII საუკუნეების) ლიტერატურაში (2002 წ.), „მეორე დასი და სოციალიზის თეორია“(2010 წ), „ჰერმან ჰესეს ლირიკის ზოგიერთი საკითხი“ (2010 წ.), ემილ ზოლას ესთეტიკური შეხედულებები და ქართული „შეუფარავი რეალიზმი“ (2008 წ.)** და სხვა.

კოტე თოდუამ ცალკე ნაშრომები მიუძღვნა ზუგდიდის, ნარაზენის მშობლიურ სკოლას და ასევე სოფელ ნარაზენსაც. იგი ასევე იყო 10-ზე მეტი წიგნის რედაქტორი. კოტე თოდუას ნაშრომები გამოქვეყნებული აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ გამოცემაში **„აფხაზეთის მოამბე“, „თსუ-ის ზუგდიდის ფილიალის სამეცნიერო-ლიტერატურულ ჟურნალში „მაფშალია“;** თბილისის, სოხუმისა და ზუგდიდის სახელმწიფო თუ დამოუკიდებელი უნივერსიტეტების სამეცნიერო შრომების კრებულში.

კოტე თოდუა იყო ღირსეული პიროვნება, შესანიშნავი მეოჯახე, უდალატო მეგობარი და კეთილშობილი ადამიანი.

კოტე თოდუას ხსოვნა მარად დარჩება მის მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

მეგობრებისა და ახლობლების სახელით,

დავით ქობალია,
როლანდ ჯალაღანია

ქართული განძი და, მისი დაბრუნების ახლად აღმოჩენილი აქამდე უცნობი ზოგიერთი დეტალები

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ამიტომ იყო, რომ ამერიკამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მათი სკოლაგავლილი "ძაღლიშვილი", და მათი უპირობო დავალების შემსრულებელი მარიონეტული მთავრობა მოსულიყო, სააკაშვილ-ჟვანიას ხელმძღვანელობით. რომლებსაც, თქმაც არ ჭირდებოდათ ძაღლის ყნოსვით ისე უსიტყვოდ გრძნობდნენ თავიანთი პატრონის სურვილს და უხმოდ ასრულებდნენ მას. როგორც ამბობენ, მათი ინტერესების გატარებასა და დავალებების შესრულებასთან ერთად, ჩვენი ყოფილი "ნაციონალური" მთავრობის მაღალჩინოსნები, ამერიკაში ყოველ ჩასვლაზე, ბობოლა ამერიკელ ჩინოვნიკებთან კაი გვარიანი საჩუქრებიც ჩაჰქონდათ. ზუსტად ამიტომაა რომ, ამერიკელები დღემდე ასე მწარედ მისტირიან თავიანთ მარჩენალ "ნაციონალებს" და, კბილებალესილი იცავენ სააკაშვილსა და მის ბანდას. გასაგებია, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, და როგორც უნდა ისე გვათამაშებენ, მაგრამ გადახედეთ ევროპას, როგორ ერთ თარგზე მოჭრილივით სმენაზე დგებიან და ყოველგვარი თავმოყვარეობის იგნორირების საფასურად, ემლიქვნელებიან და ყველაფერზე თავს უქნევენ ამერიკას. უანგაროდ, ამერიკა არცერთი ქვეყნისათვის, ერთ სასიკეთო ნაბიჯსაც არ გადადგავს და არავის დაეხმარება, თუ შემდგომში მისგან რაიმე სარგებელი არ ნახა, და თავისი პოლიტიკის გამტარებელი მარიონეტული მთავრობა არ ეყოლება იმ ქვეყანაში. აქ, რა თქმა უნდა ავტომატურად იგულისხმება ჩერჩილიც, რომელიც როგორც ცნობილია ყოველთვის ამერიკის პრეზიდენტს უჭერდა მხარს და მის აზრს იზიარებდა. ამასთან, ჩერჩილსაც ჰქონდა პრობლემა პოლონეთთან დაკავშირებით. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ომის დამთავრების შემდეგ, პოლონეთში, ლონდონში ემიგრირებული მთავრობა დაებრუნებინა ხელისუფლებაში. მაგრამ, არც რუზველტისა, და არც ჩერჩილის ოცნებას, საფრანგეთსა და პოლონეთში თავიანთი ინტერესების გამტარებელი მთავრობა მოეყვანათ ხელისუფლების სათავეში, აღსრულება არ ეწერა. ორივეგან, სტალინის მიერ მხარდაჭერილი ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის სათავეში. დე გოლის მდგომარეობას ისიც ამძაფრებდა, რომ როგორც აღვნიშნეთ ამერიკელები თვლიდნენ საფრანგეთი ჩვენ გავათავისუფლეთ და ხელისუფლებაც ჩვენ უნდა დავაკომპლექტოთო. ასეთ ვითარებაში ხომ წარმოგიდგენიათ, ამ ქვეყნის პრეზიდენტის უარყოფითი დამოკიდებულება დე გოლისათვის, ფაქტიურად ქვეყნის ხელისუფლებაში მოსასვლად სასიკვდილო განაჩენს ნიშნავდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, საფრანგეთში გამოიკვეთა ორი ლიდერი, გენერალი დე გოლი და გენერალი ჟირო. ამერიკა ჟიროსკენ იხრებოდა და მისი ხელისუფლებაში მოსვლისათვის იბრძოდა. მაშინ როცა საბჭოთა კავშირი ცნობდა, 1942წ. დე გოლის ხელმძღვანელობით ყველა პატრიოტული ძალის მონაწილეობით შექმნილ ორგანიზაციას, "თავისუფალ საფრანგეთს". გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, დე გოლი ლონდონში აღმოჩნდა და იქედან იბრძოდა საფრანგეთის გასათავისუფლებლად. საქვეყნოდ ცნობილია მისი 1940წ 18 ივნისის ლონდონის რადიოთი გამოსვლა, სადაც მან ყველა ფრანგს გაერთიანებისა და გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. ინგლისი ცდილობდა დე გოლი თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა და, ეს ინტერესები იყო სწრაფვა ფრანგული კოლონიებისადმი. ამასთან ინგლისელებმა ფარული შეთანხმება გააფორმეს საფრანგეთის ვიშის (პეტენი, ლავალი, დარლანი) მთავრობასთან, რაც ეხებოდა საფრანგეთის კოლონიების გერმანელებისათვის გადაცემას. რითაც მათ ფაქტობრივად ცნეს გერმანელების ხელისუფლება საფრანგეთის კოლონიებზე. ამან, ძალზე გაურთულა დე გოლს თავისი ორგანიზაციის, "თავისუფალი საფრანგეთის" მუშაობის გაშლა. დე გოლის გარშემო საგრძნობად დაიძაბა ვითარება მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა ჯარები ჩრდილო აფრიკაში გადასხეს. ეიზენჰაუერმა საფრანგეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დარლანი, ხოლო ჟირო ამ რეგიონში ფრანგული ნაწილების მეთაურად დანიშნა. ასე გრძელდებოდა ქიშპობა დე გოლსა და ჟიროს შორის, სანამ საბჭოთა კავშირმა საბოლოო არჩევანი დე გოლზე არ გააკეთა, რომელსაც სპეცსამსახურებითა და დიპლომატიური გზით ყველანაირად უწყობდა ხელს საფრანგეთის ხელისუფლებაში მოსასვლელად. რუზველტი დე გოლს, პატრიოტიზმის გარდა იმასაც უწუნებდა, რომ მას ბრიტანეთის ხელდასმულად მიიჩნევდა და ამით საფრანგეთზე ბრიტანეთის გავლენის გაძლიერებას ვარაუდობდა, რის გამოც იგი სამომავლოდ ამერიკისათვის არ გამოდგებაო. ამიტომ იყო, რომ ჟიროს შემდეგ რუზველტმა არჩევანი ვიშის მთავრობაზე შეაჩერა, რადგან ფიქრობდა იგი ამერიკის მიმართ ლოიალურ პოლიტიკას გაატარებსო. დე გოლი, არა მარტო მამაცი და ქვეყნის პატრიოტი, არამედ ჭკვიანი პოლიტიკოსიც იყო. იგი, ყველაფერს ამას კარგად ხედავდა და აცნობიერებდა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ ერთადერთი ძალა, რომელიც რუზველტისა და ჩერჩილის ტანდემს დაუპირისპირდებოდა და ორივეს ერთად გადაწონიდა, იყო სტალინი. ამიტომ იყო, რომ ყველა ძალას ხმარობდა და ყველა საშუალებას იყენებდა იმისათვის, რომ სტალინს შეხვედროდა. ამასთან ცდილობდა ყველაფერი ისე გაეკეთებინა, რომ მისთვის ესიამოვნებინა და მისი გული როგორმე მოეგო. დე გოლის ინიციატივით, ამ შეხვედრას რა თქმა უნდა საგარეო საქმეთა სამინისტრო, საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩის, ბოგომოლოვის უშუალო ხელმძღვანელობითა და თავკაცობით ამზადებდა. მიუხედავად იმისა, რომ ომი ფაქტიურად უკვე მთავრდებოდა, სტალინი მაინც ძალიან დაკავებული იყო. უნდა მომხდარიყო მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, ამასთან თებერვალში მოკავშირეთა კონფერენციაც იგეგმებოსა იალტაში. აქედან გამომდინარე, მას ფუჭად დასაკარგი დრო ნამდვილად არ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ მან საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა, დე გოლისათვის გაეცნოთ მის მიერ მომზადებული წინაპირობა საკითხებისა, რომელიც მათი შეხვედრის დროს იქნებოდა განხილული. თუ, დე გოლი მზად იქნებოდა აღნიშნული საკითხების განსახილველად, მაშინ იგი გამოძებნიდა დროს და თანახმა იყო დე გოლი მოსკოვში მიეღო. საინტერესო ისაა, რომ ამ საკითხების ჩამონათვალში ერთ-ერთი მთავარი საკითხი, ქართული განძის სამშობლოში დაბრუნება იყო. როგორც კი დე გოლი ამ წინაპირობებს გაეცნო, მაშინვე ინტენსიურად შეუდგა სტალინთან ამ საკითხების გახილვისათვის მზადებას. უნდოდა რაც შეიძლება ხელდამშვენებული ხლებოდა სტალინს კრემლში. ამ საკითხებიდან ერთ-ერთის, განძის საქართველოსთვის დაბრუნება შეიძლებოდა მოსკოვში ჩასვლამდე მოეგვარებინა. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ფორმალური საფუძველი, ეს საფუძველიც მოიძებნა. ბოგომოლოვმა გუზოვსკის საშუალებით, რომელსაც უშუალო კავშირი და შეხება ჰქონდა ქართულ განძთან, კარგად იცოდა, რომ ყველაზე კომპეტენტური პირი ამ განძთან დაკავშირებით, ყოფილი საქართველოს ემიგრაციული მთავრობიდან ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი იყო. როგორც ცნობილია, და როგორც ამას განძის დამბრუნებელი კომისიის წევრი, ბიძაჩემი კაკო ნიჟარაძე იხსენებდა, დაახლოებით ნოემბრის მეორე ნახევარში ბ-ნი ექვთიმე საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩის ინიციატივით შეხვდა ბოგომოლოვს. დიახ, ეს შეხვედრა ნამდვილად შედგა 1944წ 22 ნოემბერს. ბოგომოლოვმა დიდი პატივით მიიღო ბ-ნი ექვთიმე, მას მანქანა გაუგზავნა და სუფრაც გაუშალა. საკითხში საბოლოოდ გარკვევისა და მის დეტალებში ჩაწვდომის შემდეგ, ბოგომოლოვმა ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილს ურჩია განძის საქართველოში დაბრუნების თაობაზე დე გოლის სახელზე დაეწერა თხოვნა-განცხადება, რომელიც უკვე მეორე დღესვე, 23 ნოემბერს დე გოლის მაგიდაზე აღმოჩნდა, რომელსაც მან სასწრაფო წესით დაადო რეზოლუცია, "დაუყონებლივ დაუბრუნდეს". საინტერესო ისაა, რომ იგივე სენის დეპარტამენტის სასამართლომ, თითქმის იგივე შემადგენლობით, რომელმაც 10 წლის წინ, 1934წ 8 მაისს ეს ქონება საქართველოს ჩამოართვა და საფრანგეთის საკუთრებად გამოაცხადა, ზუსტად ერთი კვირის თავზე 30 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება, მისი საქართველოს საკუთრებად გამოცხადებისა და საქართველოში დაბრუნების თაობაზე. მოკლედ, ხელისუფლების გავლენას თვით დემოკრატიისა და ცივილიზაციის აკვნად წოდებული საფრანგეთის სასამართლომაც ვერ გაუძლო და, რა გასაკვირია ჩანასახში მყოფმა საქართველოს სასამართლომ, რომ ვერ გაუძლოს. აი, ასე ოპერატიულად მოაგვარა ეს საკითხი დე გოლმა, თუ არა, ადრეც ბევრი წერილი ჰქონდა დაწერილი ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილს საფრანგეთის უმაღლეს ისტანციებში, მაგრამ პასუხის ღირსადაც არავის გაუხდია. საინტერესო ისაა, რომ დე გოლის ამ გადაწყვეტილების ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე ჟოდონი იყო. ეს ის ჟოდონია, რომელიც ადრე სასამართლოში გააფრთებით იცავდა ამ განძს და, ბოლომდე იბრძოდა იმისათვის, რომ ამ განძიდან მოსარჩლე სალომე დადიანი-ობოლენსკაიასათვის არაფერი მიეკუთვნებინათ. დე გოლის მიერ, ამ განძის საქართველოსათვის დაბრუნების გადაწყვეტილებით იგი აღშფოთებული იყო და ამტკიცებდა, რომ დე გოლს ამის უფლება არ ქონდა, ეს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროს უნდა გაეკეთებინაო. ძლივს დაარწმუნეს, რომ დე გოლი საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელია, ხოლო შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროც და მისი მინისტრებიც, ამ მთავრობის შემადგენლობაში შედიანო.

არადა, ჟოდონს საქართველოში განიხილავდნენ, როგორც ქართული განძის უშურველ დამცველს და ქართული ინტერესების შეუვალ გამტარებელს. თუმცა, ეს ასე სულაც არ ყოფილა. იგი ამ განძს ასე თავგამოდებით და გააფთრებით იმიტომ იცავდა, რომ იგი უკვე საფრანგეთის საკუთრებას წარმოადგენდა და, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი და ღირსეული მამულიშვილი, მისსივე ქვეყნის ინტერესებიდან გამოდიოდა და ამ ქონებასაც ასე გამეტებით ამიტომ იცავდა. როგორც ზემო აღვნიშნე, დე გოლი არა მარტო მამაცი, ჭკვიანი პოლიტიკოსიც იყო, მან კარგად შეისწავლა სტალინის ბიოგრაფია და, როგორც კი წინაპირობის ჩამონათვალს გაეცნო, მაშინვე შეამჩნია სტალინის სუსტი ადგილი, იგრძნო, როგორც თავისი სამშობლოს ღირსეული მამულიშვილი, მისი დიდი სიყვარული და მოვალეობა მშობლიური საქართველოსადმი, ზრუნვა მისი განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისათვის. იმასაც მიხვდა, რომ ამ ჟესტით მის გულს ნაწილობრივ მაინც მოიგებდა და, მოლაპარაკების დროს მისი მხარდაჭერის მოსაპოვებლად რაღაც უპირატესობა ექნებოდა.

საბედნიეროდ, ეს ასეც მოხდა. შეხვედრის დროს, მიუხედავად მწვავე დებატებისა და დე გოლის რამდენჯერმე გაცხარებისა, მან მაინც მოახერხა და სტალინის მხარდაჭერა მოიპოვა, რამაც, საბოლოოდ გადაწყვიტა დე გოლის ბედი და იგი საფრანგეთის ხელისუფლების ლეგიტიმური თავმჯდომარე გახდა. ჟოდონი რა ხვოთოც იყო, და რატომ იკლავდა თავს ასე გამეტებით ქართული განძის დასაცავად სასამართლოში, ეს უკვე ვნახეთ. ახლა დე გოლიც ვნახოთ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია გულუბრყვილო ქართველი, ან შეგნებული დემაგოგი, რომელიც ამბობს: რა კაი კაცი ყოფილა დე გოლი, განძი დაგვიბრუნაო. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში დღესაც კი ბევრი ობივატელი ქედმაღლურად აცხადებს: დე გოლმა ძალიან კარგად იცოდა, ეს განძი ჩვენი რომ იყო და ამიტომ დაგვიბრუნაო. პირდაპირ საკვირველია ასეთი უწიგნური და უაპელაციო განცხადებები. რატომ უნდა სცოდნოდა დე გოლს ქართული განძის შესახებ, რა, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე იყო, სენის დეპარტამენტის სასამართლოს მოსამართლე, ბანკის მარსელის ფილიალის გამგე, თუ ვერსალის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, სადაც ბოლო პერიოდში ეს განძი იმალებოდა. ჩვენი განძის გარდა რა, საფრანგეთში სხვა ქვეყნების უპატრონო ქონებაც არ მიუთვისებიათ თუ რა. ასე რომ ბატონებო! დე გოლი კი არ ყოფილა კაი კაცი, რომელიც პირველ რიგში, როგორც თავისი პირადი, ასევე თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის იბრძოდა, არამედ კაი კაცი იყო სტალინი, რომელიც ისე სჭირდებოდა დე გოლს, რომ ოღონდ მისი მხარდაჭერა მოეპოვებინა და ნებისმიერ მსხვერპლზე წამსვლელი იყო. სტალინის მხარდაჭერის გარეშე, მას ოდნავი შანსიც, რომ ჰქონოდა მთავრობის თავმჯდომარედ გახდომისა, იგი არაფრის დამბრუნებელი არ იყო და, ბევრად უფრო დიდი ხვითო აღმოჩნდებოდა ვიდრე ჟოდონი იყო. ამ ფონზე ძალზე სასაცილოდ გამოიყურება ამ ვაიქართველების: ბოკერიების, ბარამიძეების, გივია თარგამაძეების, მაია ფანჯიკიძეების, რატიანებისა და ამ არარაობის, ტრამვაიტროლეიბუსების პარკის ყოფილი რემონტიორის, ვინმე მალაშხიას პრუწუნ-პრუწუნი და გოდება იმის თაობაზე, სტალინი საქართველოს მტერი და მისი დამპყრობი "ოკუპანტიაო". ამ ვაიქართველების გასაგონად მინდა მოვიყვანო მცირე ამონარიდი თვითონ ე.წ. საქართველოს "ოკუპირებული" მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ნოე ჟორდანიასა და ამავე მთავრობის ყველაზე გავლენიანი მინისტრის ბ-ნ ევგენი გეგეჭკორის სიტყვებიდან, რომლებიც მათ წარმოთქვეს 1945წ თებერვალ-მარტში, პარიზში განძის წამოსაღებად ჩასულ ბ-ნ პეტრე შარიასთან საუბარში.

ნოე ჟორდანია: **"ომი მოიგო სტალინმა. მე მას ვთვლი მსოფლიოს უდიდეს ადამიანად. სისულელე იქნებოდა განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების გამო უარმეყო მისი სიდიადე. ისტორია კიდევ უფრო მეტად იტყვის მის სიდიადეზე, ის გახსნის მისი სიდიადის იმ მხარეებს, რომლებიც ჯერ კიდევ შეუმჩნეველია თანამედროვეებისათვის. ინგლისი ყველაზე მტაცებლური სახელმწიფოა მსოფლიოში. აღმოსავლეთის მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ როგორ ჩაგრავს და ანადგურებს იგი მცირე ერებს. ამერიკა შორსაა, ამიტომ მას შეუძლია გავლენა იქონიოს მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ამასთან, ის გახდა ძლიერი იმპერიალისტური სახელმწიფო, რომელიც მცირე ერების დასაცავად არ გამოდგება. რჩება რუსეთი, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების დროს უდიდესი ძალა აჩვენა. რუსი ხალხი ახალგაზრდაა – ის თავის გარშემო აერთიანებს სხვა სლავურ ხალხებსაც, ამიტომ ევროპაში მომავალი მას ეკუთვნის. საქმე იმაშია, შეინარჩუნებს თუ არა იგი ახლანდელ ჰუმანურ პოლიტიკას მცირე ერების მიმართ. ასეა თუ ისე, საქართველომ ორიენტაცია რუსეთზე უნდა გააკეთოს"**. საუბრის დასასრულს ჟორდანიამ აღიარა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტისა და სიძლიერის ზრდა. ამიტომ უსაფუძვლოდ ჩათვალა შემდგომში ქართველი ემიგრანტების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამასთან მიანიშნა, რომ იგი მზადაა პრესის საშუალებით გამოვიდეს და დეკლარაციით აღიაროს ქართველ მენშევიკთა იდეურ-პოლიტიკური გაკოტრება. ამასთან დაამატა: **"მე ბედნიერი ვიქნები, თუ სამშობლოში დაბრუნებაზე ნებას დამრთავენ"**. სამწუხაროდ, შემდგომში მან ეს დაპირებული განცხადება აღარ გააკეთა და, სამშობლოშიც ამ მიზეზით ვეღარ დაბრუნდა. როგორც ირკვევა, ის დაარწმუნეს, რომ სამშობლოში ჩასვლისას აუცილებლად დაგაპატიმრებენ და გულაგში ამოგხდება სული. ამიტომ იყო, რომ სამშობლოში დაბრუნებისას დაპატიმრების შიშით, დეკლარაციის გამოქვეყნებაზე უარი თქვა, რამაც თავისთავად მისი სამშობლოში დაბრუნების ალბათობაც საბოლოოდ გამორიცხა. გითხრათ სიმართლე, ნოე ჟორდანიას მიმართ დიდი სიმპატიითა და დადებითი შთაბეჭდილებით არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ახლახან არქივიდან მოპოვებულმა ამ ჩანაწერმა პირდაპირ შემძრა. კაცმა 72 წლის წინ, ასეთი ზუსტი პოლიტიკური ანალიზი გააკეთო, მწარე, მაგრამ რეალური მდგომარეობა ობიექტურად შეაფასო და შენი ქვეყნის ბედი ზუსტად იწინასწარმეტყველო, იშვიათი შემთხვევაა.

ახლა, ბ-ნ ჟორდანიაზე ბევრად უფრო მეტ ანტიკომუნისტ და რუსოფობ ბ-ნ გეგეჭკორსაც მოვუსმინოთ: **"საქართველოს გზა მხოლოდ რუსეთთანაა, ამიტომ ჩვენი მხრიდან სისულელე იქნებოდა გვებრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ"**. ყველაფერი ეს, შავით თეთრზე წერია, ბერიასა და მერკულოვის მიერ სტალინის სახელზე გაგზავნილ 1945წ 4 ივლისის №790/ბ წერილში.

ᲝᲛᲐᲠ ᲒᲝᲪᲐᲫᲔ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ ბიორგი ჯალაღანიას

„ბულშემატკივართა სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობდი“

დღევანდელ ტრადიციულ საკვირაო სპორტულ მოგონებებში კიდევ ერთ ცნობილ ქართველ ფეხბურთელს და მის კარიერას გავიხსენებთ.

თბილისის „დინამო“ მაღალი დონის მცველებით ყოველთვის განებივრებული გახლდათ. ბატონი შოთა ხინჩაგაშვილი ჩვენებური გუნდის დირსებას წინა საუკუნის 70-იან წლებში იცავდა და მის წარმატებებში დიდი წვლილიც აქვს შეტანილი.

ბატონი შოთა დღეს ჩვენი სტუმარია და საკუთარ ბიოგრაფიას თავად გაიხსენებს.

„რუსთავში გავიზარდე. იმ ადგილს „ინტერნატებს“ ეძახდნენ. ისეთი უბანი იყო, ტაქსისტებიც ერიდებოდნენ იქ წასვლას. მთელი ჩემი უბანი ფეხბურთზე დადიოდა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ეზოში მათზე კარგად ვთამაშობდი, ვარჯიშისგან თავს ვიკავებდი. ფეხბურთზე მოგვიანებით შევედი, მიშა თაროზაშვილი იყო ჩემი პირველი მწვრთნელი.

პირველ მატჩს რა დამავიწყებს? მწვრთნელმა თავდამსხმელად დამაყენა. 2:0 მოვიგეთ და ორივე გოლი მე გავიტანე! თავი სიზმარში მეგონა, მატჩის მერე კი მწვრთნელმა მითხრა, ამიერიდან დაცვაში ითამაშებო. წარმოიდგინეთ რა დღეში ვიქნებოდი, თუმცა დრომ დაგვანახა, რომ მწვრთნელი მართალი იყო. და საერთოდ, ბატონი მიშა ძალიან ალღოიანი კაცი გახლდათ.

გლდანის სპორტსკოლის დამთავრებამდე რუსთავის „მეტალურგში“ ვთამაშობდი. ძალიან კარგი გუნდი გვყავდა, ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობდა ჩვენთან: თემურ ჩლაიძე, ვოვა ინასარიძე, გია აფციაური... არც კი ვიცი, რომელი ერთი დავასახელო.

1968 წლის 4 იანვარი გუშინდელივით მახსოვს: კლუბში „დინამოში“ მიწვეულების სია გამოაკრეს. ჩამონათვალში მეც ვიყავი, არადა, იმ სიაში ბევრი ისეთი მოთამაშე ვერ მოხვდა, რომელიც წარმატებაში დარწმუნებული იყო. რასაც მაშინ განვიცდიდი, იმას სიხარული კი არა, სხვა რაღაც ერქვა – როგორია, 17 წლის ბიჭს „დინამო“ მიწვევდა! მაგრამ ჩვენმა მწვრთნელმა ალიოშა კოტრიკაძემ მთხოვა, „დინამოში“ შენს პოზიციაზე გურამ ცხოვრებოვი და რეზო ჭოხონელიძე თამაშობენ, ძირითადში მოხვედრა გაგიჭირდება, სკამზე ჯდომას კი სჯობს ერთი-ორი წელი მოიცადო, ჩვენთან მეტი ითამაშო და მერე უკეთ მომზადებული წახვიდეო. დავუჯერე და არც წამიგია.

„დინამოში“ 1970 წელს აღმოვჩნდი. იმ წელს ყველა ქართველი ფეხბურთელის საოცნებო გუნდში მხოლოდ სამი მოთამაშე აგვიყვანეს: მე, ცხონებული დათო ყიფიანი და უნიჭიერესი ნოდარ კვანტალიანი. მალე იტალიაში წავედით შეკრებაზე, მერე კი ლესელიძეში ვიყავით ორი თუ სამი კვირა. „დინამოს“ მაისური პირველად სწორედ იქ მოვირგე, საწვრთნელი თამაში იყო. მერე ჩემპიონატიც დაიწყო და მეც დინამოელად „მოვინათლე“.

15 მარტს ჩემპიონატი დაიწყო. საწყის ტურში მოსკოვის „ტორპედო“ გვეწვია. წინა დღეს დუბლების თამაში გაიმართა – 2:4 წავაგეთ. გულგატეხილი ვიყავი, ვიფიქრე, მორჩა, პირველ გუნდს ვერასდროს ვეღირსები-მეთქი, მაგრამ ბაზაზე ძირითადი გუნდის შემადგენლობა რომ ვნახე, თვალებს არ დავუჯერე – ძირითად შემადგენლობაში ვიყავი! „ტორპედოს“ 3:0 მოვუგეთ – მე შეუცვლელად ვითამაშე. იმ დღეს დაცვაში ჩემთან ერთად რეზო ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა და ბიჭი ჭელიძე იდგნენ.

ერთი კვირის შემდეგ კიევის „დინამო“ გვესტუმრა. ჩვენი მთავარი მწვრთნელი გივი ჩოხელი იყო. მან კვლავ ძირითადში დამაყენა. ისევ მოვიგეთ. შემდეგ მოსკოვის „სპარტაკი“ და მინსკის „დინამოც“ დავამარცხეთ... ის ჩემპიონატი ზედიზედ ოთხი მოგებით დავიწყეთ. ახლა რომ ვუფიქრდები, ჩემთვის ის ეტაპი გადამწყვეტი იყო – თავდაჯერებული გავხდი, რაც შემდგომ ძალიან დამეხმარა.

„დინამოს“ შემადგენლობაში სამასამდე ოფიციალური მატჩი ჩავატარე, გოლი კი ერთადერთხელ გავიტანე. ეს სადებიუტო წელს, 1970-ში, საკავშირო თასის ფინალში მოხდა მოსკოვის „დინამოსთან“. ის ფინალი მოსკოვში, „ლუჟნიკებზე“ გაიმართა 8 აგვისტოს – ასიათასზე მეტი გულშემატკივარი მოვიდა ორი „დინამოს“ მატჩის სანახავად. მოსკოველთა კარში ლევ იაშინი იდგა, მე თუ მკითხავთ, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე. 67-ე წუთზე გავუტანე – გურამ პეტრიაშვილი ფლანგზე გაიჭრა, ჩააწოდა და მეც ვარდნაში შევაგდე. მანამდე 0:2-ს ვაგებდით, მაგრამ ანგარიში ვეღარ გავათანაბრეთ.

სხვათა შორის, მოსკოვის „დინამოსთან“ მე არ უნდა მეთამაშა – მწვრთნელი გურამ ცხოვრებოვს ამზადებდა ძირითადისთვის, მაგრამ მას მატჩის წინ კუნთი დაეჭიმა და მე შევცვალე. იმ თამაშიდან კიდევ ორი ამბავი მახსენდება: სლავა მეტრეველს მაღალი სიცხე ჰქონდა, მაგრამ მაინც ძალიან შთამბეჭდავად ითამაშა. ჩემთვის ეს მაგალითი იყო და კიდევ: მეორე ტაიმის წინ, სანამ გვირაბიდან მოედანზე გავიდოდით, ვხედავ, ლევ იაშინი სიგარეტს ეწევა! თვალები შუბლზე ამივიდა – ამ სამაგალითო კაცისგან ასეთ რამეს არ ველოდი!

საწყის წლებში ბევრი მატჩი გამიცდა. მიზეზი? ტრავმები! გაუთავებელი პრობლემები ახალგაზრდული ასაკის ბრალიც იყო – ვიტკენდი რამეს და ხეირიანად არც ვმკურნალობდი – როგორც კი ფეხზე დავდგებოდი, მწვრთნელს ვეუბნებოდი, ვითამაშებ-მეთქი და... 1974-1975 წლებში, როცა „დინამოს“ გაუჭირდა, ორ ჩემპიონატში სულ 20 თუ 21 მატჩი ჩავატარე. ცხადია, გულდასაწყვეტი იყო, მაგრამ მაშინ ვერ ვფიქრობდი ამდენს, მეგონა, კიდევ 10-15 წელი ვითამაშებდი.

დღევანდელი გადასახედიდან ვთვლი, რომ ნაკრებში უფრო მეტი შეხვედრა უნდა ჩამეტარებინა. მწვრთნელებმა პირველად 1976 წელს მიმიწვიეს – გუნდი სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა და ჩემი დებიუტიც ქვეყნის პირველ გუნდში მაშინ შედგა – 1976 წლის 28 ნოემბერს არგენტინაში. ის თამაში ფრედ 0:0 დასრულდა. ოთხი დღის შემდეგ ბრაზილიელების წინააღმდეგ ვითამაშე – 0:2 წავაგეთ... ის ტურნე არასაფეხბურთო შთაბეჭდილებების გამო უფრო მახსოვს – სამხრეთ ამერიკაში ადვილად ვერ მოხვდები და მეც თვალებგაფართოებული ვუქცერდი ხალხს და ქვეყნებს, რომელთა შესახებ მხოლოდ წიგნებსა და ჟურნალებში თუ წამეკითხა.

ყველაზე რთული მატჩი? თასების თასის ნახევარფინალი როტერდამში, „ფეიენოორდთან“! ისეთი ტენდენციური მსაჯობა, რაც იმ შეხვედრაში იყო, არასდროს მინახავს – არბიტრი ყველაფერს აკეთებდა „დინამოს“ დასაღუპად. იმ თამაშის მერე ბევრჯერ დავფიქრდი: როგორ გავძელით და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჰოლანდიელები ჩვენმა გაუტეხელმა ჟინმა დათრგუნა! მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთადერთი გოლი სჭირდებოდათ ორი მატჩის ჯამში ანგარიშის გასათანაბრებლად, მაინც გავძელით, მიუხედავად იმისა, რომ მსაჯმა ორი გოლი არ ჩაგვითვალა და სამი პენალტი არ მოგვცა, არ გავტყდით! აი, ამით ვაჯობეთ მეტოქეს!

რაც ჩემს გაფრთხილებას და იმ ყვითელ ბარათს მოჰყვა და რაც მაშინ გადავიტანე, მტერს არ ვუსურვებ! „შოთამ გუნდი დააღალატა“, „შოთა საბჭოთა მოქალაქისთვის შეუფერებლად მოიქცა“... რას არ წაიკითხავდით მაშინ ჩემზე! ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ჭკუას მარიგებდა და მაკრიტიკებდა. თან, მნიშვნელობა არ ჰქონდა, იცოდნენ თუ არა ფეხბურთი, ერკვეოდნენ თუ არა საკითხში... ბევრი უარყოფითი წავიკითხე მაშინ. ამას ისიც დაერთო, რომ დიუსელდორფში არ წამიყვანეს. ასეთი რამ ახლა, ცხადია, არ ხდება – თამაშობს თუ არა ფეხბურთელი, ის გუნდთან ერთადაა, მაგრამ მაშინ სხვანაირად ფიქრობდნენ და მეც თბილისში დამტოვეს.

ფინალს შინ, მეუღლესთან ერთად ვუყურე. ძალიან ვნერვიულობდი, ცოლი მეუბნებოდა, დამშვიდდი, რამე არ მოგვიდესო... გოლი რომ გაგვიტანეს, მართლა ცუდად გავხდი, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი დიდებულად დასრულდა! „დინამოს“ დასახვედრად თბილისის აეროპორტში რამდენიმე საათით ადრე წავედი, მეგონა პირველი ვიქნებოდი, მაგრამ ბიჭებამდე ვერც მივედი – ზღვა ხალხი იყო მისული გუნდის დასახვედრად.

ცხოვრება ჩქარ მატარებელს ჰგავს, ბევრი შეხტომასაც ვერ ახერხებს, მაგრამ მგონი, ჩემი მატარებელი და იმ მატარებელში ჩემი ადგილი ზუსტად ვიპოვე“

სანტიაგო გაუჩო

სპეციალური განცხადება

ბატონო როლანდ! ვინაიდან, ხალხის საყვარელ გაზეთს, „ილორს“ შეექმნა ფინანსური პრობლემა ამიტომ გადავწყვიტე თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო გაზეთის მკითხველ საზოგადოებას, რათა არ მოხდეს მისი გამოცემის შეფერხება!

მიმართვა გაზეთ „ილორი“-ს მკითხველებისადმი!

ღრმად პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

მინდა მოგახსენოთ, რომ ფართო საზოგადოების, მკითხველი ადამიანების დიდ ნაწილს გაზეთი „ილორი“ მიგვაჩნია თანამედროვე, ქართული ბეჭდვითი პრესის ფლაგმანთა შორის აქტიური წევრად. როგორც ცნობილი გახდა, გაზეთს შეექმნა ფინანსური პრობლემები, რამაც გამოიწვია მისი გამოცემის პერიოდულობის გაზრდა, რაც მიმაჩნია (და მგონი, არა მარტო მე), ყოვლად დაუშვებლად. როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, გაზეთი არ ტოვებს ყურადღების გარეშე არც-ერთ საჭირბოროტო საკითხს, ის მუდამ ქვეყანაში მიმდინარე სოციალური-პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება! მან დაიმსახურა მკითხველი საზოგადოების პატივისცემა და დიდი სიყვარული! ამიტომ მოგმართავთ თხოვნით და შემომაქვს წინადადება, რათა, ჩვენ მკითხველი საზოგადოება დავუდგეთ გაზეთს გვერდში და ვისაც რის საშუალება გვექნება, გავუწიოთ ფინანსური დახმარება, რათა მრავალჯერ გაგვახაროს თავისი შეუდრეკელი მართალი სიტყვით!

ქალბატონებო და ბატონებო! იმისათვის, რომ შევძლოთ გაზეთისათვის აქტიური ფინანსური მხარდაჭერა, გთავაზობთ საბანკო ანგარიშს, რომელზეც შესაძლებელი იქნება, ნებისმიერი მსურველის მიერ, ნებისმიერი თანხის ჩარიცხვა! ალბათ გახსოვთ, როდესაც ნაცებმა დააყადაღეს ივანიშვილის „ქართუ“ ბანკი, საზოგადოება როგორ დაუდგა გვერდში, მიაწყდა ბანკებს და ვისაც რამდენი შეეძლო, უშურველად შეჰქონდა ფული. ხომ ნათქვამია: „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“. ასე, რომ ჯერი ჩვენზეა!

პატივისცემით,

ანზორი დანელია

ტელ. 571 22 66 34

საბანკო ანგარიში:

ს.ს „ლიბერთი ბანკი“

ანგარიშის ნომერი: GE79LB0711188020717000

ანგარიშის ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში

მფო: 220101480

მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“

ი. ჭავჭავაძის გამზირი 74

თბილისი, 0162, საქართველო

მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22

ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ჩანაფიქრს უწერია განხორციელება და მგონი კეთილი ხალხის ნაკლებობას საქართველო არ განიცდის, მინდა წინასწარ განვაცხადო: ჩვენი საქველმოქმედო აქციის დაწყებიდან, ყოველი სამი თვის გასვლის შემდეგ, გაზეთის ფურცლებზე, თანხის შემომწირველთა თანხმობის შემთხვევაში, ჩემს მიერ იქნება წარმოდგენილი სრული ინფორმაცია თანხის შემომწირველებისა და შემოწირული თანხის ოდენობის შესახებ!

პატივისცემით, ანზორი დანელია

სასწაული აფხაზეთში

გალელი თეა ქეცბაია სოციალურ ქსელში წერს, რომ სახლში, სადაც რამდენიმე დღის წინ მარიამ ღვთისმშობელი გამოისახა, ამავე სახლის უკანა ფანჯარაზე ბერი გაბრიელის გამოსახულება ამოიკითხეს.

ეს მოხდა გალის რაიონში მცხოვრები ანზორ ქეცბაიას სახლში.

ამბობენ, რომ სახლთან მიახლოება შეუძლებელია, რადგან იქ ზღვა ხალხი ირევა.

საღამო ჟამს ღვთისშობლის გამოსახულება იცვლის მხარს და სახლის შიგნით მიმართულებით ბრუნდება და დილამდე ასე რჩება.

სასწაულმოქმედი პრეპარატები “დომენტოლი” და “გაგენოლი” მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნადვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 “ილორი”

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930

234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge